ქრონიკა, ინფორმაცია

გაიხსნა ახალი მართლმადიდებლური გიმნაზია

თბილისში, ი. ჭავჭავაძის პროსპექტ № 74-ში გაიხსნა ახალი, წმიდა ეკვთიმე ღვთისკაცის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა. იგი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა, სადაც სიღრმისეულად ისწავლება ყველა სასკოლო საგანი. სკოლაში სწავლება სამსაფეხურიანია: დაწყებითი სკოლა, არასრული საშუალო და საშუალო, საშუალო-პროფილური განათლება; იმუშავებს აგრეთვე მოსამზადებელი ჯგუფი სკოლამდელთათვის.

მოსწავლეები გასაუბრების საფუძველზე ჩაირიცხებიან შესაბამის კლასებში. თითოეულ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა 16-ს არ აღემატება. უცხო ენის გაკვეთილზე მოხდება ჯგუფების გაყოფა. უცხო ენების სწავლება მოხდება გაძლიერებულად უახლესი მეთოდების გამოყენებით.

სკოლაში სასწავლო საგნების პარალელურად შეისწავლება ხელოვნების სხვადასხვა სახეობა, ფერწერა, ძერწვა, ქარგვა, გობელენის ქსოვა, მაკრამე და ხელოვნების თეორიული კურსი; აგრეთვე, საეკლესიო გალობა, იმუშავებს ვოკალური ჯგუფი.

ასევე იმუშავებს სხვადასხვა საგნობრივი წრე, მათ შორის, კომპიუტერული პროგრამირებისა (V კლასიდან).

სკოლის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელობით მოსწავლეები მიიღებენ მონაწილეობას მოსწავლეთა სხვადასხვა რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში. სკოლის დამთავრებისას მოსწავლეს გადაეცემა როგორც შესაბამისი საფეხურის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე ხელოვნების სკოლის კურსის დამამთავრებელი სერტიფიკატი.

სკოლის მოძღვარია ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი გიორგი ჯიბუტი.

გათვალისწინებულია მოსწავლეთა სტანდარტებით მომსახურება: ტრანსპორტირება, ორჯერადი კვება, გახანგრძლივებული სწავლება, სხვადასხვა სპორტული ჯგუფები მშობელთა დაკვეთით, ცეკვა.

სკოლაში მოწვეულნი არიან გამოცდილი პედაგოგები და პროფესორ-მასწავლებლები.

სკოლის აღმზრდელობითი პროგრამა შედგენილია საეკლესიო დღესასწაულების გათვალისწინებით.

ივნის-ივლისში მოეწყობა საზაფხულო ბანაკი რეის-ურბნისის ეპარქიის რომელიმე კურორტზე: სურამი, ქვიშხეთი, ტაშისკარი...

სკოლაში სწავლება ფასიანია. სკოლის საკონტაქტო ტელეფონია: 23 39 69. სკოლა ლიცენზირებულია განათლების სამინისტროს მიერ.

ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიას ახალი სასულიერო პირები შეემატა

ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის პრეს-სამსახური გვატყობინებს, რომ ხუთშაბათს, 30 დეკემბერს, ყოვლადუსამღვდელოესმა, ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსმა გერასიმემ (შარაშენიძე) ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიაში მღვდლად აკურთხა ზუგდიდის ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის სახელობის საკათედრო ტაძრის დიაკონი ამბროსი თორდია. ხოლო ვლაქერნის ღვთისმშობლის ტაძრის მედავითნე იაკობ ეხვაია – დიაკვნად.

კურთხევა სიონის საპატრიარქო ტაძარში

26 დეკემბერს, უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში ორი ხელდასხმა შეასრულა. უწმიდესმა დიაკონი თეიმურაზ თათარაშვილი მღვდლად აკურთხა ხოლო ბერ იოანეს (გვაჯაია) ბერ-დიაკვნად დაასხა ხელი.

როგორ ცვლიან რასელიტები (ე.წ. იეღოვას მოწმეები) თავიანთ სწავლებას

რასელიტები 1926 წლამდე შობას საყოველთაოდ აღნიშნავდნენ. ეს დღესასწაული ამ სექტის მსოფლიო ცენტრში, ბრუკლინს მთავარ ოფისში ყოველთვის განასკუთრებულად აღინიშნებოდა, მაგრამ შემდეგ მათ რატომღაც ჩათვალეს, რომ ეს რიტუალი კერპთაყვანისმცემლური იყო. ამის შემდეგ რასელიტებმა შობის აღნიშვნა შეწყვიტეს.

ასეთი ცვლილებები რასელიტურმა მოძღვრებამ თავისი ხანმოკლე ისტორიის მანძილზე მრავლად განიცადა.

ქრონიკა, ინფორმაცია

ხელდასხმა

23 იანვარს, უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-ემ, თბილისის ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულს, ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძრის დიაკონს, შოთა ნიქობაძეს. იგი მღვდელმსახურად დადგინდა თემქის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში.

ამავე დღეს, უწმიდესმა და უნეტარესმა დიაკვნად ხელი დაასხა თბილისის სასულიერო აკადემიის II კურსის სტუდენტს რევაზ ტულუშს, რომელიც ქალაქ რუსთავის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში იმსახურებს.

* * *

16 იანვარს შემოქმედელმა მთავარეპისკოპოსმა იოსებმა (კიკვაძე) შემოქმედის საკათედრო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი ბერდიაკონ იოსებს (ღლონტი) და დაადგინა მღვდელმსახურად ლიხაურის ღვთისმშობლის შობის და აჭის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიებში.

* * *

23 იანვარს შემოქმედელმა მთავარეპისკოპოსმა იოსებმა (კიკვაძე) შემოქმედის საკათედრო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი დიაკონ მოსე ჩხარტიშვილს და მღვდელმსახურად ნაგომარის წმიდა მარინეს სახელობის ეკლესიაში დაადგინა.

ცვლილებები თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში

31 იანვარს, საშობაო არდადეგების შემდეგ, თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში და საღვთისმეტყველო ინსტიტუტში სწავლა განახლდა.

როგორც უკვე ცნობილია, თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიას სათავეში კვლავ უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ჩაუდგა (იხ. „საპატრიარქოს უწყებანი" №4). უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ბრძანებით, აკადემიისა და სემინარიის პროორექტორად დაინიშნა საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარე, სიონის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვარი, პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი.

აღსანიშნავია, რომ პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი 1990-93 წწ. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი იყო.

კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ბრძანებით, დეკანოზი გიორგი ზვიადაძე დანიშნულია საღვთისმეტყველო ინსტიტუტის პროორექტორად. საღვთისმეტყველო ინსტიტუტი მოიცავს ქრისტიანული ანთროპოლოგიისა და ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტებს.

ერთი დაზუსტება

გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა პუბლიკაცია „წმიდა სამების ტაძარი ნუკუბიძის პლატოზე" (გვ. 8) ამ პუბლიკაციასთან დაკავშირებით გვსურს, გავაკეთოთ ერთი დაზუსტება:

წმიდა სამების ტაძარი ნუკუბიძის ფერდობზე აღგო თენგიზ და ირაკლი ანბების მიერ შემოწირული თანხით, მღვდელ ამბროსი მაისურაძის მიერ.

სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვარის მამას"-თან არსებული სამედიცინო სამსახური ატარებს უფასო კონსულტაციებს:

ქირურგი (საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაზიანებები, სისხლძარღვების დაავადებები, მუცლის ღრუს ორგანოების დაავადებები) 6 თებერვალი 12.00-14.00

თერაპევტი - 9 თებერვალი 11.00-15.00

ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი – 10 თებერვალი 11.00-15.00

ტრავმატოლოგ-ორთოპედი, მტევნის (ხელის) და ტერფის ტრავმატოლოგ ორთოპედი პ. ლუდუშაური -12 თებერვალი 12.00-14.00

კარდიოლოგი - ყოველდღე 11.00-15.00

ინფორმაციისთვის დარეკეთ:
98 90 12; 8 99 57 65 31

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული საღვთისმსახურო წიგნების შესწავლისა და რედაქტირების კომისიის განცხადება

გაცნობებთ, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 2000 წლის ნოემბრიდან საქართველოს საპატრიარქოსთან დაარსდა ჰიმნოგრაფიის ცენტრი, რომელიც უფლებამოსილია, გაეცნოს ყველა სახის ლიტურგიკულ ნაშრომს, როგორც ახლადშექმნილ განგებებს, პარაკლისებს, დაუჯდომელებს, ტროპარ-კონდაკებსა და სხვა ნებისმიერი ფორმის ლოცვებს, ისევე – უცხო ენიდან თარგმნილს.

ჰიმნოგრაფიის ცენტრი ექვემდებარება საპატრიარქოსთან არსებულ საღვთისმსახურო წიგნების შესწავლისა და რედაქტირების კომისიას (თავმჯდომარე ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი)). კომისია უფლებამოსილია, შეამოწმოს გამოსაცემად გამზადებული ნებისმიერი ლიტურგიკული ძეგლი – ახლად მოძზადებული თუ მანამდე დაბეჭდილი.

ამავე გაზეთში გაკეთებული განცხადების მიუხედავად, კომისიის გვერდის აქვლით მაინც გამოიცემა და ვრცელდება საღვთისმსახურო კრებულები თუ სხვადასხვა სახის ლოცვანი, სადაც, სამწუხაროდ, მრავალგვარ შეცდომას შეხვდებით.

კომისია მოგმართავთ თხოვნით: გაითვალისწინეთ ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები.

მასალები შეგიძლიათ, მოგვაწოდოთ საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში (ტ. 98-95-42).

ფოტოალბომი

სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი I (სიმანსკი) სტუმრად ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში

ხხედან მარცხნიდან: ნინოწმიდელი ეპისკოპოსი დიმიტრი (იაშვილი), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ III (ფხალაძე), ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ეფრემი (სიდამონიძე, შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი);

დგანან: რუსეთის პატრიარქის მდივანი კარპოვი და თბილისის წმიდა ალექსანდრე ნეველის ტაძრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ზინობი (მაჟუგა, შემდგომში თეთრიწყაროელი მიტროპოლიტი).

საგურამო
1952 წლის ოქტომბერი

ფოტო მოგვაწოდა ქ-ნმა ნინო ლოლაძემ

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგრონიძე

გამოვიდა საბავშვო გაზეთ
„ალილუია“-ს
ახალი 3(40) ნომერი.

გარეკანის პირველ გვერდზე:
ჯვრის მონასტერი
მხატვარი ელენე ახვლედიანი

გამოდის, გაზეთს გაურთიანდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის“ ელ.ფოსტა: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელეფონი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ციბერიძე,
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი ციბერი (ბოლოქაძე), ფეტანური ფავლე ფარაჯანიძე, ლუარსაბ ტოგრონიძე, გიორგი ბაბუა, ნანა ოსარაშვილი, ხათუნა რაფიაშვილი, ნინა ბერიძე, ოსმან ასათიანი,
დამკაბადონებელი: კახაბერ მაისურაძე, **ოპერატორი:** ზოია ბერაძე.

დასაწყისი მე-4 გვ.

დოქტორის, პროფესორ დავით ნინიძის ცნობით, თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული ტაძრების – ოშკის, ხუცლის, პარხალის, იშხანის, ოპიზის, ბანას, დოლისყანის, ოთხთა ეკლესიის და ტბეთის კომპლექსების ფიზიკური მდგომარეობის შესწავლისა და დაფიქსირების შემდგომ აშკარა გახდა, რომ ზოგიერთი მათგანი, არსებული რეალობიდან გამომდინარე, კარგ მდგომარეობაშია. მაგალითად, ხახული და პარხალი.

ძეგლის გადარჩენა და ნორმალურ მდგომარეობაში ყოფნა იმითაა განპირობებული, რომ თურქებს მათში მეჩეთები მოუწყვიათ. ამის გამო ასეთი ისტორიული ძეგლები ნაკლებ დაზიანებულია ან კარგად არის შენახული.

ძეგლების მეორე ნაწილი საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოებს საჭიროებს, რის შედეგადაც მაქსიმალურად შესაძლებელია მათი ისტორიული სახის შენარჩუნება, მაგალითად, ოშკი, იშხანი, დოლისყანა, ოთხთა ეკლესია შესასწავლია და ჯერ კიდევ შეიძლება უნიკალური ფრესკების გადარჩენა, რომელთაც სასწაულებრივად მოაღწიეს ოცდამეერთე საუკუნემდე.

ზოგიერთი ძეგლის მდგომარეობა საგანგაშოა, მაგალითად, საგალალი ვითარებაა ტბეთში, კიდევ უფრო მძიმეა ოპიზის სურათი – ორივე XX საუკუნის 60-იან წლებში დაზიანდა აფეთქებათა შედეგად; ასევე, საგალალოა ბანას მდგომარეობა, რომელიც XIX საუკუნეში, ყირიმის ომიდან მოყოლებული განსაკუთრებით ზიანდება. გადაუდებელ დახმარებას საჭიროებენ ხანძთა, შატბერდი, წყაროსიანი და სხვ. მაგალითისთვის გამოდგება ოშკი და მისი ქტიტორების მოხატულობა, ვედრების სკენა მაცხოვრისადმი. 2001 წელს მაცხოვრის გამოსახულებას ხის დროებითი საყრდენი ჰქონდა, 2003 წელს ეს საყრდენიც ალარ არსებობს, რის გამოც დიდი ჩამოვარდნის საშიშროება – ისევე, როგორც ადრე ღვთისმშობლის გამოსახულება ჩამოვარდა. სულ ბოლო ხანს დოლისყანაში დაიკარგა ძალზე საინტერესო მზის საათი – ამბობენ, რომ იგი განძის მაძიებლებმა დაანგრიეს.

ბერთუბნის დაბრუნების საკითხი ისევ ეფუძვლება

მეექვსე საუკუნეში, თბილისიდან 60-70 კილომეტრის მოშორებით, გარეჯის ბუნებრივ მღვიმეებში დასახლდა და მონასტერი დააარსა ერთ-ერთმა ასურელმა მამამ – დავით გარეჯელმა. დროთა განმავლობაში დავითის ლავრას შეემატა მონასტრები და მათმა რიცხვმა 12-ს მიაღწია. შემდეგ თანდათან ჩამოყალიბდა შორი-შორს მდებარე გამოქვაბულ-მონასტერთა კომპლექსების ქსელი – წამებული, ნათლისმცემელი, ჩიჩხიტური, თეთრსენაკები, დოდოს რქა, უდაბნო, აღდგომისა, წამებული, ბერთუბანი, მღვიმე, ქოლაგირი, დიდიქვაბები, ვერანგარეჯა, პირუკულმარი, პატარა ქვაბები.

ისტორიული ქარტეხილების ჟამს დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი მრავალჯერ იქნა დარბეული, გაჩანაგებული და ხელახლა აღორძინებული. XX საუკუნის 20-იან წლებში სერგო ორჯონიკიძემ დავით გარეჯის მთლიანი ტერიტორია აზერბაიჯანს მისცა საძოვრებად. მოგვიანებით, ივანე ჯავახიშვილის, პავლე ინგოროყვასა და კონსტანტინე გამსახურდიას ძალისხმევით მოხერხდა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის გადაწევა, მაგრამ ბერთუბანი, სადაც შემორჩენილია წმიდა კეთილმირწმენე მეფის თამრისა და ლაშა-გიორგის ფრესკები, მაინც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დარჩა.

ბოლო დროს საუბარი დაიწყო ამ ტერიტორიის საქართველოსთვის დაბრუნების თაობაზე. უახლოეს ხანებში უნდა გაიმართოს მხარეების შეხვედრა საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის საკითხებზე. აზერბაიჯანული სააგენტო „ტრენდის“ ცნობით, ორ ქვეყანას შორის სასაზღვრო მონაკვეთის თითქმის 60 პროცენტი, შეუთანხმებელია. საქართველოს მხრიდან გახშირდა აზერბაიჯანში მესამე ქვეყნის მოქალაქეების გადასვლის ფაქტებიც. საქმე ეხება ტურისტებს, რომლებიც ნაწილობრივ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის დასათვალიერებლად გადადიან. დავით გარეჯის კომპლექსთან დაკავშირებით ქართული მხარე ტერიტორიების გაცვლის ინიციატივით გამოდის, რასაც აზერბაიჯანული მხარე კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

ხელდასხმა

13 თებერვალს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, თბილისის ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში დიაკვნად დაასხა ხელი თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულს ზვიად ბარკალაიას, რომელიც სიონის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

წირვა-ლოცვა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულზე

25 თებერვალს ოკერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული აღინიშნება. დღესასწაულთან დაკავშირებით 24 თებერვალს, 16 საათზე, მახათას მთაზე მდებარე ოკერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის

დასასრული მე-6 გვ.

ქრონიკა, ინფორმაცია

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კოლხური კოშკი მოინახულა

17 თებერვალს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II კოლხური კოშკი მოინახულა, რომელიც უკანასკნელ დღეებში კიდევ ერთხელ გაიძარცვა. უწმიდესმა სანთელი დაანთო კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიას საფლავებზე, მათი ოჯახის წევრებს კი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი გადასცა საჩუქრად.

საგარეო საქმეთა მინისტრი კათოლიკოს-პატრიარქს შეხვდა

18 თებერვალს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კირილე ლავროვი საქართველოს საპატრიარქოს ეწვია. იგი შეხვდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია II. შეხვედრის დროს კათოლიკოს-პატრიარქმა აღნიშნა, რომ ორივე ქვეყნის მოსახლეობა მომხრეა მშვიდობიანი და კეთილმეზობლური თანაცხოვრებისა და, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა აფხაზეთისა და შიდა ქართლის საკითხის გადაწყვეტაა. პატრიარქმა აღნიშნა, რომ რუსეთმა ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. საუბარი ასევე შეეხო საუზო რეგიონთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ხელდასხმა

20 თებერვალს უწმიდესმა დ უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულს, დიაკვან დავით ქალაბაშვილს და დიაკვნად აკურთხა სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული, გიორგი ჭილაშვილი.

სამლოცველო ქუთაისში

2002 წელს, ქუთაისის ჰუმანიტარულ ლიცეუმში, ლიცეუმის დირექტორის, ქალბატონ მზია ყანწაველის, პედაგოგებისა და მასწავლებლების ძალისხმევით, წმიდა იოანე ოქროპირის სახელობის სამლოცველო გაიხსნა. ამ დროიდან მოყოლებული, წმიდა იოანე ოქროპირის ხსენების დღე, 9 თებერვალი, აქ განსაკუთრებით აღინიშნება. წელსაც, აღნიშნულ სამლოცველოში, წმიდა დავით და კონსტანტინეს სახელობის ტაძრის წინამძღვარმა პარაკლისი გადაიხადა, რასაც მოჰყვა მრევლის დალოცვა, ზეთის ცხება, ხატებისა და ჯვრების კურთხევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულს წინ უძღოდა ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილი. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, ქალბატონი მარინა უკლებას ხელმძღვანელობით მოსწავლეებმა წმიდა ილია მართლის შემოქმედების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა გამოამჟღავნეს. აღსანიშნავია, რომ ლიცეუმის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტში მოსწავლეებს აქვთ საშუალება გაეცნონ მართლმადიდებლურ ლიტერატურას.

ქართველ მეომართა პანაშვიდი

საზოგადოება „აგვისტო 1924“-ის ინიციატივით, შაბათს, 26 თებერვალს, 14 სთ-ზე ქაშუეთის ეკლესიაში ნატარდება 1921 წელს რუსეთ-საქართველოს თებერვალ-მარტის ომში კოჯორთან და ტაბახმელასთან დაღუპული ეროვნების, უნივერსიტეტის სტუდენტების და სხვა ქართველ მეომართა პანაშვიდი. ღვთისმსახურებას აღავლენს იღუმენი ლაზარე (ვაშაძე).

ღვაწლმოსილი მღვდელმთავრის გახსენება

25 თებერვალს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდებოდა მიტროპოლიტ კონსტანტინე მელიქიძეს. ამ თარიღთან დაკავშირებით, მის საფლავთან (ხიონის საკათედრო ტაძრის ეზოში) 12-საათზე გადახდილი იქნება საგანგებო პანაშვიდი; მეუფის საიუბილეო თარიღი სათანადოდ აღინიშნება მარგვეთის ეპარქიაში, რომლის სულიერ წინამძღოლი იყო იგი სიცოცხლის ბოლო წლებში. მისი ღვაწლისა და საქმიანობის უკეთ გაცნობის მიზნით გაიმართება შეხვედრა: „უფლისმიერი სიყვარულის მაგალითი-კონსტანტინე მელიქიძე“.

მელიქიძეთა საგვარეულო დარბაზის გამგეობის სახელით პროტა მელიქიძე

ჩვენი სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქო მწუხარებით იუწყება, რომ 20 თებერვალს გარდაიცვალა წალენჯიხის ფერისცვალების სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი **რომანოზ ჩიქოვანი.**

უფალმა დააწესოს დეკანოზ რომანოზის სული იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოთ მისი სული.

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვარის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური ატარებს უფასო კონსულტაციებს:

ნეფროლოგი (თირკმლის დაავადებები) – 25 თებერვალი, 15.00-დან 16.00-მდე;

ენდოკრინოლოგი – 27 თებერვალი, 12.00-დან 14.00-მდე.

ოფთალმოლოგი – 5 მარტი 12.00-14.00

ტელეფონი – 98 90 12
8 99 57 65 31.

ფოტოალბომი

მღვდელი შიო რეხვიაშვილი

/1868-1941/

მღვდელი შიო რეხვიაშვილი დაიბადა რაჭაში, სოფელ ჭიორაში 1868 წელს თევდორე რეხვიაშვილის ოჯახში. სიყმაწვილიდანვე გამოირჩეოდა ღვთისმსახურებისადმი სიყვარულით. დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. წლების მანძილზე მსახურობდა ჭიორის წმიდა გიორგის ეკლესიაში მედავითნედ მღვდელ ეგნატე მეტრეველთან. ასევე მასწავლებლობდა სოფელ ხირხონისში და ღებში. იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. ეხწრებოდა თბილისში 1917 წელს გამართულ I საეკლესიო კრებას. 1919 წელს დეკანოზ ვასილ დოლაბერიძის წარდგენით ქუთაისის საკათედრო ტაძარში ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა ნაზარმა /ლეჟავა/ იგი მღვდლად აკურთხა. მოღვაწეობდა მშობლიურ სოფელში. კომუნისტების მიერ ჭიორის წმიდა გიორგის ტაძრის ძალადო ბით დახურვის მიუხედავად, იგი მაინც აგრძელებდა ღვთისმსახურებას. მისი ერთ-ერთი ვაჟი აკაკი 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა. მღვდელი შიო რეხვიაშვილი გარდაიცვალა 1941 წელს, დაკრძალულია საგვარეულო სასაფლაოზე.

ფოტო გადაღებულია 1926 წელს, ეთნოგრაფ სერგი მაკალათიას მიერ. მასზე აღბეჭდილნი არიან: მღვდელი შიო, მეუღლე პელაგია, რძალი ადელკი და შვილიშვილი ნოე.

მოგვაწოდა მამა შიოს შვილიშვილმა, ქალბატონმა ლია ვასილის ასულმა რეხვიაშვილმა.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლშარსაგ ტოგონიძე

ფრთხილად, სექტაა!

ბოლო დროს თბილისის ქუჩებში გამოჩნდა ლურჯი ფერის პლაკატები, რომლებიც ადამიანებს კიევიდან ქრისტიანული შემეცნების პროგრამის პირდაპირი ტრანსლიაციის სიყურებლად და ეროვნულიური „ჯანმრთელობის ლექციებზე" დასასწრებად იწვევენ. ვრცელდება ასევე მოსაწვევები, რომელიც

ანალოგიური შინაარსის მქონეა. მოსაწვევების გამავრცელებლები განმარტავენ, რომ ისინი წარმოადგენენ „ჭეშმარიტ მართლმადიდებელ მოძღვრებას ეკლესიის". მოსაწვევზე მითითებული web-გვერდის გაცნობამ ცხადყო, რომ საქართველოში ბოლო ხანებში გაიტიურებული „მოსიონერები" სექტის - „ეკ-7 დღის აღვენტისტები" წევრები არიან.

გამოვიდა საბავშვო გაზეთ **„ᲐᲚᲘᲚᲣᲘᲐ"**-ს ახალი 4(41) ნომერი.

გამოვიდა ჟურნალი **„ᲓᲘᲓᲐᲥᲚᲔᲡᲘᲐ"** №6

ᲒᲐᲠᲔᲥᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ: ᲬᲐᲠ-ᲙᲚᲐᲠᲯᲔᲗᲘ, ᲮᲐᲮᲣᲚᲘᲡ ᲬᲐᲫᲠᲘᲡ ᲑᲐᲠᲔᲚᲘᲔᲤᲘ.

ᲒᲗᲮᲝᲕᲗ, ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲣᲬᲠᲗᲮᲘᲚᲘᲚᲘᲗ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

„ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲐᲡ" ᲕᲔᲑ.ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: http://www.patriarchate.ge

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲘᲠᲐᲙᲚᲘ II ᲛᲘᲬᲘᲡᲜᲐᲚᲘ №1

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 98-95-41.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: ᲜᲘᲜᲝ ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ: ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲒᲝᲒᲘᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲗᲐᲗᲐᲠᲨᲘᲡᲬᲚᲘ),
ᲠᲔᲖᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ ᲨᲐᲠᲐᲕᲔᲜᲘ, ᲚᲘᲖᲐ ᲩᲘᲠᲩᲘᲚᲐ, ᲜᲘᲜᲝ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ, ᲜᲘᲜᲝ ᲒᲝᲠᲯᲐᲫᲔ,
ᲮᲐᲢᲣᲜᲐ ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲕᲐ, ᲜᲘᲜᲐ ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲘ, ᲗᲘᲛᲣᲠ ᲐᲚᲐᲗᲘᲜᲘ,
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲚᲘ: ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ, **ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲘ:** ᲜᲘᲜᲝ ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

დასაწყისი მე-5 გვ.

ქართული ენაზე აღავლინა წირვა. წირვას ესწრებოდნენ საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი იტალიაში, ბატონი ზაალ გოგსაძე, საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი ვატიკანში, ქალბატონი ქეთევან ბაგრატიონი და სხვა ოფიციალური პირები.

დღესდღეობით რომში მცხოვრები ქართველი მართლმადიდებელი ქართული ტაძრისა და სამრევლოს არარსებობის გამო, იძულებულნი არიან, რუსულ ან ბერძნულ ეკლესიებში დაესწრონ წირვა-ლოცვას და იმედოვნებენ, რომ საქმიანობლოსაგან დაშორებულთ მალე მიეცემათ საშუალება, ქართულ ეკლესიაში ადიდონ უფალი.

ხელდასხმა

6 მარტს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში დიაკვნად დაასხა ხელი ვლადიმერ ქარელს. იგი დიდუბის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში იმსახურებს.

განცხადება

დიდი მარხვის დაწყებასთან დაკავშირებით, საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის მუშაობა დროებით შეწყდება მარხვის პირველ კვირას. ცენტრის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს სხდომები განახლდება 16 მარტიდან.

საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრი.

დიდი მარხვის წინ ეკლესია იხსენებს ადამის სამოთხიდან განდევნას

„განიძარცუეთ ძველი იგი კაცი“

ადამმა ღვთის მცნება დაარღვია და მზაკვარ გველს მოუსმინა, რითაც საკუთარი თავი მიჰყიდა ეშმაკს; სულში კი – ამ მშვენიერ ქმნილებაში – მზაკვარი სული დაუსახლდა... მოციქული ცოდვილი სხეულისა და სიკვდილის შესახებ ბრძანებს: „ხორცი ცოდვისაი“ (რომ. 6, 6) და კიდევ: „ვინ-მე მიხსნეს ხორცთა ამის სიკუდილისათა?“ (რომ. 7, 24). სული არც ღვთიური ბუნებისაა და არც მზაკვარი წყვდიადის, მაგრამ გონიერი ქმნილებაა, დიდებული და საოცარი, ღვთის მშვენიერი მსგავსება და ხატებაა; წყვდიადის ვნებათა მზაკვრობა დანაშაულის შედეგად შეეკიდა მასში.

სამოთხიდან განდევნა

მზაკვარი თავადი – წყვდიადის მეუფე, თავდაპირველად აბეზარებს ადამიანს; მან ისე მოიცვა კაცის სული წყვდიადის მეუფეებით, როგორც მოსაკენ ადამიანს, რათა იგი მეფედ აკურთხონ და უბოძონ ყველა სამეფო შესამოსელი. ასე მოიცვა მზაკვარმა მთავარი ცოდვით სული, მოკლა მისი ბუნება, ყველაფერი შებილწა მასში და თავისი სამეფოს ტყვეობაში მოიქცია, თავისი ძალაუფლებისაგან თავისუფალი არ დატოვა, მოლიანად წყვდიადის მანტიით შეკრა იგი. როგორც ავადმყოფობის დროს სხეულის მხოლოდ ერთ ნაწილს კი არ სტკივა, არამედ იგი მთლიანად იტანჯება, ასევე სულიც მთლიანად ვნებულია ბინისა და ცოდვის უძლურებისაგან. მზაკვარმა მთლიანად მოიცვა სული თავისი ბოროტებით, ანუ ცოდვაში ჩაძირა; სხეული ვნებული და ხრწნადი გახდა.

რიდესაც მოციქული ბრძანებს: „განიძარცეთ ძველი იგი კაცი“ (კოლ. 3, 9), გულისხმობს სრულყოფილ ადამიანს; მზაკვარმა შერყვნა და თავისკენ გაიყოლა ძველი ადამიანი, შებილწული, არაწმიდა, ღვთისმებრძოლი, ღვთის კანონის მიმართ ურჩი – რათა ადამიანს უკვე ისე კი არ აღექვა ყოველივე, როგორც მას სურდა, არამედ ყველაფერი დაენახა და გაეგო მზაკვრულად, ბოროტება და უკანონობა აღესრულებინა, გულშიც მზაკვრობა ჩაბუდებოდა.

ძველმა ადამიანმა ჩამოიხსნა სრულყოფილი ადამიანი და შეიმოსა სამოსი წყვდიადის მეუფისა, გონებისა, ურწმუნოებისა, ღვთის გმობისა, პატივმოყვარეობისა, ამპარტავნებისა, ვერცხლისმოყვარეობისა, ვნებებისა და სხვა ბოროტებისა.

სწორედ ამის მიღწევა სურდა მტერს, რომ ადამის დანაშაულით დაუსაბამა და დაუბნელებინა შინაგანი ადამიანი, ღვთის მშვენიერი, ბუნებაზე გაბატონებული გონება. როდესაც მისი თვალებისათვის მიუწვდომელი გახდა ზეციური მადლი, მზერა უკვე ბოროტებისა და ვნებებისათვის აეხილა.

იმ დღეს, როდესაც ადამი დაეცა, უფალი სამოთხეში მივიდა,

გაგრძელება მე-7 გვ.

ფოტოალბომი

საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავარნი 1892 წელს

ხხედან მარცხნიდან: ალავერდელი ეპისკოპოსი ბესარიონი (დადიანი) +1900, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი (დადიანი) +1907, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) +1896, მიტროპოლიტი პალადი (რაევი) (საქართველოს ეგზარხოსი 1887-1892 წლებში), გორის ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე) +1907, სოხუმის ეპისკოპოსი ალექსანდრე (ხოვანსკი) (სოხუმის ეპარქიას განაგებდა 1889-1893 წლებში), არქიმანდრიტი ტიხონი მოროშკინი (თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი). *დგას:* რუსი არქიმანდრიტი მელეტი.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლშარსაბ ტოფურიძე

გამოვიდა საბავშვო გაზეთ „ალილუია“-ს ახალი 5(42) ნომერი.

გარეკანის პირველ გვერდზე: ვარძიის მონასტრის ფრესკა

მეხუთე, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო

„საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ილიაწმ. II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი ფიფიტრი (ბეთელაშვილი), ფანასეტი ფანეთი შარაშენიძე, ლეონარა ტოფურიძე, გიორგი გაბუნ, ნათია თარაშვილი, ხათუნა რამიშვილი, ნინა გოლუბაია, თამარ ასათიანი,
დამკაბადონებელი: აბაკარ მაისურაძე, **ოპერატორი:** ზოია კოზახიძე.

ქრონიკა, ინფორმაცია

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსის წოდება მიენიჭა

უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსის წოდება მიენიჭა. შესაბამისი ინიციატივით აკადემიის ახლადარჩეული პრეზიდენტი, ბატონი თამაზ გამყრელიძე თებერვლის დასაწყისში გამართულ საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე გამოვიდა. მის წინადადებას საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ამჯერად, 11 მარტს გამართულ აკადემიის საერთო კრებას ესწრებოდა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 100 წევრი. კრებამ კვლავ ერთხმად დაუჭირა მხარი აღნიშნულ წინადადებას.

სხდომის დასაწყისში ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ დამსწრეთ კათოლიკოს-პატრიარქის ბიოგრაფია გააცნო. სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ ბატონი შოთა ნადირაშვილი, ბატონი დავით მუსხელიშვილი, ქალბატონი მარიკა ლორთქიფანიძე და ბატონი რევაზ მეტრეველი.

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვარის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

ოტო-რინო-ლარინგოლოგი – 16 მარტი, 15.00-დან 17.00საათამდე;

ანგიოლოგი (სისხლძარღვების დაავადებები) – 19 მარტი, 13.00-დან 15.00 საათამდე;

ნეკროპათოლოგი – 20 მარტი, 13.00-დან 15.00 საათამდე;

ნეკროლოგი (თირკმლის დაავადებები) – 21 მარტი, 15.00-დან 17.00საათამდე;

დერმატოლოგი – 24 მარტი, 15.00-დან 17.00საათამდე.

ცნობებისათვის დარეკეთ: 98 90 12; 8 99 57 65 31.

ხელდასხმა

კვირას, 13 მარტს, უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II, წმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში დიაკვნად დაასხა ხელი წალკის რაიონის სოფელ ოლიანკის ღვთისმშობლის სახელობის მამათა მონასტრის ბერს შიოს (კვარაცხელია). ბერ-დიაკონი შიო კვლავ ღვთისმშობლის სახელობის მონასტერში იმსახურებს.

* * *

13 თებერვალს ბათუმის საკათედრო ტაძარში ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოსმა დიმიტრიმ (შიოლაშვილი) მღვდლად აკურთხა დიაკონი თეიმურაზ ყურავა და მღვდელმსახურად დაადგინა ოლადაურის, შუახევისა და სხალთის ტაძრებში.

* * *

3 მარტს ცხუმ-აფხაზეთის, სამხერეთისა და ჭიათურის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილი) სამხრეთის საკათედრო ტაძარში დიაკვნად აკურთხა მკითხველ ვლადიმერ ჯაფარაშვილი, და სახელად უწოდა ნიკოლოზი. დიაკონი ნიკოლოზი სავანის წმიდა გიორგის ტაძარში იმსახურებს.

რუსთაველი მომლოცველები წმიდა სამების ტაძარში

დიდი მარხვის წინა შაბათს (12 მარტი), მეოთხე ათასეულს (ნახევაშვილი) კურთხევით, ქალაქ რუსთავის წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძრის 500-მდე მართლმადიდებელი ფეხით გამოეშართა წმიდა სამების საპატრიარქო ტაძრის მოსალოცად. ჯვრის ხელმძღვანელობდა დეკანოზი ალბერტ ტაბატაძე. მიმართულ მოეფლა. რუსთაველი მოეფლა ბის შემდეგ, ეწვია წმიდა სამების ტაძარს და მოილოცა იგი. ისინი შეხვდნენ უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II, რომელმაც დალოცა რუსთაველი მორწმუნეები და მათ სანუგეშოდ წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის ხატები გადასცა.

ეს ერთობლივი სვლა წმიდა ილია მართლის სახელობის პილიგრიმული გაერთიანების მიერ იყო ორგანიზებული.

შეცდომების გასწორება

„საპატრიარქოს უწყებანში“ (№10) გაიპარა უზუსტობა: სტატიაში „ქვათა ღაღადი მოლნისში“ 21-ე გვერდზე „დეკანოზი დ. ხახუტაიშვილის“ ნაცვლად უნდა იყოს „დეკანოზი დ. ხახუტაშვილი“.

ახალი პროექტი „გავიხსენოთ საქართველო“

10 მარტს საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა პრეზენტაცია. აღნიშნული პროექტის ორგანიზატორები არიან სრულიად

გაგრძელება მე-10 გვ.

ფოტოალბომი

მარცხნიდან: დეკანოზი ნიკოლოზ ბერეკაშვილი (ქუთაისის პეტრე-პავლეს სახელობის საკათედრო ტაძრის დეკანოზი); ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაუმი (შავიანიძე) 1889-1969; მღვდელი ტრიფონ სულაკაძე (მოწამეთას წმიდა დავით და კონსტანტინეს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი).

ფოტო გადაღებულია ქუთაისში, 1964 წელს. მოგვაწოდა მიტროპოლიტ ნაუმის შვილიშვილმა მარინე შავიანიძემ.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე

გამოვიდა საბავშვო გაზეთ „ალილუია“-ს ახალი 5(42) ნომერი.

გარეკანის პირველ გვერდზე: ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძრის საკურთხეველი. ფოტო გადაღებულია 2004 წლის 22 ნოემბერს, ტაძრის კურთხევის წინა დღეს, ლუარსაბ ტოგონიძის მიერ.

ბეჭდვის, ბაჭვის გაფორმებისთვის გამზადებული მასალების გამოყენებით „საპატრიარქოს უწყებანი“ ჟურნალი: http://www.patriarchate.ge
ფასი: ერთი II ფურცელი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელეფონი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ციციშვილი,
საredაქციო კოლეგია: ეფთიმეს ეპისკოპოსი ფეიქრიანი (ფეიქრიშვილი), ფეოდორე ფანდი ზარიშვილი, ფეოფილე ტალიანი, ეფრემ ბაბა, ნანა ცინცაძე, ალეკო ტანდილავა, ნანა კოტლია, ეთერ ასათიანი,
ფოტოკორესპონდენტი: ანანია ბაისარაშვილი, **ტექნიკური:** ზურაბ კოტანიძე.

დასაწყისი მე-6 გვ.

ცესები. რეფორმები საჭირო, მაგრამ ამავე დროს აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნას ის პრობლემები და რეალობა, რაშიც ეს ადამიანები რეფორმების შედეგად აღმოჩნდებიან.

ჩვენ მეტად გვაწუხებს სამედიცინო კოლეჯის სტუდენტებთან დაკავშირებით ამჟამად შექმნილი მდგომარეობა. სიტუაციის განსაკუთრებულობას განაპირობებს ის, რომ არასრულწლოვან მოშიმშილეებთან გვაქვს საქმე.

მე ვესაუბრე განათლების მინისტრს და ვთხოვე, ჩარიცხული ახალგაზრდები ძველი შეთანხმებისამებრ მიეღოთ უმაღლეს სასწავლებელში, ხოლო ახალი წესები გამოუყენებინათ კოლეჯში მომავალ სასწავლო წელს მიღებულთადმი.

უნდა ითქვას ისიც, რომ ახალი კანონით უმაღლეს სასწავლებელში განსაზღვრული რაოდენობის აბიტურიენტთა მიღებას ეს ბავშვები ხელს არ უშლიან, რადგან ძველი წესით მათი ჩარიცხვა ხდებოდა ზედა კურსებზე, ეს კი ბუნებრივად გამორიცხავს მათ კონკურენციას I კურსზე წელს მისაღებ კონტიგენტთან მიმართებაში.

ამჯერად მივმართავ ხელისუფლებას და ვთხოვ, რომ, მართალია, სახელმწიფო კანონების მიხედვით უნდა მოქმედებდეს, მაგრამ ზოგჯერ საჭირო კომპრომისიც. გასაგებია, რომ განათლების მინისტრი აღმასრულებელი პირია და მიღებულ კანონს ვერ დაარღვევს. ამ შემთხვევაში საკანონმდებლო ხელისუფლებამ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება. ასეთი ნაბიჯი კი უნდა გადადგას, რომ საშიშროების წინაშე არ აღმოჩნდეთ და თავიდან ავიცილოთ სერიოზული გართულებები.

მე აგრეთვე მივმართავ კოლეჯის სტუდენტებს: შიმშილობა არ არის ქრისტიანული ფორმა პროტესტისა; თქვენი ჯანმრთელობა საფრთხეშია და გთხოვთ, შეწყვიტოთ შიმშილობა.

გამოთქვამ იმედს, რომ ხელისუფლება სიბრძნით მოეკიდება აღნიშნულ საკითხს, ახალგაზრდების მოთხოვნებს შესაძლებლობისამებრ გაითვალისწინებს და მიღწეული იქნება შეთანხმება.

20 მარტი, 2005 წ.

ხელდასხმა

20 აპრილს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში დიაკვნად დაასხა ხელი თბილისის სასულიერო აკადემიის IV კურსის სტუდენტს კახაბერ შურღაიას. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მდებარე წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარში იმსახურებს.

დაჯილდოება

20 მარტს, მართლმადიდებლობის ზეიმზე ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II მიტრის ტარების უფლებით დააჯილდოვა უნივერსიტეტის, წმიდა დავით აღმაშენებლის სახ. ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი მიქაელი (წურწუმია).

უფასო კონსულტაცია

„ჯვარის მამას"-თან არსებულ სამედიცინო სამსახურში ჩატარდება უფასო კონსულტაციები:

დერმატოლოგი: 24 მარტი 15.00-17.00

ალერგოლოგი: 26 მარტი 14.00-16.00

ქირურგი (მუცლის ღრუს ორგანოების დაავადებები) 27 მარტი 13.00-15.00

ინფორმაციისთვის დარეკეთ:
98 90 12; 8 99 57 65 31

კეთილმორწმუნე მეფე მუდამ მარხულობდა, მხურვალედ ლოცულობდა და ყოველ ღამე ღვთის წინაშე ათას ხუთასჯერ იდრეკდა მუხლს

წმიდა მეფე დემეტრე თავდადებული (+1289)

მონღოლეთში აბარა ყაენის გარდაცვალების შემდეგ ყაენის ტახტისთვის ხაშხელი ბრძოლა დაიწყო, ერთმანეთის აბარას ძმა, აქმადი და შვილი, არღუნი ებრძოდნენ. სწორედ ამ დროს საქართველოს განაგებდა მეფე დემეტრე. კაცი ახოვანი, ფერითა ალერეოვანი, კარგი მეომარი, უხვი, მოწყალე და მდაბალი, ვლახეთა, ქვრივთა და დავრდომილთა მანუგეშებელი. მემატიანე გვიამბობს, რომ მეფეს ჩვეულად ჰქონ-

გაგრძელება მე-8 გვ.

დასაწყისი მე-5 გვ.

ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის საკონსულტაციო საბჭო არ შედგება.

საპატრიარქოს ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრი

„ჯვარის მამასთან" არსებულ სამედიცინო სამსახურში ჩატარდება შემდეგი კონსულტაციები:

ოფთალმოლოგი – 2 აპრილი 14.00-16.00

ქირურგი (მუცლის ღრუს ორგანოების დაავადებები) – 3 აპრილი 14.00-15.00

თერაპევტი – 6 აპრილი 11.00 - 14.00

კარდიოლოგი – ყოველდღე 11.00 – 14.00

ინფორმაციისთვის დარეკეთ 98 90 12; 899 57 65 31

ბერად აღკვეცა

27 მარტს თბილისის ფერიცვალების მამათა მონასტერში იღუმენმა ბართლომემ (ფირცხალაშვილი) ბერად აღკვეცა მორჩილები: ნიკოლოზ კაპანაძე (და სახელად აარონი უწოდა) და ნაზარი აბრამიშვილი (სახელად უწოდა ელისე).

* * *

27 მარტს, სვეტიცხოვლის 12 მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში, იღუმენმა ისააკმა (ლადუა) ბერად აღკვეცა მორჩილები: გულადი ბუსკანაძე (სახელად ეკვთიმე უწოდა), მალხაზ თელია (სახელად გიორგი უწოდა) ნიკოლოზ შავერდაშვილი (სახელად იაკობი უწოდა).

ხელდასხმა

27 მარტს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი ბერდიაკონ ითაზეს (ვეფხია), რომელიც იმსახურებს დიაკონის საკუთელი მეურნეობის ტერიტორიაზე არსებულ ნაქულბაქევის წმიდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში.

იმავე დღეს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში დიაკვნად დაასხა ხელი წალკის რაიონის სოფელ ოლიანკას ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის მამათა მონასტრის ბერ საბას (ქირია). იგი იმავე მონასტერში იმსახურებს.

* * *

27 მარტს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილი) მარტყოფის ღვთაების მამათა მონასტერში დიაკვნად დაასხა ხელი ბერ ლუარსაბს (გეგეჭკორი). იგი ამავე მონასტერში იმსახურებს.

დიდ სქემაში აღკვეცა

28 მარტს თბილისის ფერიცვალების მამათა მონასტერში იღუმენმა ბართლომემ (ფირცხალაშვილი) დიდ სქემაში აღკვეცა არქიმანდრიტი დიმიტრი (ტელიანიდი) და სახელად საბა უწოდა.

სახარება და ლოცვანი უსინათლოებისთვის

24 მარტს ქვემო ფონიჭალაში მდებარე წმიდა თამარ მეფის სახელობის ეკლესიაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II უსინათლოებს საჩუქრად ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი სახარებები და ლოცვანი გადასცა. ეს წიგნები მისი უწმიდესობის კურთხევითა და საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრი „ძალების" ინიციატივით დაიბეჭდა.

„ზოგიერთ თქვენგანს მოკლებული გაქვთ მხედველობა, მაგრამ ძალიან ხშირი შემთხვევაა, რომ ადამიანი რიმელიც ვერ ხედავს ამ ფიზიკურ სამყაროს, მას ღვთისგან ესმება სხვა ხედვა და ის უკრო მეტს ხედავს, ის ხედავს სულიერ სამყაროს. მოხარულნი ვართ, რომ ეს ადამიანები სულიერად ძლიერები არიან... რწმენა ისეთი ძალაა, რომ ადამიანს ნებისმიერ სიძნელეს გადაატანინებს... მთავარი ისაა, რომ ეს წიგნი არ უნდა იყოს შედებული თარიზე. ამ წიგნს თქვენ უნდა კითხულობდეთ!" – მიმართა ტაძარში შეკრებილ უსინათლოებს პატრიარქმა.

შეხვედრას ესწრებოდნენ ახალციხის, ლაზეთისა და ტაო-კლარჯეთის მთავარეპისკოპოსი თეოდორე (ჭუაძე), ხონისა და სამტრედიის მთავარეპისკოპოსი საბა (გიგიბერია) და ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსი გერასიმე (შარაშენიძე).

სამკითხარი

საქართველოს საპატრიარქო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სიონის საპატრიარქო ტაძრის დამლაგებელი ელენე (ლილი) ცხოვრებაშვილი. ქალბატონი ელენე წლების განმავლობაში ემსახურებოდა ტაძარს. მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული ელენეს სული.

* * *

გარდაიცვალა საპატრიარქოს ბუღალტერიის ყოფილი თანამშრომელი თამარ გაბაშვილი.

პანაშვიდები ხამშაბათსა და ოთხშაბათს 16 სთ.

გასვენება ხუთშაბათს 15 სთ.

მისამართი: გუფის მეორე შესახვევი №2 (მეტრო 300 არაგველი, ქალაქის I საავადმყოფოსთან).

ფოტოალბომი

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მცხეთის სასულიერო სემინარიის პედაგოგებთან და სტუდენტებთან ერთად.

მარცხნიდან პირველ რიგში: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი; ტაისი ტორონჯაძე (საეკლესიო გალობის მასწავლებელი); დენიზა სუმბაძე (ფილოსოფიის მასწავლებელი); მღვდელმონაზონი რომანოზი შიომღვდლიშვილი (შემდგომში არქიმანდრიტი +1993 წლ); ალაგერდელი მიტროპოლიტი გრიგოლი (ცერცვაძე +1992წლ); საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II; მთავარეპისკოპოსი თადეოზი იორამიშვილი; იღუმენი რაფაელი კარელიანი (ამჟამად არქიმანდრიტი); დეკანოზი ანტონი შიოშვილი (ამჟამად წილკნელი მთავარეპისკოპოსი ზოსიმე); დეკანოზი გურამი შალამბერიძე (ამჟამად ჭყონდიდელი მიტროპოლიტი გიორგი).

მეორე რიგში: მონაზონი ნადეჟდა; მზარეული; თამარ მეხსი (ბერძნული ენის მასწავლებელი); ნინო კანდელაკი (ინგლისური ენის მასწავლებელი); მღვდელი ბარნაბა ტყეშელაშვილი (ამჟამად დეკანოზი); პროტოდიაკონი ღვთისო შალიკაშვილი (ამჟამად დეკანოზი); გიორგი ეძგვერაძე (ამჟამად გარდაცვლილია); ზვიად დოლიაშვილი (ამჟამად იღუმენი მიქაელი); სტუდენტი მიქავა; ამირან ნარიმანიძე (შემდგომში მღვდელი მირიანი).

მესამე რიგში: ანდრია პაპუაშვილი (ამჟამად დეკანოზი); მონაზონი ლუბოვი; ვლადიმერ საბიაშვილი (ამჟამად დეკანოზი გიორგი); დათო შალიკიანი; ალექსანდრე ძამუკაშვილი (ამჟამად დეკანოზი ალექსი); სულხან ღუდუშაური (ამჟამად დეკანოზი); ილია კიკვიძე (ამჟამად დეკანოზი); ვაჟა ჭოხონელიძე (ამჟამად მღვდელი); მღვდელი თეიმურაზ ყიფშიძე (ამჟამად დეკანოზი); მძღოლი ნოდარ შოილაშვილი; შოთა კობიაშვილი; დიმიტრი სამადბეგიშვილი (ამჟამად არქიმანდრიტი ლაზარე); კონსტანტინე ჯიოევი (ამჟამად რუსეთის ეკლესიის სტავროპოლის ეპარქიის დეკანოზი).

მეოთხე რიგში: ილარიონ ჭაჭაშვილი (ამჟამად დეკანოზი); რევაზ კოხრეიძე (ამჟამად დეკანოზი); ჭაბუკა შიოლაშვილი (ამჟამად ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოსი დიმიტრი); თეიმურაზ ქუბაძე (გარდაიცვალა მღვდლის ხარისხში); ვახტანგ მინაძე; მძღოლი ფარნაოზი.

ფოტო გადაღებულია სამთავროს დედათა მონასტერში 1980 წელს.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტორონიძე

ბეჭდავს, ბაზის გაუფართოებლად მასში დაპეჭდილი მასალების გამო „საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ილიას II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მიხეილ ალექსიძე, დიმიტრი (ფიფილაშვილი), დეკანოზი დავით შარაშენიძე, ლუარსაბ ტორონიძე, ბარამ ბაბუა, ნათია თარაშვილი, ხათუნა რაქიტაშვილი, ნანა პოლუბარი, თამარ ასათიანი,
დამკაბადონებელი: კახაბერ მაისურაძე, **რეპორტიორი:** ზეინა ქობახიძე.

დასაწყისი მე-3 გვ.

ეტარესმა ილია II ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ კალისტრატესთან, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელთან და სამების ტაძრის სამღვდელოებასთან ერთად ქართველი მღვდელმთავრის სულის სოხი პანაშვიდი აღასრულა. იმავე დღეს, მეუფე ეფთვიმეს ნეშტი ქუთაისში გადააბრძანეს და დაასვენეს ქუთაისის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში, საიდანაც 8 აპრილს მოხდა მისი გადასვენება გელათის მონასტერში. 9 აპრილს სასულიერო პირებისა და მრევლის თანდასწრებით მოხდა მისი დაკრძალვა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში. (დაწვრილებით იხილეთ მასალა გვ.6).

ბელგიის სამეფო საბჭოს დელეგაცია საქართველოს საპატრიარქოში

6 აპრილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II საპატრიარქო რეზიდენციაში მიიღო საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი ბელგიის სამეფო საბჭოს დელეგაცია სამეფო საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ ჰერმან დე კრუსის მეთაურობით. შეხვედრას ესწრებოდნენ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი), ხონის ეპისკოპოსი საბა (გიგიბერია), ახალციხისა და ტაოკლარჯეთის ეპისკოპოსი თევდორე (ჭუაძე), ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსი გერასიმე (შარაშენიძე), სამთავისისა და გორის ეპისკოპოსი ანდრია (გვაზავა), სენაკისა და ჩხოროწყუს ეპისკოპოსი შიო (მუჯირი) და ხონის სამღვდელოება.

ხელდასხმა

3 აპრილს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში დიაკვნად დაასხა ხელი წალკის მამათა მონასტრის ბერს ანტონ კოდუას.

* * *

3 აპრილს მარტყოფის მამათა მონასტრის წინამძღვარმა, იღუმენმა ბენიამინმა (ბელქანია) ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილი) ლოცვა-კურთხევით თბილისის ფერიცვალების დედათა მონასტერში ხანიერად აკურთხა

დასასრული მე-5 გვ.

დასაწყისი მე-3 გვ.

ეტარესმა ილია II ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ კალისტრატესთან, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელთან და სამების ტაძრის სამღვდელოებასთან ერთად ქართველი მღვდელმთავრის სულის სოხი პანაშვიდი აღასრულა. იმავე დღეს, მეუფე ეფთვიმეს ნეშტი ქუთაისში გადააბრძანეს და დაასვენეს ქუთაისის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში, საიდანაც 8 აპრილს მოხდა მისი გადასვენება გელათის მონასტერში. 9 აპრილს სასულიერო პირებისა და მრევლის თანდასწრებით მოხდა მისი დაკრძალვა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში. (დაწვრილებით იხილეთ მასალა გვ.6).

ბელგიის სამეფო საბჭოს დელეგაცია საქართველოს საპატრიარქოში

6 აპრილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II საპატრიარქო რეზიდენციაში მიიღო საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი ბელგიის სამეფო საბჭოს დელეგაცია სამეფო საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ ჰერმან დე კრუსის მეთაურობით. შეხვედრას ესწრებოდნენ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი), ხონის ეპისკოპოსი საბა (გიგიბერია), ახალციხისა და ტაოკლარჯეთის ეპისკოპოსი თევდორე (ჭუაძე), ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსი გერასიმე (შარაშენიძე), სამთავისისა და

როგორც ბელგიის დელეგაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, ვიზიტი საქართველოში ევროკავშირის ეგიდით მიმდინარეობს, რომელმაც სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყანა სამეზობლო ინიციატივაში ჩართო. მათი ჩამოსვლის მიზანია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება და განმტკიცება.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სტუმრებს მოუთხრო საქართველოს ეკლესიის ისტორიული წარსულისა და დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. მან ასევე მწუხარება გამოთქვა, რომის პაპის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. პატრიარქმა და შეხვედრაზე მყოფმა მღვდელმთავრებმა უპასუხეს სტუმართა შეკითხვებს კონფესიათა შორის არსებული განსხვავებების, ეკლესიათა შორის ურთიერთობების შესახებ. ასევე ისაუბრეს კონფლიქტურ ზონებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

შეხვედრის დასასრულს, პატრიარქმა საპატიო სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა, მათ შორის, ყოვლადწმიდა სამების ხატის ასლი და კომპაქტდისკი ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძრის ისტორიის შესახებ.

ავტოკეფალიისადმი მიძღვნილი სამადლობელი პარაკლისი

25 მარტს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღეს, უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად სიონის საპატრიარქო ტაძარში შეასრულა სამადლობელი პარაკლისი. ღვთისმსახურებაში მონაწილეობდნენ: ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი), ალავერდელი მიტროპოლიტი აბო დავითი (მახარაძე), ფოთის ეპისკოპოსი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი), ბორჯომისა და ბაკურიანის მთავარეპიკოპოსი სერაფიმე (ჯოჯუა), ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპისკოპოსი თევდორე (ჭუაძე), ხონისა და სამტრედიის ეპისკოპოსი საბა (გიგიბერია), ზუგდიდისა და ცაიშის ეპიკოპოსი გერასიმე (შარაშენიძე), სამთავისისა და გორის ეპისკოპოსი ანდრია (გვაზავა), სენაკისა და ჩხოროწყუს ეპისკოპოსი შიო (მუჯირი) და სიონის სამღვდელოება.

ხელდასხმა

3 აპრილს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში დიაკვნად დაასხა ხელი წალკის მამათა მონასტრის ბერს ანტონ კოდუას.

* * *

3 აპრილს მარტყოფის მამათა მონასტრის წინამძღვარმა, იღუმენმა ბენიამინმა (ბელქანია) ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილი) ლოცვა-კურთხევით თბილისის ფერიცვალების დედათა მონასტერში ხანიერად აკურთხა

დასასრული მე-5 გვ.

დასაწყისი მე-4 გვ.

მორჩილი თუნე (თამარ გოცირიძე) და მას სახელად პარასკევა უწოდა.

განცხადება

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრა 22 აპრილს 10 საათზე მართავს საქართველოში ქრისტიანობის ქადაგების 20 საუკუნისადმი მიძღვნილ კონფერენციას.

სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვარის მამასთან" არსებულ სამედიცინო სამსახურში ჩატარდება უფასო სამედიცინო კონსულტაციები:

ნეკროლოგი (თრომბოზის დაავადებები) – 12 აპრილი, 15.00.-დან 16.00. საათამდე;

დერმატოლოგი – 14 აპრილი, 15.00-დან 17.00. საათამდე;

ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი – 15 აპრილი, 15.00-დან 17.00 საათამდე;

ტრავმატოლოგ-ორთოპედი, მტევნის (ხელის)-და ტერფის ტრავმატოლოგ-ორთოპედი პ. ღუდუშაური – 16 აპრილი, 12.00-დან 14.00 საათამდე;

ინფორმაციისათვის დარეკეთ: 98 90 12 8 99 57 65 31

საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის განცხადება

31 მარტს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში შედგა შეხვედრა კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის წარმომადგენლებსა და საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის თანამშრომლებს შორის; სხდომას ესწრებოდნენ, აგრეთვე, საეკლესიო ხელოვნების დარგში მომუშავე არქიტექტორ-რესტავრატორები.

შეხვედრის მიზანი იყო ეკლესიისა და სახელმწიფოს მხრიდან ერთობლივი მუშაობის გზების დასახვა, რომლებიც უზრუნველყოფს ეკლესია-მონასტრების რესტავრაციის პროცესების კანონიერ და პროფესიულ განხორციელებას. კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ იქნა იმ ძეგლთა სავარაუდო ნუსხა, რომლებიც გადაუდებელ აღდგენით სამუშაოებს საჭიროებს; ამ სამუშაოთა განსახორციელებლად საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოყოფილია საგანგებო თანხები. გადაუდებელ სარესტავრაციო სამუშაოთათვის განკუთვნილ ნაგებობათა საბოლოო ნუსხის დასადგენად მორიგი შეხვედრა დაგეგმილია საქართველოს საპატრიარქოში.

წმიდა იოანე ოქროპირი

ნუ უსმენ ეშმაკსა!

აღსარებისათვის:

საყვარელნო! აღიარებდით თვისთა ცოდვათა ყოვლითა გულითა წინაშე სულიერისა მამისა თქჳენისა; რამეთუ აღსარებითა წყლულებანი სულისანი განიკურნებიან, ვითარცა ტკივილნი ხორცთანი განცხადებითა მკურნალისათა განმრთელდებიან.

დაფარვა ცოდვისა მოძღვრისა მიმართ დიდად საშინელ არს – შემდგომად სიკვდილისა სულთა შესაწესებელ და ეშმაკი ხიხარულ-ვან იქმნების.

ფრიად **სარგებელ არს** აღსარება ცოდვათა, ხოლო **დაფარვა** – ხიხარულ სატანისი, რამეთუ იგი ლიქნით ეტყვის: - დღეს ესე საათი იყავ და ხვალე შეინანე!

არამედ ჰოი, კაცო, უწყი მიწევნა ხვალისა დღესა ანუ არა? არამედ ჰრქვა მას უფრისა ხელმწიფე ქვესკნელისასა შთაგდება შენი, რათამცა უნაყელი წარგიტაცის.

უკეთუ **მწიგნობარი** ვინმე იყოს, ესე შთაუთესავს გონებასა შინა ლესიო ხელოვნების დარგში მომუშავე არქიტექტორ-რესტავრატორები.

შეხვედრის მიზანი იყო ეკლესიისა და სახელმწიფოს მხრიდან ერთობლივი მუშაობის გზების დასახვა, რომლებიც უზრუნველყოფს ეკლესია-მონასტრების რესტავრაციის პროცესების კანონიერ და პროფესიულ განხორციელებას. კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ იქნა იმ ძეგლთა სავარაუდო ნუსხა, რომლებიც გადაუდებელ აღდგენით სამუშაოებს საჭიროებს; ამ სამუშაოთა განსახორციელებლად საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოყოფილია საგანგებო თანხები. გადაუდებელ სარესტავრაციო სამუშაოთათვის განკუთვნილ ნაგებობათა საბოლოო ნუსხის დასადგენად მორიგი შეხვედრა დაგეგმილია საქართველოს საპატრიარქოში.

ეშმაკი, ვითარმედ:

-თვით უწყი რაიცა წერილი იტყვის კანონსა, ეგრეთ ჰყავ შენცა და ნუ იტყვი აღსარებასა!

არამედ, ჰოი, საყვარელო, ნუ უსმენ ეშმაკსა და ნუ ჰყოვნი აღსარებად ცოდვათა შენთა, რათა შენდობილ იქმნე ამასცა სოფელსა და მერმესა საუკუნესა, მადლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

ფოტოალბომი

დეკანოზი იოანე სალარიძე (1873-1940)

დაიბადა 1873 წელს. მღვდლის ოჯახში. მამამისი მღვდელი მარკოზ სალარიძე მსახურობდა გორის რაიონის სოფელ წაღელის წმიდა გიორგის ეკლესიაში. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია 1890-იან წლებში ხელდასხმულ იქნა მღვდლად და განამწესეს სოფელ ზანავში, წმიდა გიორგის ეკლესიაში. ამ სოფელში მამა იოანე 1910 წლამდე მსახურობდა. საიდანაც გადაყვანილ იქნა სოფელ ურბნისში წმ. სტეფანე პირველმოწამის სახელობის ტაძარში. 1917 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ. მამა იოანე არჩეულ იქნა ურბნისის ეპარქიის რუისის ოლქის მთავარხუცესად. 1924 წელს მორწმუნეებმა ბორჯომში აღადგინეს კომუნისტების მიერ დახურული წმ. იოანე ნათლისმცემლის ტაძარი. 10 თებერვალს შედგა საეკლესიო საბჭოს კრება, რომელზეც ტაძრის წინამძღვრად ერთხმად აირჩიეს მღვდელი იოანე სალარიძე. 1925 წელს არჩეულ იქნა ბორჯომ-ახალციხე-ახალქალაქის ოლქის მთავარხუცესად ირჩევენ და დეკანოზის ხარისხს ანიჭებენ. მიუხედავად მესხეთ-ჯავახეთში არსებული მძიმე მდგომარეობისა. მამა იოანე ერთგულად ემსახურებოდა საქართველოს მრთმადიდებელ ეკლესიას. 1937 წელს ჯანმრთელობის გაუარესების გამო საცხოვრებლად შვილებთან. ქალაქ გორში გადავიდა. გარდაიცვალა 1940 წლის აპრილის თვეში.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლშარსაბ ტოლორნიძე

მკრეხელობის საზღაური

დეკანოზ იოანე სალარიძის შვილიშვილმა, ქალბატონმა ელეონორა კაკაურიძემ გვიამბო ერთი ფრიად საგულისხმო ისტორია:

„ზაფხულის გატარება ბორჯომში ბებია-ბაბუასთან მიწევდა. ჩვენი სახლი ფოსტის ზემოთ გორაკზე მდებარეობდა. ბაბუა. მიუხედავათ სახიფათო დროისა. ერთგულად ეწეოდა მღვდელმსახურებას. იგი ბორჯომის წმიდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის წინამძღვარი იყო. ყოველდღე დილიდანვე მიდიოდა ტაძარში და საღამოს ბრუნდებოდა. ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა უცნაურმა მოვლენამ. ჩვენს ეზოში მცხოვრები ბერძენი ეროვნების ჭკუასუსტი ალიოშა ყოველ ცისმარე დღეს ტაძარში მიმავალ ბაბუას წელში მოხრილი მოკრძალებით ესალმებოდა. ასევე ეგებებოდა საღამოსაც. როდესაც მამა იოანე ტაძრიდან სახლში ბრუნდებოდა. ჩემთვის. რვა-ცხრა წლის გოგონასათვის ალიოშას ამგვარი საქციელი მეტად უჩვეულო იყო. ერთ დღეს ვთხოვე ბაბუას. განემარტა ჩემთვის მისი უცნაური ქმედება. აი. რა დამამახსოვრდა მისი ნაამბობიდან.

1923-24 წლებში. ეკლესიების საყოველთაო რბევისა და განადგურების პერიოდში. ბორჯომის ტაძარიც ვერ გადაურჩა შეურაცხყოფას. ერთ საღამოს ტაძარში მარტოდმლოცველ მამა იოანეს სამი კომკავშირელი დასხმია თავს. ისინი გააფთრებულნი შეცვივდენ ტაძარში. მამა იოანეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. საკურთხეველიდან გარდამოხსნა აიღეს. ძირს დააგდეს და ფეხებით გათელეს. დალეწეს და გაანადგურეს. რაც კი ხელში მოხვდათ. შეძრწუნებული მამა იოანე ყველანაირად ცდილობდა მათ შეგონებას. ნუ იზამთ ამას. შვილებო. თავს ნუ დაიღუპავთო. მათ კი ამის პასუხად ხატები ჩამოგლიჯეს. დაამტვრიეს და თან გაიძახოდნენ: თუ ღმერთი არსებობს. აბა. დაგვსაჯოსო. ბოლოს როდესაც გული იჯერეს. ყიყინით გარეთ გავარდნენ. მამა იოანე გულმოკლული და გაოგნებული დატოვეს.

ერთ-ერთი მათგანი ამ სამთაგან სწორედ ალიოშა. ჩვენი მეზობელი ბერძენი დიაკვნის შვილი იყო.

მცირე დროის გასვლის შემდგომ მამა იოანემ შეიტყო საზარელი ამბავი. ეკლესიაზე ერთ-ერთმა დავდამსხმელმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ხოლო მეორე. ჩინებული მოცურავე. ბაბუას სიტყვით - „მტკვარზე გაზრდილი ბიჭი" მდინარეზე მეტად საეჭვო ვითარებაში დაიხრჩო. ხოლო ჩვენი მეზობელი ალიოშა ტაძარში ჩადენილი მკრეხელობის შემდგომ ჭკუიდან შეიშალა. მას საბრალო ახლობლები უვლიდნენ. მხოლოდ ერთი რამ დახჩემდა. სადაც კი ნახავდა მამა იოანეს. უაღრესი შიშითა და მოკრძალებით ესალმებოდა.

მოამზადა გიორგი მაჩურიშვილმა

ბუნოვნებ, ბაზეის გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: პრესელ II ფოლადი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესსეკრეტარი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მიხეილ ალიხანოვი ლიანტარი (ბიოლოგიური),
ლევანოზ ფაქიანი ფარეულიძე, ლეონარდ ტოლორნაძე, ფარეულ ბაბუ, ნათია ფარეულიძე,
ალეფა ოქროფაშვილი, ნინა ბოლოფაძე, ეთერ ასათიანი,
დამკაბადონებელი: ალექსანდრ ფარეულიძე, ოფსეტური: ზურა ბოლოფაძე.

დასაწყისი მე-8 გვ.

და პატრიარქის მემატიანე, საპატრიარქოს ბიბლიოთეკის გამგე, სამონაზვნე ქსენია (გრიგოლაძე).

კათოლიკოს-პატრიარქმა, როგორც აკადემიის საპატიო წევრმა, მონაწილეობა მიიღო მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დიდ კრებაში, რომელიც მიეძღვნა აკადემიის სტრუქტურის რეორგანიზაციას. უწმიდესმა და უნეტარესმა სიტყვით მიმართა დამსწრეთ (იხ. გვ. 2).

მონაზვნად აღკვეცა

15 აპრილს ნეკრესისა და ჰერეთის მიტროპოლიტმა სერგიმ (ჩეკურიშვილი) დუბის ღვთისმშობლის შობის სახელობის მონასტერში მონაზვნად აღკვეცა მორჩილი ლია კერესელიძე, რომელსაც სახელად ნატალია უწოდა.

* * *

17 აპრილს, დაუჯდომლის შაბათს, სამთავროს ფდანთა მონასტრის ფერიცვალების ტაძარში იღუმენმა

საბამ (კუჭავა) მონაზვნად აღკვეცა საქართველოს საპატრიარქოს თანამშრომელი რუსუდან როყვა და მას მარიამი უწოდა.

ხელდასხმა

25 მარტს ვანისა და ბაღდათის მიაკარეპისკოპოსმა ანტონმა (ბულუხია) წმიდა თამარ მეფის სახელობის ტაძარში ბერად აღკვეცა დეკანოზი მათე აბესაძე და მას მაკარი უწოდა.

* * *

17 აპრილს წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძარში ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსმა გერასიმემ (შარაშენიძე) მღვდლად ხელი დაასხა დიაკონ ილია ლუკავას.

* * *

19 აპრილს სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II მღვდლად დაასხა ხელი ბეთანიის ღვთისმშობლის შობის ტაძრის ბერდიაკვან ლაზარე გრძელიშვილს, რომელიც ხირსის წმიდა სტეფანეს სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად დადგინდა.

იპშრობა ტაძრის საძირკველი

6 აპრილს გლდანის მასივში VII-VIII მ/რ შორის არსებულ ტერიტორიაზე ჭორეპისკოპოსმა თეოდორემ წმიდა მღვდელმოწამე კირიონის სახელობის ტაძრის საძირკველი აკურთხა. იგი მოსახლეობის შემოწირულობებით შენდება. ტაძარი ერთნავიანი ბაზილიკა იქნება.

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქო მწუხარებით იუწყება, რომ საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილების თანამშრომელს, ირინა მებუკეს გარდაეცვალა ძმა, ლაშა მებუკე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვაში მოიხსენიოს ახლადშესვენებულის სული.

* * *

საქართველოს საპატრიარქო იუწყება, რომ რუსთავის ცამეტი ასურელი მამის სახელობის ტაძრის მღვდელმსახურს, მამა ალექსი შუშანიას გარდაეცვალა დედა – მარიამი.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს მხევალი მარიამის სული.

სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვარის მამასთან“ არსებულ სამედიცინო სამსახურში ჩატარდება უფასო სამედიცინო კონსულტაციები:

ანგიოლოგი (სისხლძარღვების დაავადებები) 23 აპრილი, 12.00-დან 14.00 საათამდე;

ალერგოლოგი – 23 აპრილი, 14.00-დან 16.00 საათამდე;

ონკოლოგ-მამოლოგი (ზაუტაშვილი) – 24 აპრილი, 13. 00-საათიდან;

ენდოკრინოლოგი – 14.00-დან 16. 00 საათამდე.

ინფორმაციისათვის დარეკეთ:

98 90 12, 8 99 57 65 31

ფოტოალბომი

მღვდელი ვლადიმერ აბულაძე და მთავარდიაკონი წერეთელი

1900-იანი წლები

ვლადიმერ დავითის ძე აბულაძე დაიბადა 1871 წლის 8 დეკემბერს, სოფელ ზედა საქარაში. დაამთავრა სრული კურსი ქუთაისის სახელიერო სემინარიისა. მედავითნეობა შეისწავლა მოწამეთას მონასტერში, საიდანაც 1892 წელს ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) განამწესა საქარის ფერისცვალების ეკლესიაში წიგნისმკითხველად. 1897 წელს იმპერატორის ბრძანებით დაჯილდოვდა ვერცხლის მედლით.

1899 წლის 29 დეკემბერს თავისი მოძღვრის მღვდელმონაზონ ავქსენტის წარდგინებით იმერეთის ეპისკოპოსმა ბესარიონმა (დადიანი) აკურთხა ჯერ დიაკვნად, ხოლო 1900 წლის 4 იანვარს კი მღვდლად და განამწესეს ლეკერთის ღვთისმშობლის ეკლესიაში. 1900 წლის 16 მარტიდან თავისივე თხოვნის საფუძველზე გადაყვანილ იქნა გალმა-ბოსლევის წმიდა გიორგის ეკლესიაში.

1901 წლის 20 ნოემბრიდან დაინიშნა გალობის და საღმრთო სჯულის მასწავლებლად ბოსლევის ორკლასიან სასწავლებელში. 1907 წელს დაჯილდოვდა საგვერდულით.

1918 წლის დეკემბერში მენშევიკური მთავრობის მიერ დათხოვნილ იქნა სამსახურიდან. 1919 წლის 15 სექტემბერს შორაპნის სამაზრო ერობის გადაწყვეტილებით დაინიშნა სოფელ დაბლა საქარის სკოლის გამგე-მასწავლებლად. იმავე წლის 1 ნოემბერს გადაყვანილ იქნა ზედა საქარაში იგივე თანამდებობაზე.

ჰყავდა მეუღლე მარიამ ბართლომეს ასული აბულაძე შვილები: ილია (შემდგომში ცნობილი მეცნიერი და აკადემიკოსი), ბიძინა, დავითი, თამარი, ნინო, ვლადიმერი. საქართველოში კომუნისტური ხელისუფლების მიერ ტაძრების დახურვის შემდეგ მამა ვლადიმერი იძულებული გახდა თავი დაენებებინა მსახურებისათვის. თუმცა ფარულად აღასრულებდა სამღვდელო წესებს. გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული 1962 წელს. დაკრძალულია სოფელ ზედა საქარის სასაფლაოზე.

ფოტო მოგვაწოდა მამა ვლადიმერის შვილიშვილმა, ქალბატონმა დალი აბულაძემ.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლშარსაბ ტორმონიძე

გამოვიდა საბავშვო გაზეთ „ალილუია“-ს ახალი 8(45) ნომერი.

გარეკანის პირველ გვერდზე - ფეხთბანვის ქართული მინიატურა

ბეჭდავს, გაზეთს გაუფორმებლად მასში დაბეჭდილი მასალების გამო „საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესსეკრეტარი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი), დეკანოზი დავით შარაშენიძე, ლშარსაბ ტორონიძე, გარეგინ გაფუ, ნათია თარაშვილი, ხათუნა რაქ

დასაწყისი მე-5 გვ.

ანგარიში. ესაუბრნენ განათლების რეფორმაზე. შეხვედრის მსვლელობისას საუბარი შეეხო სკოლებში რელიგიის სწავლების საკითხს. ამ პრობლემასთან დაკავშირებით, საპატრიარქოს წარმომადგენლებსა და განათლების სამინისტროს თანამშრომლებს განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ.

შეხვედრა განათლების სამინისტროს ინიციატივით შედგა.

საპატრიარქოს მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი თეოდორე (ტუაძე), ფოთისა და ხობის მიაკარეპისკოპოსი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი), ლეჩხუმისა და ჭყემო სვანეთის ეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი), საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარე, პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი, საღვთისმეტყველო ინსტიტუტის პრორექტორი, დეკანოზი გიორგი ზვიადაძე, პრესცენტრის ხელმძღვანელი, დეკანოზი დავით შარაშენიძე, გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის“ რედაქტორი ზურაბ ცხოვრებაძე და სხვები.

დისერტაციის დაცვა

2005 წლის 7 აპრილს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობის თავმჯდომარის მოადგილის, გრიგოლ რუხაძის დისერტაციის დაცვა ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მისაბოძებლად, რელიგიის ფილოსოფიის სპეციალობით.

დისერტაცია შესრულებულია თსუ რელიგიათმცოდნეობისა და ეთიკის ფაკულტეტზე. თემის სათაური გახლდათ: „ღმერთის შეუქმნელ და შექმნილ ხატთა გაგებისათვის“.

დისერტაციის ოფიციალური ოპონენტები იყვნენ მამუკა დოლიძე და ლალი ზაქაიძე.

მონაზვნად აღკვეცა

24 აპრილს საქართველოს საპატრიარქოს მცირე ტაძარში მღვდელმონაზონმა მიქაელმა (ყაზიშვილი) მონაზვნად აღკვეცა სამონაზვნე ქსენია (გრიგოლაძე). აღკვეცის შემდეგ სამონაზვნე ქსენიას ეწოდა მონაზონი ნინო.

* * *

23 აპრილს, ლაზარეს შაბათს, სტეფანწმინდისა და ხევის ეპისკოპოსმა პეტრემ (ცაავა) სნოს წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში მონაზვნად აღკვეცა მორჩილები – ხათუნა გამყრელიძე, რომელსაც ეწოდა მონაზონი თამარი და ლია კუპრეიშვილი, რომელსაც ეწოდა მონაზონი ნინო.

სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვარის მამასთან“ არსებულ სამედიცინო სამსახურში ჩატარდება უფასო სამედიცინო კონსულტაცია:

ანგიოლოგი (სისხლძარღვების დაავადებები) – 30 აპრილი, შაბათი 12.00-14.00

ინფორმაციისათვის დარეკეთ:

98 90 12 8 99 57 65 31

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული მომლოცველთა სამსახური გიწვევთ, მოილოცოთ წმიდა ადგილები:

გარეჯი (ხსენება 6000 გარეჯელ მოწამეთა 1616), ლავრა-ჟდანო-ნათლისმცემლის მონასტერი; 3 მაისი, სამშაბათი, გასვლა 8:00 სთ; ფასი 10 ლ.

ბოდბე-ნინოწმიდა (წმ. ნინოს წყალში განბანვა) 7 მაისი; შაბათი; გასვლა 8:00 სთ. ფასი 10 ლ.

მცხეთა-შიომღვიმე (სვეტიცხოველი; წმ. ნინოს სამთავროს დედათა მონასტერი, ჯვარის მონასტერი, წირვაზე დასწრებით) 8 მაისი; გასვლა 8:30 სთ; ფასი 7 ლ.

ბეთანია-წვერის წმ. გიორგის ეკლესია (წმ. მეფისა ჩვენისა თამარის ხსენების დღე) 14 მაისი; გასვლა 8:00 სთ; ფასი 8 ლ.

ყინწვისი-სამწევრისი-ბრეთი (პიროს ბრეთელის საფლავი; წირვაზე დასწრებით) 15 მაისი; კვირა; გასვლა 8:00 სთ; ფასი 9 ლ.

მომლოცველებს მოემსახურება გიდი

ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე: "ოქრის საწმისი", სიონის ქ. 13

ქაშუეთის წმ. გიორგის ტაძართან არსებული მაღაზია, რუსთაველის 9

დიდუბის ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მაღაზია, წერეთლის 44

ვაკის სამების ტაძართან არსებული მაღაზია, ჭავჭავაძის 37

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ.:
92 39 78; 92 39 79 (11-დან 17 სთ-მდე);
(899) 26 68 27; (877) 79 95 99
ავტობუსები გადის რესპუბლიკის მოედნიდან (სასტუმრო ოვერიის წინ)

ქრონიკა, ინფორმაცია

სადღესასწაულო წირვა მახათას მთაზე

3 მაისს, ბრწყინვალე სამშაბათს, იერიის ღვთისმშობლის ხსენების დღეს მახათას მთაზე მამათა მონასტერში სადღესასწაულო წირვა შეასრულა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილი). მისი თანამწირველები იყვნენ ნიქოზისა და ცხინვალის მთავარეპისკოპოსი ისაია (ჭანტურია), ილუმენი საბა (კუჭავა).

სადღესასწაულო წირვის შემდეგ მამათა მონასტერს ეწვია უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მთავარეპისკოპოს თეოდორეს (ჭუაძე), ხონისა და სამტრედიის მთავარეპისკოპოს საბას (გიგიბრია) თანხლებით. უწმიდესმა და უნეტარესმა შეასრულა იერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის პარაკლისი. გთავაზობთ, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II მიერ წარმოთქმულ ქადაგებას:

სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა!

ქრისტე აღდგა!

დღეს არის მრჩობლი დღესასწაული: უპირველეს ყოვლისა, არის ბრწყინვალე შვიდეული, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის „მეკარედ“ წოდებულის დღესასწაული და 6 ათასი გარეკელი ბერის ხსენების დღე.

როცა ჩვენ რომელიმე დღესასწაულს ვზეიმობთ, იგი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის გულში უნდა სუფევდეს ანუ ადამიანს შინაგანი ზეიმი უნდა ჰქონდეს. მაგრამ შინაგანი ზეიმი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანის გული სუფთაა, წმიდაა. ამიტომ ევედრებოდა წმიდა დავით წინასწარმეტყველი უფალს: „გული წმიდაი დაჰბადე ჩემთანა ღმერთო და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა.“

დღეს ჩვენ შევთხოვთ უფალს, რომ განწმიდოს გულნი ჩვენნი. ადამიანის გული – ეს არის რაღაც საოცარი ტაძარი ღვთისა, უფრო სწორად, უნდა იყოს ტაძარი ღვთისა. მე არაერთხელ მითქვამს თქვენთვის, რომ ადამიანის გული, ცარიელი არასდროს რჩება: ის აუცილებლად ხდება ან ტაძარი სულისა წმიდისა ან ტაძარი ბოროტი ძალისა. ხშირი შემთხვევაა, როცა კეთილსა და ბოროტს შორის მიდის ბრძოლა. ადამიანს მოცემული აქვს თავისუფალი ნება და მან თავად უნდა აირჩიოს, რომელ მხარეს დადგეს. ამიტომ ყოველი ადამიანისთვის სასუფეველია და ჯოჯოხეთიც, აქ, დედამიწაზეც იწყება. ადამიანს, რომელსაც გააჩნია ჭეშმარიტი სარწმუნოება, სიყვარული და სასოება, თავმდაბლობა და მორჩილება, რომელსაც გააჩნია „განცდაი თვისთა ცოდვათა“, – ის უკვე სასუფეველშია! ასე იწყება სასუფეველი დედამიწაზე და ადის ზეცას. მაგრამ, სამწუხაროდ, არის ისეთი ადამიანიც, რომელიც სულ ბოროტებაზე ფიქრობს და სხვა ადამიანშიც მხოლოდ ბოროტებას ხედავს. ეს საოცარი რამაა. ძველი რომაელები ამბობდნენ: „similis simili gaude“ – მსგავსი მსგავსს ესწრაფვის. ადამიანი, რომელსაც ბოროტება აქვს გულში, ის ყველგან ბოროტებას ხედავს და ეძებს. მას ეს გარკვეულ სიამოვნებასაც კი გვრის, როცა სხვა ადამიანში ბოროტებას დაინახავს და, რა თქმა უნდა, განიკითხავს. ეს ძალიან ცუდი, დამღუპველი გზაა და ეს უნდა იცოდეს ყოველმა ადამიანმა.

დღეს ჩვენ შევთხოვთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელ დედას, მკვდრეთით აღდგომილ მაცხოვარს და 6 ათას გარეკელ ბერს, რომ თითოეულ ჩვენგანში მოხდეს სულიერი განწმენდა, სულიერი ამაღლება და ფერისცვალება!

ღმერთმა დაგლოცოთ! ღმერთმა ინებოს საქართველოს ფერისცვალება!

ქრისტე აღდგა!

ტაძრის კურთხევა

7 მაისს ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსმა გერასიმემ (შარაშენიძე) სოფელ ჭითაწყარში ხარების სახელობის ტაძარი აკურთხა.

კურთხევები

29 აპრილს ფერისცვალების მამათა მონასტრის წინამძღვარმა, ილუმენმა ბართლომემ (ფირცხალაშვილი) მონაზვნად აღკვეცა ზოია გელოვანი და უწოდა ნინო.

* * *

8 მაისს ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსმა გერასიმემ

დასასრული მე-11 გვ.

დასაწყისი მე-10 გვ.

(შარაშენიძე) დიაკვნად დაასხა ხელი მორჩილ გიორგი გულორდავას.

გაიძარცვა ტაძარი

გაიძარცვა ხაშურის რაიონის სოფელ ბეკმის სავანეთის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი. ტაძრის წინამძღვრის, მღვდელ ზურაბ კიკაძის ცნობით, ტაძრიდან წაღებულია XVIII-XIX საუკუნის ხიწმინდეები: ყაზანის ღვთისმშობლის მცირე ზომის ხატი, ღვთისმშობლის ხატი ლითონის პერანგით, ორი კარედი და მღვდლის სამკერდე ჯვარი.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული ვენის წმიდა დავით აღმაშენებლის სახელობის ქართულ მართლმადიდებლურ ტაძარში

უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს უსამშობლობით გამოწვეული სევდა სახეზე აღებეჭდებათ ხოლმე. ალბათ, არც ერთი ერის შვილი არ განიცდის სამშობლოს გარეთ ცხოვრებას ისე, როგორც ქართველი. მაშინაც კი, თუ ის მატერიალურად იუმჯობესებს მდგომარეობას და პროფესიული თვალსაზრისითაც ახერხებს უცხოეთში დამკვიდრებასა და რეალიზაციას, გაუთვითცნობიერებელი ნაღველი მუდამ თან სდევს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, საზღვარგარეთ ქართული ეკლესიის არსებობას რელიგიური ფუნქციებთან და საღვთისმსახურო საქმიანობასთან ერთად ეროვნული ცნობიერების გადარჩენისა და შენარჩუნების მისიაც ეკისრება. ეკლესია არა მარტო ქართველთა შეხვედრისა და თავშეყრის ადგილი ხდება, არამედ – საქართველოსთან დაახლოების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაც.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დასავლეთ ევროპის ეპარქიის ხელმძღვანელის, მიტროპოლიტ აბრაამის (გარმელია) ლოცვა-კურთხევით, უკვე სამ თვეზე მეტია, რაც ქალაქ ვენის წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის ქართულ სამრევლოში რეგულარულად (ყოველ შაბათ-კვირას და დღესასწაულებზე) აღევლინება ღვთისმსახურებები ქართულ ენაზე.

30 აპრილს, დიდ შაბათს, საღამოს 11 საათზე მოუხმო ეკლესიის ზარებმა ქართველ მორწმუნეებს. შუაღამიანის მსახურებამ, წესისამებრ, დიდ ხანს არ გასტანა. რამდენიმე წუთიანი პაუზის შემდეგ ზუსტად 12 საათზე ეკლესიის ირგვლივ შემოვლა დაიწყო, რასაც სადღესასწაულო ცისკარი მოჰყვა, რომელსაც, ჩვეულებისამებრ, წირვა გადაეება.

ტაძარში ხალხმრავლობა არ იგრძნობოდა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მოსულთა უმეტესობა საღვდგომო მსახურებას ბოლომდე დაესწრო. მიუხედავად იმისა, რომ ახლად შექმნილმა მგალობელთა გუნდმა დროის უქონლობის გამო საღვდგომო საგალობლების საფუძვლიანად დაჭუშავება ვერ მოასწრო, წირვის ჯეროვნად ჩატარებას მშვენივრად გაართვა თავი. ამას ერთვოდა მორწმუნეთა ერთსულოვანი და უხმაური მონაწილეობა ლოცვის პროცესში. წირვის დასრულების შემდეგ ტაძრის ქართველმა მოძღვარმა მისი უწმიდესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის საღვდგომო ეპისტოლე წაიკითხა და შესაბამისი მონაკვეთებიც განმარტა. მსახურების დასრულებისთანავე მოძღვარმა კვერცხი და პასქა აკურთხა. საღვდგომო წირვა-ლოცვა დაახლოებით განთიადისას, ექვსის ნახევრზე დამთავრდა. მრევლში ამაღლებული და სადღესასწაულო განყობა აშკარა იყო.

აღდგომის მადლი, ნათელი, სიხარული და იმედი არ მოუშალოს შემოქმედმა მთელ საქართველოს, უცხოეთში მცხოვრებ ყველა ქართველს, სრულიად კაცობრიობას. ამინ.

ქ. ვენის
წმიდა მეფე დავით
აღმაშენებლის
სახელობის სამრევლოს
პრესცენტრი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კუნძულ ტექსელზე

უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II საქართველოს პრეზიდენტთან, ბატონ მიხეილ სააკაშვილთან და მის მეუღლესთან, ქალბატონ სანდრა რულოვსთან ერთად კუნძულ ტექსელზე იმოგზაურა. ეს იყო საქართველოს პრეზიდენტისა და მისი მეუღლის კერძო ვიზიტი. საქართველოს სამოციქულო ეკ-

დასასრული მე-12 გვ.

შოტომატიანე

მიტროპოლიტი გრიგოლი (ცერცვაძე) (1910-1992)

მიტროპოლიტი გრიგოლი (ერისკაცობაში გიორგი ალექსანდრეს ძე ცერცვაძე) დაიბადა 1910 წლის 18 მაისს (ურიათუბანში, ამჟამად ხიფული ვაზისუბანი, თელავის რაიონი). გურჯაანში დაამთავრა საშუალო სკოლა. 1933-35 წლებში იმყოფებოდა თბილისში ხანგრძლივი სამსახურში. შემდეგ ხელავდა განაგრძო მონასტრის სასულიერო სასწავლებელში. 15 წელი მგალობლობდა თელავის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში.

1948 წლის 18 თებერვალს, თბილისის ხიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით ხელდასხმულ იქნა დიაკვნად. იმავე წლის 24 თებერვალს თბილისის ალექსანდრე ნევსკელის ეკლესიაში, წმიდა იოანე ნათლისმცემლის ხსენების დღეს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს მიერ ხელდასხმულ იქნა მღვდლად და განწესდა ქ. თელავის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში.

1954 წლის 1 იანვრიდან მსახურობდა თელავის ფერისცვალების სახელობის ეკლესიაში. 1971 წელს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II ლოცვა-კურთხევით მიენიჭა დეკანოზის ხარისხი. 1976 წლის 21 მაისს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ დავით V ლოცვა-კურთხევით აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად გრიგოლი. იმავე წლის 22 მაისს, თბილისის ხიონის საკათედრო ტაძარში არქიმანდრიტი გრიგოლი კათოლიკოს-პატრიარქმა დავით V აკურთხა ალაგირის ეპისკოპოსად.

1978 წლის 4 იანვარს ხრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II ეპისკოპოსს გრიგოლს უბოძა მიტროპოლიტის პატივი.

1980 წლის 15 ოქტომბერს მეუფე გრიგოლი დაჯილდოვდა სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით.

1992 წლის 6 თებერვალს მიტროპოლიტი გრიგოლი ალავერდის საკათედრო ტაძარში დაკრძალეს.

წელს მეუფე გრიგოლს დაბადებიდან 95 წელი შეუსრულებოდა.

მღვდელმონაზონი ნაუმი (ვაჭრიძე) იხსენებს: „მიტროპოლიტ გრიგოლს განსაკვირვებელი მეხსიერება ჰქონდა. მან თითქმის ზეპირად იცოდა სახარება, სამოციქულო, დავითნი, დღესასწაულების ტროპარ-კონდაკები. ერთხელ თურმე თეთრი გიორგის ეკლესიაში ლამბისიოვნის დრის დიაკონს საკისარი სახარება მისთვის შეცდომით გადაუშლია. ეს მეუფეს შეუმჩნევია, მაგრამ არაფერი უთქვამს და ზეპირად წაუკითხავს აღნიშნული დღის საკისარი სახარება. მისი უსაზღვრო ცოდნის გამო აღტაცებას ვერ ვმალავდი. ერთხელ მითხრა: ეჰ, შვილო ოცდახუთი წელიწადი მოკლეული ვიჯექი თეთრი გიორგის მონასტერში და ვსწავლობდი. კი მაგრამ ასეთ რაზეს ვინ გასწავლიდათ მეუფეო. ის კი მპასუხობდა: ყოველისმცოდნე ბერებია.

გამოვიდა საბავშვო გაზეთ „ალილუია“-ს ახალი 9(46) ნომერი.

ბეჭდვის, ბანდის გაუფრთხილებლობა მასში დაბეჭდილ მასალების გამო „საპატრიარქოს უწყებანს“ პასუხისმგებელი არ არის. http://www.patriarchate.ge
მისამართი: ბაგრატ II ფუძეზე №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელეფონი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურა ცხვედიანი,
საredაქციო კოლეგია: ბესარიონ ალავერდელი (შეთანხმებით), ფალავანდიშვილი ფალავანდიშვილი, ნესტორ ტორნაული, ბაბილა ბაბუა, ნანა ცანავა, ნანა ბერეკაშვილი, ნინო ბაბუაშვილი, ფასალარინგელოზი: ანანია ბასილაია, რეკლამირება: ზურა კოპალიანი.

დასაწყისი მე-4 გვ.

მოგესალმებით და მინდა გითხრათ, რომ ის თემატიკა, რომელიც ამ კონფერენციაზეა მოყვანილი და ის მოხსენებები, რომლებიც იქნება წაკითხული, მეტად საჭიროა ჩვენი ახალგაზრდობისათვის. დღეს, როცა მოწმენი ვართ გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესისა, რაც მიმაჩნია, რომ თითქმის გარდაუვალია და აუცილებლად იქნება, უნდა გვქონდეს იმდენი სულიერი ძალა, რომ გავარჩიოთ, სად არის ჭეშმარიტება და სად არა, რა არის მისალები და რა – არა. უპირველეს ყოვლისა, ყველაფერი უნდა გაკეთოთ იმისათვის რომ დავიცვათ ჩვენი სულიერი და ეროვნული, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები.

ღმერთმა დაგლოცოთ. ღმერთმა დალოცოს ყოველი ადამიანი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ამ საერთაშორისო კონფერენციაში და ღმერთმა დალოცოს ჩვენი ქვეყანა.

ქრონიკა, ინფორმაცია

საერთაშორისო კონფერენცია „მეცნიერება და რელიგია“

23-24 მაისს თბილისში ჩატარდა პირველი საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით „მეცნიერება და რელიგია“. სიმპოზიუმი საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, გაეროს-თან არსებული „ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის“, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ვ.ა. ტრაპეზნიკოვის სახელობის მართვის პრობლემების ინსტიტუტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და „მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების“ მიერ იქნა ორგანიზებული და მასში მონაწილეობდნენ საერო და სასულიერო პირები.

კონფერენციის საზეიმო გახსნა გაიმართა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის მცირე სააქტო დარბაზში, სადაც მონაწილეებს მიესალმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II (სიტყვა, იხ. გვ. 4)

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს ყოვლადწმიდა საპატრიარქოს საკათედრო ტაძარი, ცხვარიჭამიის მაცხოვრის ამაღლების მამათა მონასტერი.

დღესასწაული მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერში

5 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მოციქულთასწორების, საქართველოს პირველი ქრისტიანი მეფის, წმიდა მირიანისა და წმიდა ნანას ხსენებას დღესასწაულობს. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დროიდან ეს დღე საქართველოში ყოველთვის დიდი ზეიმით აღინიშნებოდა, როგორც „ერის ნათლობის“ დღესასწაული.

გასული საუკუნის ისტორიული მოვლენების გავლენით დავიწყებას მიცემული ტრადიცია, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის 2003 წლის გადაწყვეტილების თანახმად, აღდგა და ამიერიდან ქართველი ერი წმიდა მოციქულთასწორების, მეფე მირიანისა და ნანას ხსენებას წელიწადში კვლავ ორჯერ – 14 ოქტომბერს (სვეტიცხოვლობა) და 5 ივნისს დღესასწაულობს.

საქართველოს პირველი ქრისტიანი მეფე-დედოფლის ხსენება განსაკუთრებული პატივით აღინიშნება მცხეთის სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში, სადაც ფერიცვალების ტაძარში მათი წმიდა ნაწილები განისვენებენ.

დიდ სქემაში აღკვეცა

ბორჯომისა და ბაკურიანის მთავარეპისკოპოსმა სერაფიმემ (ჯოჯუა) სადგერის დედათა მონასტერში დიდ სქემაში აღკვეცა მონაზონი მარიამი (მარგველაშვილი) და მატრონა უწოდა.

სკოლა-ლიცეუმში მოსწავლეთა მიღება იწყება

საქართველოს საპატრიარქოსა და განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ნიკოლოზ ბაგრატიონის სახელობის თავადაზნაურთა სკოლა-ლიცეუმი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას



დასასრული მე-6 გვ.

ფოტოალბომი

თეკლათის დედათა მონასტერი, 1987 წელი

მარცხნიდან: იღუმენი მელქისედეკი (მიქავა), ამჟამად წმ. ალექსი შუშანიას სავანის არქიმანდრიტი. არქიმანდრიტი კოსტანტინე (ქვარაია) +1989წ; თეკლათის მონასტრის იღუმენია ელენე (აფიანაია) +1997წ; მღვდელი შალვა აფხაიძე (ქუთაისიდან);

ფოტოს მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით ბატონ პაატა ჭურდოვანიძეს.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგმონიძე

გამოვიდა საბავშვო გაზეთ „ალილუია“-ს ახალი 9(46) ნომერი.

ბეჭდავს, გაზეთს გაუფორმებლად ან/და დაკეცილს მასალების გამო „საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ილია II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი ფიმოთე (შთილაშვილი), ფრანგიზი ფანთი შარაშენიძე, ლუარსაბ ტოგონიძე, მარინე ბაბუა, ნათია თარგამელი, ხათუნა რაქვიაშვილი, ნანა პოლოლა, თამარ ასათიანი, ნინო ბაბუაშვილი,
დამკაბადონებელი: ანანიერ მაისურაძე, **ოფერადონი:** ზურაბ ქოფანიძე.

დასაწყისი მე-4 გვ.

კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი), ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსი გერასიმე (შარაშენიძე), ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში, ბატონი რიჩარდ მილსი და სხვა ოფიციალური პირები. უწმიდესმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა ახალგაზრდებსა და აკადემიის მასწავლებლებს და წარმატება უსურვა მათ.

პატრიარქის დაჯილდოება

27 მაისს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II საპატიო ჯილდო – „ოქროს ფრთა“ გადასცა. დაჯილდოების ცერემონიალზე თავად კათოლიკოს-პატრიარქი ვერ მიბრძანდა. ღონისძიებას დესწრნენ ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსი გერასიმე (შარაშენიძე), კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი, დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი, დეკანოზი მიქაელ წურწუმია და საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის უფროსის მოადგილე, გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის“ რედაქტორი, ბატონი ზურაბ ცხოვრებაძე.

ეპისკოპოსმა გერასიმემ ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის პატრიარქის სახელით მადლობა გადაუხადა.

მნიშვნელოვანი წიგნის პრეზენტაცია

28 მაისს დიდუბის საგამოფენო კომპლექსში წიგნის საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. გამოფენის დროს გამომცემლობა „არტანუჯმა“ წარმოადგინა ირაკლი გუნიას წიგნი „საქართველოს მონასტრები“. აღსანიშნავია, რომ ავტორი ჯერ მხოლოდ 15 წლისაა, წინამდებარე წიგნი მისი მეოთხე ნაშრომია.

წიგნი საქართველოს მოქმედი მონასტრების ენციკლოპედიური ცნობარია. მონასტრები, ეპარქიების მიხედვით, თანმიმდევრულადაა დალაგებული. თითოეული სტატიის ბოლოს მითითებულია მონასტრის მისამართი, ტელეფონი, აქ მოღვაწე ბერმონაზონთა რიცხვი, წინამძღვრის ვინაობა, ლიტერატურა. წიგნს ასევე დართული აქვს ისტორიულად საქართველოში არსებული მონასტრების ცხრილი, სახელგარგარეთ მდებარე ცენტრების ჩამონათვალი და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ეპარქიათა რუკა.

მღვდელი ნიკოლოზ ბურდილაძე

წიგნის რედაქტორია აკადემიკოსი რევაზ მეტრეველი; სარედაქციო საბჭოს წევრები არიან ეპისკოპოსი შიო (მუჯირი), დეკანოზი ზაქარია მაჩიტაძე, ზაზა აბაშიძე, გიული ალასანია, გურამ ბედოშვილი, სერგო ვარდოსანიძე, ბუბა კუდავა და ლუარსაბ ტოგონიძე.

ხელდასხმა

29 მაისს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის დიაკონს ნიკოლოზ ბურდილაძეს.

* * *

22 მაისს, ნიკოლოზობის დღესასწაულზე, ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში, უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II დიაკვნად დაასხა ხელი სიონის საპატრიარქო ტაძრის მედავითნეს კიაზო ხუროძეს და უწოდა სახელად კონსტანტინე. დიაკონი კონსტანტინე იმსახურებს ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში.

* * *

22 მაისს, ბორჯომის საკათედრო ტაძარში ბორჯომ-ბაკურიანის მიტროპოლიტმა სერაფიმემ (ჯოჯუა) მღვდლად დაასხა ხელი დიაკონ ზურაბ პაპიძეს.

დასასრული მე-6 გვ.

დასაწყისი მე-5 გვ.

მღვდელი ზურაბი იმსახურებს ბორჯომის საკათედრო ტაძარში.

* * *

25 აპრილს შიომღვიმის მონასტერში არქიმანდრიტმა გაბრიელმა (გაბრიჭიძე) ბერად აღკვეცა მორჩილი სპირიდონ ჯოხაძე და უწოდა სახელი შიო.

წმიდა ნაწილების თაყვანისცემა

კვირას, 29 მაისს, 614 წელს წმიდა საბას მონასტერში წამებულ წმიდა მამათა ხსენების დღეს ყოვლადწმიდა სამების ტაძარში მიაბრძანეს ერთ-ერთი ამ მოწამეთაგანის წმიდა ნაწილი.

ფოკა; წმიდა ნინოს ტრაპეზი ლია ცის ქვეშ

წმიდა ნინოს გზის მონაწილენი ფოკაში გამგზავრების წინ

მრევლს ჰქონდა საშუალება, მოხვეოდა ამ სიწმინდეს.

მსვლელობა წმიდა ნინოს გზაზე

რიგორც გვიდოდის წინა ნომრებში ვიტყობინებოდით, 12 მაისს, მორწმუნეთა ჯგუფი გაემგზავრა ქობულეთში, საიდანაც დაიწყო მსვლელობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მომლოცველობით გზაზე.

31 ივნისს კი მორწმუნეთა ჯგუფი გაემგზავრა ფოკაში, რათა 1 ივნისიდან მონაწილეობა მიიღოს წმიდა ნინოს გზაზე მსვლელობაში.

ორივე გზის მონაწილენი ერთად მომლოცველობით გზას დაასრულებენ 27 ნოემბერს, წმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში.

სადღესასწაულო წირვა ფოკაში

1 ივნისს ფოკის მამათა მონასტრის ტერიტორიაზე ლია ტრაპეზზე წირვა შეასრულა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილი). სადღესასწაულო წირვას დაესწრო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე და პარლამენტის სხვა წევრები.

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური აწარმოებს უფასო სამედიცინო კონსულტაციებს.

მიმდინარე კვირის განმავლობაში შეგიძლიათ უფასო კონსულტაციები მიიღოთ შემდეგ ექიმებთან:

ოფთალმოლოგი – 4 ივნისს, 14-16 სთ.;

თერაპევტი – 8 ივნისს, 11-14 სთ.;

კარდიოლოგი – ყოველდღე, 12-14 სთ.;

ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონზე: 98-90-12.

ფოტოალბომი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II (სიდამონიძე) სიონის საპატრიარქო ტაძრის ამბიონზე ქადაგების დროს (1960-იანი წლები)

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სახულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლშარსაპ ტიმბლინიძე

ბარეკანის პირველ გვერდზე: მცხეთის, ანგიოქიის დედათა მონასტრის შრესკა ხაგეწერი ირაკლი ცინცაძე

გამოვიდა საბავშვო გაზეთ „ალილუია“-ს ახალი 10(47) ნომერი.

მთავრობ, გაზეთს გაუგრძელდეთ მასში დაბეჭდილ მასალების გამო

„საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ილიას II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელეფონი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურა ცხოვრებაძე,
საredakციო კოლეგია: მიტროპოლიტი ალავერდელი ფეფანა (ბეჟოლაშვილი), ფეფანური ფავლე ფარაშვილი, ლეონარა ტოლოლიძე, გიორგი ბაბუ, ნათია ფარაშვილი, ხათუნა რაზმაშვილი, ნინა კოტრიკაძე, ეთერ ასათიანი, ნინო ბალოლაშვილი,
დიზაინერ-მხატვარი: კახაბერ ბაისურაძე, **ოპერატორი:** ზოია კოტრიკაძე.

ფოტოალბომი

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია:
98 95 41;
72 13 50;
60 61 50;
8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტიბილისი

დეკანოზ მიხეილ ელიზბარაშვილის ოჯახი

მარცხნიდან: მამა მიხეილი, ქალიშვილი - თამარ ვაჟიშვილები - ვახტანგი და არჩილი, მეუღლე - ბარბარე მირიანაშვილი და უმცროსი ვაჟი - შალვა.

ფოტო გადაღებულია 1912 წელს, თელავში, ვახილ როინაშვილის მიერ.

მოგვაწოდა დეკანოზ მიხეილის შვილიშვილმა - მიხეილ ელიზბარაშვილმა.

გამოვიდა საბავშვო გაზეთ
„ალილუია“-ს
ახალი, 10(47) ნომერი.

მეხუთე, გაზეთს გაუგზავნიდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის“ ფოსტაზე: http://www.patriarchate.ge
მისამართი: თბილისი II მიკრორაიონი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელეფონი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მიხეილ ლომსაძე (მთავარმდივანი), ლევანელი ლავიერ შარაშენიძე, ლუარსაბ ტიბილისი, ფარეან ბაბუ, ნათია ფარეანელი, ხათუნა რანდიანელი, ნინა პოლოვა, თამარ ასათიანი, ნინო ბაბუანელი,
დამკაბადონებელი: კახაბერ მაისურაძე, **ოპერატორი:** ზოია ქოლახიძე.

მღვდელი მიხეილ ელიზბარაშვილი

„რა თქმა უნდა აჯანყება საეგზარქოსო მმართველობის წინააღმდეგ იყო მიმართული“

ყოფილ მღვდელ მიხეილ ელიზბარაშვილზე ცოტა რამ თუ არის ცნობილი ჩვენთვის, თუმცა მისი ღვაწლი ნამდვილად იმსახურებს ორიოდე მოკრძალებული სიტყვის თქმას ამ პიროვნების შესახებ.

„ელიზბარაშვილების ოჯახი წარმოშობით გარეჯახეთის სოფელ ყანდაურიდან არის. სოფელში ამ საგვარეულოს დღესაც მღვდელაანთს ეძახიან. მათი უწინდელი გვარი ბერიძე ყოფილა“, – წერს გ. ჯავახიშვილი წიგნში – „ლექსისა და სიმღერის კვალდაკვალ“. საკმაოდ საინტერესო და ამაღელვებელი გახლდათ, რიდესაც მისმა ოჯახმა გადმოგვცა მისივე ხელით დაწერილი ავტობიოგრაფია, ანდერძი და დღიური, რომელსაც იგი ყოველდღიურად ადგენდა საკუთარი შვილიშვილის (ასევე მიხეილ ელიზბარაშვილის) ყრმობის შესახებ.

მისი ავტობიოგრაფიიდან ვგებულობთ, რომ იგი დაბადებულა გურჯაანის რაიონის (ყოფილი სიღნაღის მაზრის) სოფელ ვეჯინში, 1875 წლის 23 მაისს. მამა, ბერე ელიზბარაშვილი ამავე სოფლის მღვდელი ყოფილა. 7 წლის ასაკში მიხეილი სოფლის სკოლაში შეუყვანიათ (სადაც მასწავლებლად მუშაობდა ვაჟა-ფშაველას ძმა – ნიკო რაზიკაშვილი (ბაჩანა).

ერთი წლის მერე უფროსი ძმის, კორნელის რჩევით, მიხეილი თელავის სასულიერო სასწავლებელში გადაუყვანიათ. როგორც თავად მიხეილი იხსენებს, ავადმყოფობის გამო გვიან მოუწია სასწავლებლის დამთავრება და იმავე, 1892 წელს ჩააბარა თბილისის სასულიერო სემინარიაში.

„სწავლა 1 სექტემბერს დაიწყო, მაგრამ პირველ დეკემბერს მოხდა სემინარიაში მოწაფეთა აჯანყება (რა თქმა უნდა აჯანყება საეგზარქოსო მმართველობის წინააღმდეგ იყო მიმართული). მესამე გაკვეთილის შემდეგ დავტოვეთ საკლასო ოთახები, ჩავედით ხმაურობით ეზოში, ჩვენი ამორჩეული სამი უფროსი კლასის მოწაფეთა სახით წარვუდგინეთ სემინარიის მთავრობას მოთხოვნილებანი, რომელსაც, რასაკვირველია, ისინი ვერ შეგვისრულებდნენ და სწავლა სემინარიაში იქნა შეწყვეტილი. დაგვირეკეს სამგზავრო ფული და გამოგვისტუმრეს სახლებში“ („ჩემი ავტობიოგრაფია“, მ. ე.)

შემდეგ წელიწადს „განსაკუთრებული განცხადებების“ (მ. ე.) საფუძველზე სტუდენტები სასწავლებელში დააბრუნეს. იმავე წელიწადს გორიდან სემინარიაში სასწავლებლად ჩამოვიდა სოსო ჯუღაშვილი და ოთხი კურსის განმავლობაში ერთად მოუწია სწავლა და ცხოვრება მიხეილ ელიზბარაშვილს, სოსო ჯუღაშვილსა და კორნელი ძველიძეს; „არ დავშორებულვართ ერთმანეთს 4 წლის განმავლობაში არც კლასით და არც ცხოვრებით“

(საფიქრებელია, ამ „ურსელობამ“ არაერთხელ იხსნა მიხეილ ელიზბარაშვილი დახვრეტისა და გადასახლებისაგან. თუმცა, არაიშვიათი გახლდათ მის ბინაში უცხო პირთა სტუმრობა და პირადი ნივთების ჩამორთმევა).

შემორჩენილია ამ პერიოდის ფოტოსურათები, რომლებიც თავად მიხეილის ცნობით, თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახებოდა.

აქვე გვსურს, ერთი საინტერესო აბზაცი მოვიყვანოთ, რომელიც იმ დროის სემინარიის ცხოვრებას წარმოაჩენს. ცნობილია, რომ ელიზბარაშვილები ძველთაგანვე მგალობელ-მომღერალნი ყოფილან. ამის გამო მათ მეფე ერეკლე II შეწყალებასაც კი უწევდა. ამ ტრადიციის ღირსეული გამგრძელებელი თავად მიხეილ ელიზბარაშვილიც ყოფი-

დასასრული მე-21 გვ.

ლა, რასაც ქვემოთ მოხმობილი სიტყვებიც ამტკიცებს:

„როგორც მეკადინეობა კლასში, ასევე ეკლესიაში წირვა-ლოცვა სრულდებოდა რუსულ ენაზე. მხოლოდ მოწაფეთა გაფიცვებით იყო გამოწვეული, რომ ნება დართეს, დაეარსებინათ მოწაფეებს ქართველ მგალობელთა გუნდი (ამ გუნდის ლოტბარად რამდენიმე ხანს მეც ვიყავი). მართალია, სემინარიაში ამ გუნდს უთმობდნენ საგალობლად ეკლესიაში სულ მცირე საგალობლებს, მაგრამ ამ გუნდით ვსარგებლობდით სხვა მხრივ და აი, რანაირად: შობასა და აღდგომას დავდევით ჩვეულებად თბილისის უმაღლეს პირთა და ქართველ მოღვაწეთა მილოცვა; ამისათვის განსაკუთრებული დაბეჭდილი ლია ბარათები გვქონდა: „სემინარიის ქართველ მგალობელთა გუნდი". მილოცვისას, გარდა „ალილოსი", და სხვა, ვმღეროდით „სამშობლოს" (მოგონება სემინარიის ცხოვრებიდან).

მიხეილ ელიზბარაშვილი და მისი მეუღლე ბარბარე მირიანაშვილი. 1900 წელი

1900 წელს მიხეილმა სასულიერო სემინარია დაამთავრა და იმავე წელს თელავის სასულიერო სასწავლებელში გალობა-სიმღერის მასწავლებლად დაინიშნა. „მაძლევდნენ ხელფასს, თვეში 50 მანეთს. ამ 50 მანეთით ბინაც ქირითა მქონდა დაკავებული, მსახურიცა მყავდა, ოჯახობასაც კარგად ვაკმაყოფილებდი და ვახურავდი და კვირაში ორჯერ-სამჯერ რომ არ შეკრებილიყავით ამხანაგები ერთმანეთთან (დროის გასატარებლად), არ შეიძლებოდა („ჩემი ბიოგრაფია" მ. ე.).

1900 წელს მიხეილმა ცოლად შეირთო სოფელ შილდაში მცხოვრები დეკანოზ მატათა მირიანაშვილის უმცროსი ქალიშვილი ბარბარე (ვარო). 1905 წელს მიხეილი მღვდლად აკურთხეს და მღვდელმსახურად დაადგინეს თელავის სასულიერო სასწავლებლის ეკლესიაში (ამავე სასწავლებელში მასწავლებლობდა 1910 წლამდე), შემდეგ გადაყვანილი იქნა თელავის წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში საკმრთო სჯულის მასწავლებლად, სადაც, როგორც თავად იხსენებს, გაატარა 12 საუკეთესო წელიწადი:

„1923 წელში მივატოვე სასწავლებელი, დავრჩი თელავის სამრევლო ტაძრის წინამძღვრად, მაგრამ გარემოებამ მაიძულა, მიმეტოვებინა მღვდლობა, რაც მოხდა 1924 წელს". ამის შემდეგ მიხეილ ელიზბარაშვილს მრავალი სამსახური გამოუცვლია, მუშაობდა თელავის რაიაღმასკომის საერთო განყოფილების მდივნად, ხე-ტყის დამზადებაში, თელავის რკინიგზასა და ბორჯომ-ახალციხის ავტომობილთა ბაზაში, ბოლოს კი თელავის სასწავლებელ-ინსტიტუტში მდივნად (ყოფილ წმიდა ნინოს სახელობის სასწავლებელში).

მიხეილ ელიზბარაშვილსა და ბარბარე მირიანაშვილს ეყოლათ ოთხი შვილი: სამი ვაჟიშვილი – არჩილი, ვახტანგი და შალვა და ერთი ქალიშვილი – თამარი. არჩილის შვილს (უმცროს მიხეილ ელიზბარაშვილს) ბაბუა თავის შემცვლელს ეძახდა (სწორედ მის ყრმობაზეა შედგენილი ზემოხსენებული ღღიური). იმ დროის გამოჩენილ მოღვაწეთა მსგავსად, მიხეილ ელიზბარაშვილის მოღვაწეობაც მრავალმხრივია. ზემოთ ჩვენ მისი საგალობლო მოღვაწეობა ვახსენეთ, რომელიც მხოლოდ პრაქტიკული გალობითა და მასწავლებლობით არ შემოიფარგლებოდა. ამ რამდენიმე წლის წინ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს გადაეცა მისი ხელნაწერი – „კარბელაანთ კილოს" ნოტების კრებული. მიხეილს ჯერ კიდევ სასულიერო სემინარიაში სწავლისას დაუწყია ხალხური სიმღერების ნოტებზე ჩაწერა. არაერთი ამგვარი კრებული შემორჩენილი აქვთ მის შთამომავლებს. ჩანაწერებს შორის გახლავთ დ. აღნიაშვილისაგან ჩაწერილი „ალილო". კახური კილოს „ჭელეტარი", „ქალისკენური ყურძენი" და სხვა. აღნიშვნის ღირსია სიმღერა „განთქმული პირველ ბრძენთაგან", რომელიც ჩანაწერის სახით მიხეილის წყალობით

გაგრძელება მე-22 გვ.

დასაწყისი მე-21 გვ.

შემოგვრჩა (ამ სიმღერის ისტორია შეგიძლიათ იხილოთ წიგნში – „ლექსისა და სიმღერის კეალდაკვალ“, გ. ჯავახიშვილი, გვ. 56-86). გარდა ამისა, საინტერესო გახლავთ მისი საწერლობი მცდელობები. 1903 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№25) გამოქვეყნდა მისი წერილი „ჯოტა რამ ქართული გალობის შესახებ სახულიერო სასწავლებელში“. აღსანიშნავია მოთხრობა „კუმეტობა“, ასევე ნაშრომი „აზრთა კონა“, სადაც ავტორს შეკრებილი აქვს XIX საუკუნის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული გამოჩენილ ადამიანთა ნააზრევი. მიხეილის თაოსნობით თელავის ტყიდან, ე. წ. „ერუხეკვიდან“ გამოყვანილი იქნა სახმელი წყალი. მისი დაუღალავი მონდომებით რუსტაფრაცია გაუკეთდა ერეკლე II სასახლის კოშკურებს (თელავში) 1916 წელს, სადაც შემდგომში მოეწყო ბიბლიოთეკა.

დეკანოზი მიხეილ ელიზბარაშვილი გელათის საეკლესიო კრების მონაწილე, სხედან ალავერდელი ეპისკოპოსი პირველი (ოქროპირიძე) და ჭყონდიდელი ეპისკოპოსი ამბროსი (ხელაია)

შემორჩენილია მიხეილისა და კორნელი კეკელიძის ერთმანეთისადმი მიწერილი წერილები (1900-1941 წლები).

შემორჩენილია ფოტოსურათი, რომელზეც ერთმანეთის გვერდით სხედან ბატონი კორნელი კეკელიძე და მიხეილ ელიზბარაშვილი.

მიხეილ ელიზბარაშვილი 1940 წელს გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია ქალაქ თელავში. სასიხარულოა, რომ მის ოჯახს, სხვა საგნებთან ერთად, დღემდე შემორჩენილი აქვს ზოგიერთი სამღვდელმსახურო ნივთი.

დასახრულისთვის გვსურს, მცირე ამონარიდი მოვიტანოთ მისი ავტობიოგრაფიიდან

„...სიკვდილის შემდეგაც ისე ნუ დამტოვებთ, რომ ხანდისხან არ მოაგონებინოთ ხოლმე ეკლესიას ჩემი თავი, მხოლოდ ისე, რომ შვილებს ამით არაფერი ეწინოთ. ამას ითავებს ალბათ დედათქვენი.

მინდა, კიდევ ბევრი გელაპარაკოთ, მაგრამ უმეტესი გრძნობირობა და აღელვება ამის ნებას არ მაძლევს; იყავით კარგათ, ჩემი შვილები, თქვენი ოჯახობებით და დედით“.

თქვენი მიხეილ ელიზბარაშვილი

1940 წელი, 14 ქრისტეშობისთვე

ქ. თელავი“.

თბილისის სახელმწიფო აკადემიის სტუდენტი ბიორბი გვიმრაძე

მეუფის კრიალოსანი

„იცოდე, შენ დღეს საქართველო გადაარჩინე!“

ცნობილია, რომ ქართული ეკლესიის ინტერესების დაცვის, ქართველთა შორის ქრისტეს სიყვარულის გაცხოველებისა და ეროვნული ცნობიერების აღორძინებისათვის დაუღალავად მებრძოლ წმიდა მამა გაბრიელს (იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელ ქჯიძეს) მეფის მიაყრობა აშკარად თუ ფარულად მუდამ სდევნიდა. რამდენიმეჯერ მისი ფიზიკურ განადგურებაც კი სცადეს. ხელისუფლების სამსახურში მდგომი ქართველები ცდილობდნენ, რიგორმე შეერბილებინათ ეს დევნა, მაგრამ ხშირად ეს მათ ძალებს აღემატებოდა.

ჩემმა გაშორდელმა ბიძამ, ალექსანდრე ვერულაშვილმა მიამბო ამბავი, რომელიც მამამისს, სიმონ (სინო) ვერულაშვილს თავს გადახდა ახალგაზრდობაში: თერჯოლის მაზრის სოფელ სიქთარვის მცხოვრები სინო ვერულაშვილი ცოლის შერთვამდე ქუთაისში მსახურობდა ქალაქის თავის მოურავად. სამსახური ახალი დაწყებული ჰქონდა, როცა ეს ამბავი მოხდა: ერთ დღეს ბატონის დავალებით ფოსტის უფროსთან მიქონდა ბარათი. ბაღის კიდეს რომ მიუახლოვდა, რადაც ხმაურმა მარჯვნივ გაახედა. ხედავს, რომ გაქანებული ეტლს ბორბალი გამოსძვრა და გვერდზე გადაიხარა. იმავ წამს ცხენებიც მოსწყდნენ ეტლს და

დასასრული მე-23 გვ.

ფოტოალბომი

მარცხნიდან დგანან: სხვავის ძელიცხოვლის ტაძრის მღვდელი თევდორე საგანელიძე (დახვრიტეს 1924 წლის 27 აგვისტოს), შალვა ამირეჯიბი, სანდრო გოცირიძე, შამშე ლეჟავა, ივანე კაციტაძე, კვაცხუთის წმიდა გიორგის ეკლესიის მღვდელი ლონგინოზ კიკვიძე, აკაკი წერეთელი.

ფოტო გადაღებულია 1912 წელს აკაკი წერეთლის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის დროს.

ფოტო მოგვაწოდა თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის ლექტორმა გოჩა გუგუშვილმა.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტორგონიძე

გამოვიდა საბავშვო გაზეთ
„ალილუია“-ს
ახალი, 11(48) ნომერი.

გარეკანის პირველ გვერდზე: თბილისის ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძრის საკურთხეველში, მაღალდასაჯდომელზე დაბრძანებული ყოვლადწმიდა სამების ხატი.
ხატმწერი: ამირან გოგლიძე

მთხოვთ, გაზეთის გაუზრუნველყოფა მასში დაბეჭდილი მასალების გამო „საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ-გვერდზე: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი ზეციერი (ბეროლაშვილი), ფსალმუნი ფავეთ ფარაფანიძე, ლუარსაბ ტორგონიძე, გიორგი ბაბუ, ნათია თარაშვილი, ხათუნა რაჭველიშვილი, ნინა ბოლქვაძე, თამარ ასათიანი, ნინო ბაბუაშვილი,
დამკაბადონებელი: კახაბერ მაისურაძე, **მკითხველი:** ზოია ჟორჟანიძე.

დასაწყისი მე-2 გვ.

ღმერთმა ინებოს, რომ მადლი სულიწმიდისა შეგვიდეს ყოველ ჩვენგანში და გაათბოს ჩვენი გაცივებული გულები!

დღეს ჩვენი სიხარული კიდევ გაორკეცდა იმით, რომ გვყავს მაღალი სტუმრები ათონის მთიდან. წმიდა მთის მონასტრებისა და წმიდა კინოტის წარმომადგენლები, რომელთაც მეაურობს მამა კალინიკ ლაზესი.

თქვენ იცით, რომ საქართველოს უძველესი დროიდან მჭიდრო კავშირი ჰქონდა საბერძნეთთან და განსაკუთრებით წმიდა მთასთან, იმიტომ, რომ რიგორც საქართველო, ისე წმიდა მთა არის წილხვედრი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა. და ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ წმიდა მამებმა ათონის წმიდა მთიდან ჩამოგვიტანეს მადლი, რომელიც იქ არის და ეს მადლი შეუერთდა დღევანდელ დღესასწაულს.

ღმერთმა ინებოს, რომ ქართველები მრავლად მოღვაწეობდნენ ათონის მთაზე, ისევ აღდგეს და ისევ იყოს ის ძმური, მგზნებარული და სულიერი ურთიერთობა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ჩვენ შორის სუფევდა.

ასევე მივესალმები უკრაინის ეკლესიის წარმომადგენლებს, იმ ეკლესიისა, რომელსაც ხელმძღვანელობს მისი უნეტარესობა ვლადიმერი, მიტროპოლიტი კიევისა და სრულიად უკრაინისა. დღეს ჩვენ დაგვაბეჭდეს თავისი ლოცვით, გულითით. ჩვენ მადლობელნი ვართ, რომ ჩამობრძანდნენ საქართველოში და სურვილი გვაქვს, რომ ის ურთიერთობა, რომელიც ჩვენ შორის ჩამოყალიბდა განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, მომავალში კიდევ უფრო განმტკიცდეს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ სულიწმიდის მოფენის დღეს. სულიწმიდა იყოს თქვენ ზედა და ძალი მადლისა გფარავდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს. ამინ.

ჩვენთან არს ღმერთი!

ქრონიკა, ინფორმაცია

იკურთხა ტაძრის საძირკველი

27 ივნისს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II საპატრიარქოს ეზოში აკურთხა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძრის საძირკველი.

იკურთხა ტაძარი

19 ივნისს თერჯოლის რაიონის სოფელ ძეგრში მარგველთის ეპისკოპოსმა ვახტანგმა (ახვლედიანი) წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია აკურთხა.

ტაძარი XIX ს-შია აგებული და აქამდე უმოქმედო იყო. ეკლესიის კურთხევას რაიონის ხელისუფლება და მრავალრიცხოვანი მრევლი დაესწრო.

ხელდასხმა

21 ივნისს ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II დიაკვნად დაასხა ხელი თბილისის სასულიერო აკადემიის V კურსის სტუდენტს გიორგი გიუტაშვილს. დიაკონი გიორგი ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

* * *

21 ივნისს ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II მღვდლად დაასხა ხელი რუსთავის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის დიაკონ ელგუჯა ბაბუნაძეს.

ბიბლიის თარგმნის ჯგუფის ახალი გამოცემა

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულმა ბიბლიის თარგმნის ჯგუფმა პროტოპრესვიტერ გიორგი გამრეკელის ხელმძღვანელობით, დაბეჭდა მთელ (მეორე შესწორებული გამოცემა) და მარკოზის სახარებათა ახალი თარგმანი თანამედროვე ქართულ ენაზე.

ბიბლიის თარგმნის ჯგუფი აგრძელებს მუშაობას წმიდა წერილის თარგმნზე. კერძოდ, თარგმნება ლუკას სახარება, ხოლო გამოსაცემად მზადდება შესაქმის წიგნის ახალი თარგმანი, რომლის საცდელი ვარიანტი იბეჭდება ჟურნალ „რწმენა და ცოდნაში“.

გაგრძელება მე-4 გვ.

ფოტომატიანე

აწყურის თეთრი გიორგის მონასტრის ბერები

ფოტო გადაღებულია 1940-იანი წლების ბოლოს

მარცხნივ – არქიმანდრიტი მელქისედეკი (ცელაძე) (1870–1957), არქიმანდრიტი იოსები (ლაგაზიშვილი) (1879–1956), იღუმენი სტეფანე (გოგოლაშვილი) (1880–1959).

ფოტოს მოწოდებისთვის მადლობას მოვახსენებთ მიტროპოლიტ გრიგოლის რძალს, ქალბატონ ზოია ცერცვაძეს

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სახულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლშარსაბ ტოგონიძე

გამოვიდა საბავშვო გაზეთ „ალილუია“-ს ახალი, 12(49) ნომერი.

გარეკანის პირველ გვერდზე: მარტყოფის ღვთაების მონასტრის წმიდა გიორგის ჩაძრის ფრესკა

მისრული, გაზეთს გაუფორმებლად მასში დაბეჭდილი მასალების გამო „საპატრიარქოს უწყებანის“ ინტერნეტი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ილია II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესსამსახური ტელეფონი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მიხეილ ბალანჩივაძე, ლევან ბერიძე (შეთანხმებით), ფანასეტი დავით შარაშენიძე, ლუარსაბ ტოგონიძე, გიორგი გაბუნია, ნათია თარაშვილი, ხათუნა რამიშვილი, ნინო პო

ქრონიკა, ინფორმაცია

ხელდასხმა

12 ივნისს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში დიაკვნად დაასხა ხელი სიონის ტაძრის მედავითნეს, გიორგი ასათიანს.

* * *

29 ივნისს საფარის მონასტერში საფარის არქიმანდრიტმა არსენმა მორჩილი ზაზა გულორდავა ბერად აღკვეცა და სახელად იოანე უწოდა.

აღკვეცას დაესწრნენ ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მთავარეპისკოპოსი თეოდორე (ჭუაძე), ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსი გერასიმე (შარაშენიძე) და ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი).

* * *

3 ივლისს ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში, უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ბერდიაკვნად დაასხა ხელი ბერ სერაფიმეს (ჯიქია). ბერდიაკონი სერაფიმე ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

დისერტაციის დაცვა

2005 წლის 3 ივნისს თბილისის სასულიერო სემინარიისა და მოსკოვის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულმა, მანუჩარ კანდელაკმა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში დაიცვა დისერტაცია თემაზე: „მეფე დავით აღმაშენებელი და მისი საეკლესიო მოღვაწეობა". საღვთისმეტყველო კომისიის გადაწყვეტილებით დისერტანტს ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი მიენიჭა.

„სხალთის ზარები" კვლავ ახმიანდა

გულითადად მივესალმებით გაზეთ „სხალთის ზარების" გამოცემის აღდგენას. ეს სასიხარულო მოვლენაა არა მარტო ხულოსთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის, ვფიქრობთ, ეს გაზეთი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საშვილიშვილო საქმეში, რადგან მთიანი აჭარის მოსახლეობას მართლმადიდებლური სარწმუნოების საფუძვლებს აცნობს.

წარმატებას ვუსურვებთ გაზეთის კოლექტივს, მზად ვართ, მხარში ამოგიდგეთ ყველა სასიკეთო საქმეში.

საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელი დეკანოზი
დავით შარაშენიძე

გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის"
რედაქტორი ზურაბ ცხოვრებაძე

წერილი რედაქციას

ძვირფასო რედაქცია,

თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა, მხურვალე მადლობა გადავუხადო წმიდა იოაკიმესა და წმიდა ანას სახელობის №3 სამშობიარო სახლის გინეკოლოგიური კლინიკის დირექტორს, ბატონ გია ჯაფარიძეს, ანესთეზიოლოგს - ბატონ გოგი ვაჩნაძეს, ექიმებს - ირინა ნანობაშვილს, მამუკა ნემსაძეს, უფრიოს მედდას - ინეზა მამულაშვილს და მთელ სამედიცინო პერსონალს ავადმყოფების მიმართ გამოჩენილი გულისხმიერებისა და პროფესიონალიზმისათვის. ვუსურვებ მათ წინსვლასა და გამარჯვებას.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიერთ.

დიდი მადლიერების გრძნობით
- პაციენტი ზაირა მერაბიშვილი.

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვარის მამასთან" არსებულ სამედიცინო სამსახურში ჩატარდება უფასო კონსულტაციები:

ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი - 8 ივლისი, 15.00-დან 17.00. საათამდე;

ოფთალმოლოგი - 9 ივლისი, 14.00-დან 16.00 საათამდე;

ნევროპათოლოგი - 10 ივლისი, 12.00-დან 14.00 საათამდე;

ენდოკრინოლოგი - 10 ივლისი, 14.00-დან 16.00 საათამდე;

დერმატოლოგი - 14 ივლისი, 15.00-დან 16.00 საათამდე;

ინფორმაციისთვის დარეკეთ:
98 90 12; 8 99 57 65 31

საბანბეგო წირვა-ლოცვა ნარკომანიის სენით დაავადებულთათვის

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძარში, ელიას მთაზე, ყოველ ხუთშაბათს, ნარკომანიის სენით შეპყრობილი ადამიანებისათვის საგანგებოდ სრულდება წირვა.

ეკლესია ურჩევს ამ სენით დაავადებულ ადამიანებს, მათი ოჯახის წევრებს, ახლობლებს, დაესწრონ წირვა-ლოცვას, რათა ერთობლივი ლოცვით შევეწიოთ ნარკომანების გამოჯანსაღების საქმეს.

ოთხშაბათს საღამოს ლოცვა დაიწყება 18 სთ-ზე;

ხუთშაბათს კი წირვა - დილის 9 სთ-ზე

წირვა-ლოცვაზე დამსწრეთ საშუალება ექნებათ, გაესაუბრონ მოძღვრებს.

საღამო უნივერსიტეტში

5 ივლისს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტისტიკისა და ნეოგრეკისტიკის ინსტიტუტისა და თბილისის სასულიერო აკადემიის ინიციატივით გაიმართა დიდი ქართველი პოეტის, დავით გურამიშვილის დაბადებიდან 300 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო - „მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ფარავს".

საღამოში მონაწილეობდნენ კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის გოგონათა ვოკალური ანსამბლი „ქალგული", ამაღლების ეკლესიის გუნდი და თეატრალური უნივერსიტეტის კვარტეტი.

საღამოს ესწრებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, რომელიც საღამოს მონაწილეებს სიტყვით მიესალმა.

დასასრული მე-7 გვ.

ფოტოალბომი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II (სიდამონიძე) სტუმრად სამთავროს დედათა მონასტერში.

სავარაუდოდ 1969 წელი.

სხედან მარცხნიდან: მერი შიოლაშვილი (შემდგომში მონაზონი ანა, ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოს დიმიტრის დედა), დიდუბის ტაძრის მღვდელი რომანოზ ბიბილაშვილი, მღვდელი სოგრატი ჭულუხაძე, მიტროპოლიტი ზინობი (მაჟუგა), კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II, მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი), სამთავროს მონასტრის იღუმენია ზოილე (დვალიშვილი, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ნათლია), მონაზონი ეფემია (სიზანიშვილი), მონაზონი დარო (აჭაიძე).

მეორე რიგში დგანან: მეორე – მარიამ ჩოჩოშვილი-შიოლაშვილისა, მეოთხე – დიაკვანი იოანე მიტიჩაშვილი (ამჟამად დეკანოზი ველისციხის ტაძარში), მეშვიდე – სასულიერო სემინარიის პედაგოგი – ილია ჭეიშვილი, მერვე – ვიქტორ შიოლაშვილი, მეცხრე – ამირან შენგელია (შემდგომში ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის დეკანოზი), დედები – მონაზონი ნინო, მონაზონი რაქილი (უროტაძე), მესამე რიგში მონაზონი ლიუბოვი და მონაზონი ნადეჟდა.

ფოტოს მოწოდებისთვის მადლობას მოვახსენებთ ბატონ ვიქტორ შიოლაშვილს

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგრონიძე

ბეჭდავს, ბანების მიუხედავად ბანში დაბეჭდილი მასალების გამო „საპატრიარქოს უწყებანს" ეკ. ბიბლიოთ. http://www.patriarchate.ge
მისამართი: თბილისი II ხიდი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესსამსახური ტელეფონი: 98-95-41.

ავტორები: ზურაბ ოსიტაშვილი,
საველე ფოტო: ალექსანდრეულის ფოტოსტუდია (ბიბლიოთეკა),
ფოტოები ალბომ ფარაულიდან, ოქროსა ტაბაგარი, ბარბარე ბანა, ნინო ოსიტაშვილი,
ხათუნა ტაბიძეისა, ნინა ბერიძისა, ეთერ ბასილაია, ნინო ბერეტაშვილი,
ფოტოგადაღებულია: ალექსეი ბასილაია, **ტექსტი:** ზვიად ქურასბეკი.

დასაწყისი მე-3 გვ.

წმიდა გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში.

წმიდა გიორგი მთაწმინდელი მუდამ სამშობლოზე და მის მომავალზე ზრუნვაში იყო. მან შეკრიბა 80 ახალგაზრდა და სასწავლებლად წაიყვანა, მაგრამ ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია, მალევე გარდაიცვალა. იგი წაასვენეს ათონის წმიდა მთაზე და დაკრძალეს ივერთა მონასტერში.

უწმიდესი და უნეტარესი კირიონი ერთი წელიც კი არ იყო სრულად საპატრიარქო ტახტზე. იგი მოკლეს მარტყოფის მამათა მონასტერში და მუდმივ იარაღი, თითქის თავი მოიკლა. სინამდვილეში, რუსეთის ხელისუფლება ვერ ეგუებოდა იმას, რომ საქართველო გახდა დამოუკიდებელი და მისი ეკლესია ავტოკეფალური. ჩვენი დიდი პატრიარქი დაქირავებულმა მკვლელმა მოკლა.

დღეს ჩვენ ვიხსენიებთ ამ ორი სახელოვანი მამულიშვილის წმიდა სახელებს და აღვავლენთ ლოცვებს, რომ მათი ლოცვა შეწეოს საქართველოს! წმიდა გიორგი მთაწმინდელისა და წმიდა კირიონ II ლოცვამ განამტკიცოს მართლმადიდებელი სარწმუნოება საქართველოში!

ჩვენ აუცილებლად დავძლევთ ბოროტებას! ჩვენ აუცილებლად გავივლით ამ რთულ ეკლიან გზას! მწამს, რომ, ღვთის დახმარებით, აუცილებლად მივაღწევთ იმას, რომ ჩვენი ქვეყანა იყოს ძლიერი და საქართველოში იყოს ძლიერი მართლმადიდებელი ეკლესია. ამ 2000 წლის მანძილზე ქართველი ერის ხერხემალი მუდამ იყო, არის და იქნება – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია! იგი უფალის მიერ არის დაფუძნებული „კლდესა ზედა და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევიან მას“.

ღმერთმა დაგლოცოთ, ღმერთმა გაგაძლიეროთ, ღმერთმა დალოცოს, გააძლიეროს და გააძლიანოს სრულიად საქართველო!

ჩვენთან არს ღმერთი!

ქრონიკა, ინფორმაცია

კურთხევა

17 ივლისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II თბილისის ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში დიაკვნად აკურთხა თბილისის სახელმწიფო აკადემიის კურსდამთავრებული გურამ ბერძენიშვილი, ხოლო ქაშუეთის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის დაკონს ზურაბ მჭედლიშვილს მღვდლად დაასხა ხელი. მღვდელი ზურაბი კოჯრის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში იმსახურებს.

რელიგიურ ორგანიზაციათა საკოორდინაციო ცენტრის II შეხვედრა

15 ივლისს, ზუსტად ერთი თვის თავზე, საპატრიარქოში შედგა საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისადმი თანადგომის რელიგიურ ორგანიზაციათა საკოორდინაციო ცენტრის წევრ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების რიგით მეორე შეხვედრა, სადაც მოისმინეს ცენტრის აღმასრულებელი მდივნის, ქალბატონ ლელა ჯაჯანიძეს ინფორმაცია რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეკრების შესახებ, რომელიც ა. წ. 17 ივნისს გაიმართა.

კათოლიკოს-პატრიარქმა საბჭოს წევრებს შესთავაზა ის თემატიკა, რომელზეც საკოორდინაციო საბჭო პირველ ეტაპზე იმუშავებს. ეს საკითხებია:

რელიგიური ორგანიზაციების სტატუსის საკითხი (მოგვმართეს კათოლიკურმა და ხომხურმა ეკლესიებმა);

ზრუნვა საზოგადოების ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე (ნარკომანია, მოზარდთა ტოქსიკომანია, პროსტიტუცია);

არმიასა და პენიტენციალურ სისტემაში კაპელანთა სამსახურის შექმნა.

გადაწყდა, აღნიშნული თემების შესწავლისა და საკითხების მიმართ ბისათვის შეიქმნას კომისიები. კომისიების შედგენა დაევალა აღმასრულებელ საბჭოს და ცენტრის მდივანს.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ, ამ ცენტრის გარდა, საქართველოში არსებობს ქრისტიანულ ეკლესიათა ეკუმენური საბჭო და იმბუდსმენის აპარატთან ახლადდაარსებული რელიგიურ ორგანიზაციათა საბჭო. გამოითქვა იმედი, რომ ყველა ეს საბჭო თავისი საქმიანობით ხელს შეუწყობს ქვეყნის აღმშენებლობას.

შევნიშნავთ, რომ რელიგიურ ორგანიზაციათა საკოორდინაციო ცენტრი ორპალატიანია და შედგება საკოორდინაციო და აღმასრულებელ საბჭოებისაგან.

საკოორდინაციო საბჭოში შედიან საქართველოში არსებულ რელიგიურ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, ხოლო აღმასრულებელ საბჭოში – რელიგიურ ორგანიზაციათა და საზოგადოების წარმომადგენლები.

გაგრძელება მე-5 გვ.

დასაწყისი მე-5 გვ.

სებობდა და ფუნქციონირებდა, დაარსებული იყო გიორგი XII-ის მიერ, შემდეგ კი იგი განიერცო და აქ სემინარიაც არსებობდა. ძველი, ამჟამად დანგრეული შენობა 1888 წელს ქართველი სამღვდელოებისა და საზოგადოების შემოწირულობით აშენდა. ამ სასწავლებელში სწავლობდნენ ჩვენი პატრიარქები – კირიონი, ლეონიდე, ეფრემი, აგრეთვე სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომოური... ამ სასწავლებელს ძალიან დიდი ტრადიციები ჰქონდა, ჰყავდა მგალობელთა საუკეთესო გუნდი; ამიტომ მისი აღდგენა, ვფიქრობ, იქნება დასაბამი იმ კულტურული და სულიერი ტარდიციების აღდგენისა, რომელიც ამ ქალაქს ჰქონდა.

ეს დიდი მოვლენაა და ყველას გილოცავთ; დანარჩენი ღვთის შეწევნით წარიმართება და მის გახსნასაც ყველანი ერთად ვიზეიმებთ.

მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის; მინდა ვთქვა, რომ ყველაფერს უფალი აკეთებს, ღმერთი გვიზავნის ადამიანებსაც, ერთმანეთსაც გვახვედრებს; ყოველივე ღვთისაგან არის და ყველას თანადგომა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია; დარწმუნებული ვარ, რომ ყველა სიკეთე ამ თანადგომით გაკეთდება, ჩვენი ერთად ყოფნით, ბატონო მიქაელ და იმ ადამიანებისა, ვინც ჩვენს გვერდით არიან.

ვიმედოვნებთ, რომ მომავალ სექტემბერს ახალ სასწავლო წელს ვიზეიმებთ.

კიდევ ერთი რამ მინდა ვთქვა – გორის სემინარიაში ყოფილა იმ დროისათვის ერთადერთი ტაძარი წმიდა გიორგი მთაწმინდელის სახელობისა; ასე რომ, მისი მფარველობაც შეგვეწევა ჩვენი სასწავლებლის მშენებლობასა და მის მუშაობაში.

ღმერთმა დაგლოცოთ და გგფასარეთ".

თავის მხრივ, რეგიონის გუბერნატორმა, ბატონმა მიხელ ქარელმა სრული თანადგომა აღუთქვა მეუფე ანდრიასა და მთლიანად ეპარქიას ამ სასიკეთო საქმეში.

იპშრეთა ახალი ტაძარი

ყოველი თვის ბოლო ორშაბათს სამთავისისა და გორის ეპარქიაში იმართება სამღვდელოების შეკრება და საზეიმო წირვა. ივლისის თვეში კი ამას კიდევ ერთი სახიხარულო ფაქტი დაემთხვა – 25 ივლისს სოფელ ბერბუკში ძველი ტაძარი აღადგინეს და ამ დღეს სამთავისისა და გორის ეპისკოპოსმა ანდრიამ (გვაზავა) იგი მიაკურთხებლობა სახელზე აკურთხა.

ხელდასხმა

24 ივლისს სამთავისისა და გორის ეპისკოპოსმა ანდრიამ (გვაზავა) გორის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარში დიაკვნად დაასხა ხელი ირაკლი ხომერიკი და მას ილია უწოდა.

ბერად აღკვეცა

9 ივლისს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტერში ბერად აღკვეცეს:

მორჩილი დემეტრე კალანდია და უწოდეს სახელად იოანე;

მორჩილი არჩილ ტოგონიძე და უწოდეს სახელად იოანე;

ვახტანგ კიკვაძე და უწოდეს სახელად არჩილი.

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქო იუწყება, რომ საპატრიაქროს პრესცენტრის თანამშრომელს, ნანა ბოკუჩავას გარდაეცვალა მამა, ნოდარ ბოკუჩავა და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვაში მოიხსენიოს ახლადშესვენებულის სული.

საქართველოს ეკლესიის ისტორიის უცნობი ფურცლები

ჯერ ეგზარქოსების, ხოლო შემდგომ საბჭოურმა პერიოდმა საქართველოს ეკლესიის ახალი ისტორიის ბევრი მოვლენა თუ მოღვაწე დავიწყების ბურუსში გაახვია. „საპატრიარქოს უწყებანი“ ცდილობს, თავის მკითხველს გააცნოს ჩვენი ისტორიის ნაკლებად ცნობილი ფურცლები. წინამდებარე პუბლიკაციაც ამ ძალისხმევის ერთ-ერთი ცდაა.

ათონის მთის ბოლო პერიოდის ქართველი მოღვაწეები

1919 წლის 9 მარტს, ათონის მთის წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სავანის 18 ქართველი ბერი და რამდენიმე მორჩილი ბერძენ ბერებთან უთანხმოების გამო ძალადობით გამოიდევნენ მონასტრიდან და სამუდამოდ აკრძალათ იქ დაბრუნება. ქართველი ბერების მცირე ჯგუფი, რომელთა შორის იყო წმიდა იოანე აღმსარებელი (მაისურაძე), სამშობლოში დაბრუნდა. 9 ბერი პანტელეიმონ მკურნალის სახელობის რუსული მონასტრის კეთილი წმიდა სტეფანე პირველმოწამის სენაკში დაბინავდა. დანარჩენი მოღვაწეები კი ათონის წმიდა მთის სხვადასხვა მონასტრებს შეეკედლენ. საქართველოს გასაბჭოების შემდგომ გაწყდა ყოველგვარი კავშირი საზღვარგარეთ მყოფ ქართველებთან. ათონზე დარჩენილი ბერების ნათესავებს ამ დროიდან აღარ მოუწოდებიდათ ცნობები საბერძნეთიდან. „წარმოუდგენელია, თუ ვითარ მწუხარებაში და უნუგეშოდ დარჩნენ ისინი“- წერს მამა იოანე ბეთანელი თავის ერთ-ერთ მოგონებაში.

1935 წელს ათონი მოიხილოცა წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლმა (ფერაძე). მან მონახულა ათონელი ქართველები და თავის ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებულ სტატიაში მოკლედ აღწერა მათი ყოფა. სწორედ წმიდა გრიგოლის სტატიიდან შევიტყეთ 1932 წელს, წმიდა სტეფან პირველმოწამის სახელობის სენაკში მომხდარი საზარელი ხანძრის შესახებ. ცეცხლმა შეიწირა დიდსქემოსანი ბერის - ბართლომეს სიცოცხლე, ასევე მდიდარი ბიბლიოთეკა და არქივი. გადარჩენილი წიგნების მნიშვნელოვანი ნაწილი, ქართველი ბერების თხოვნით, მამა გრიგოლმა წაიღო თან. ხსენებულ სტატიაში იგი მკითხველს ჰპირდება ამ მოგზაურობის ამსახველ ვრცელ პუბლიკაციას, მაგრამ შემდგომ წლებში განვითარებულმა მოვლენებმა შეუძლებელი გახადა ამ პირობის აღსრულება.

1966 წელს ათონის მთა მოინახულა ქართველმა რეჟისორმა გურამ პატარაიამ. მან გადაიღო დოკუმენტური ფილმი ათონის ივერთა მონასტერზე. ფილმში შესულია მცირე ცნობა ივერთა მონასტრის უკანასკნელი ქართველი ბერის, ტიხონის შესახებ, რომელიც 1950-იანი წლების მიწურულს აღესრულა.

2001 წელს მჭონდა ბედნიერება ორ მგზავრთან ერთად მომესალოცა ათონის წმიდა მთა. სიწმიდეების თაყვანისცემასთან ერთად, მიზნად გვქონდა ქართველი ბერების ცხოვრების ამსახველი ცნობების მოძიება. წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლის (ფერაძე) სტატია განსაკუთრებით შეგვწია. დიდი ძიების შემდგომ მოვინახულეთ წმიდა სტეფანე პირველმოწამის სენაკი, რომელიც სავალალო მდგომარეობაში დაგვხვდა. საბედნიეროდ, სენაკის ნახევრად დანგრეულ ეკლესიაში მივაკვლიეთ ქართველი ბერების მოსახსენებელს, რამაც აღუწერელი სიხარული განგვაცდევინა. წმიდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის რუსული მონასტრის მოლოცვის დროს დიდი დახმარება გაგვიწია მონასტრის ბიბლიოთეკისა და არქივის მცველმა, მღვდელმონაზონმა მაქსიმემ. მან გვაჩვენა მღვდელსქემმონაზონ ფლეგონტის ქრონოლოგიური ხელნაწერი ალბომები, სადაც, უამრავ ისტორიულ მასალასთან ერთად, აღწერილია იოანე ღვთისმეტყველის სავანიდან ქართველ ბერთა გამოდევნა და ხანძარი სტეფანე პირველმოწამის სენაკში. საბედნიეროდ, იქვე დაცულია ხუთი ქართველი მოღვაწის: დიდსქემოსანი ბერების – ტიხონ შერადაშვილის, ძმების, მათე და ათანასე გვაზავების, მღვდელსქემმონაზონ სიმონ ბაღდავაძისა და ხანძრის დროს გარდაცვლილი ბერი ბართლომეს ფოტოსურათები. ათონის მთიდან დაბრუნებიდან ერთი წლის შემდეგ მივიღეთ პანტელეიმონის მონასტრიდან მღვდელმონაზონ მაქსიმეს გამოგზავნილი დოკუმენტები. ამჯერად დაგროვდა გარკვეული, თუმცა არცთუ ისე მდიდარი მასალა, რამაც გადაგვაწყვეტინა გამოგვექვეყნებინა ცნობები მათი ცხოვრების შესახებ.

დიდსქემოსანი მღვდელმონაზონი სიმონი (ბაღდავაძე)

(1857-1942)

მღვდელსქემმონაზონი სიმონი* (ერისკაცობაში ხოლომონი) დაიბადა 1857 წელს, ვანის რაიონის სოფელ ჭყვიშში, ივანე ბაღდავაძის ოჯახში. რამდენიმე წლის შემდგომ ადიდებულმა რიონმა საშინლად წალეკა სოფელი ჭყვიში. დაზარალებული ოჯახები გადმოსახლდენ სამტრედიის მახლობლად. ახლად დასახლებულ ადგილს „ქოსნათი“ (ამჟამად „ახალსოფელი“) ეწოდა. ყმაწვილი ხოლომონი ყურადღებას იჩენდა ღვთისმახურებისადმი, ხშირად სტუმრობდა გელათისა და მოწამეთას მონასტრებს. თანატოლებისაგან გამოირჩეოდა ნიჭითა და სწავლის სურვილით. მოწიფულ ასაკში იგი დაოჯახდა, მაგრამ მალევე ეწვია დიდი განსაცდელი - მისი მეუღლე მშობიარობისას გარდაიცვალა, ვერ მოხერხდა ბავშვის გადარჩენაც. დაქვრივებული ხოლომონი რწმენით შეეგება მწუხარებას და ბერად შედგომა გადაწყვიტა. მისი გადაწყვეტილება ერთმა გარემოებამ შეაფერხა, უეცრად გარდაეცვალა ერთადერთი ძმა, რომელსაც დარჩა მცირეწლოვანი ვაჟი - ივანე. ობოლი ძმაშვილის აღზრდა ხოლომონმა იტვირთა. წლების მანძილზე ზრუნავდა იგი ყმაწვილის „ეთილდღეობაზე“. ხოლომონმა მახლობელი სოფლებიდან შემოკრიბა სწავლას მოწყურებული პატარები და დააარსა საშინაო სკო-

გაგრძელება 22-ე გვ.

* *როდესაც მღვდელსქემმონაზონ სვიმონის შესახებ ვწერდით. ამ პერიოდში დაგვიკავშირდა ჭალბატონი ლიდა ფერაშვილი-ჭაიასი. მან მოგვაწოდა თავის დედამთილის, მამა სიმონის ძმისშვილიშვილის, პროფესორ ალექსანდრა ბაღდავაძე-ჭაიას მიერ გადმოცემული, ძვირფასი ცნობები მამა სიმონის ცხოვრების ადრეული პერიოდის შესახებ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ მას.*

დასაწყისი 21-ე გვ.

ლა, სადაც თავად ასწავლიდა ქართულ წერა-კითხვას, ისტორიას, არითმეტიკას, გეოგრაფიასა და სხვა საგნებს. ამასთანავე, დიდ ყურადღებას უმობდა ზნეობრივ აღზრდას, ზრდილობას, უფროსისადმი პატივისცემასა და ქართული სუფრისა და მოლხენის სათანადო წესრიგს. ის პატარები, რომლებიც შორეული სოფლებიდან იყვნენ, ხშირად სოლომონის სახლში ცხოვრობდნენ და მხოლოდ შაბათ-კვირას ბრუნდებოდნენ მშობლებთან. გონების გაწვრთნასთან ერთად, სოლომონი ბავშვებს შრომისადმი სიყვარულს უნერგავდა. მეცადინეობის შემდეგ ყველა შრომობდა.ზოგი შეშას ჭრიდა, ზოგს წყალი მოჰქონდა, საქონელს უვლიდა, მიწას ამუშავებდა. სოლომონი დიდი სიყვარულითა და ზომიერი სიმკაცრით გამოირჩეოდა, არ უყვარდა უშნო ცელქობა და ღლაბუკი. ყოველდღიურ საზრუნავში გადიოდა დრო, ყმაწვილები გაიზარდნენ. ბევრმა მათგანმა ზედმიწევნით იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, „თამარიანი“. ბიჭებმა დაასრულეს სწავლა და ოჯახებს მოეკიდნენ. სოლომონმა ძმისშვილი დაუკანონებლად სცნო და ასე უთხრა: –„შენთან აწი, როგორც სტუმარი, ისე მოვალ.შენ უკვე ვაჟკაცი ხარ და თანაც, მე რომ მინდოდა, ისეთი დადექით“.

მას შემდეგ, რაც სოლომონმა პირნათლად აღასრულა ვალი ოჯახის წინაშე, გელათის მონასტერში გადავიდა საცხოვრებლად. ახლადდაქორწინებულ ძმისშვილს გადაუყორმა თავისი კუთვნილი მიწები, სახლი და ჯინება. 1890-იანი წლების ბოლოს იგი ბერად აღიკვეცა და სახელად სიმონი ეწოდა. მკირე ხანში აკურთხეს მღვდელმონაზვნად. 1901 წელს მამა სიმონმა გადაწყვიტა იერუსალიმის წმიდა ადგილების მოლოცვა და შემდგომ ათონის წმიდა მთის ქართველთა სავანეში დამკვიდრება. წასვლის წინ მოინახულა თავისი გაზრდილი ივანე, რომელსაც უკვე ორი თვის გოგონა ჰყავდა. გამომშვიდებისას პატარა აკვანში ატირებულა და როდესაც დედას დამშვიდება დაუწყია, მამა სიმონს უთქვამს –„იტირეთ ბავშვმა, გამყვეს ივანეს ბავშვის ხმაო“.

ათონის მთაზე სამოღვაწეოდ მიმავალი ქართველები უპირველესად, იერუსალიმს მოილოცავდნენ. მამა სიმონმა აისრულა სანუკვარი ოცნება და მოიხილა პალესტინის უწმიდესი ადგილები. შემდეგ გემით გაემგზავრა ქალკედონის ნახევარკუნძულისაკენ. რამდენიმე დღეში გემმა ათონის მთას მიაღწია. მამა სიმონმა კითხვა-კითხვით მიაგნო წმიდა იოანე ღვთისმეტყველის ქართველთა სავანეს, რომელიც ივერთა მონასტრის შორი-ახლოს მდებარეობდა. ქართველთა სავანეში ნებისმიერი თანამემამულის ხილვა დიდ სიხარულს იწვევდა, მაგრამ საძმო განსაკუთრებით გაახარა მღვდელმონაზვნის შემომტკიცებამ. ათონზე იმ დროისათვის ქართველ ძმათა რიცხვი 50-ს აღწევდა. ივერთა მონასტრის ბერძენი არქიმანდრიტების მხრიდან შევიწროების მიუხედავად, ქართველთა სავანეში სანიმუშო წესრიგი სუფევდა. ყოველდღე აღესრულებოდა ლიტურგია, ლამისთენის მსახურება ძველი ქართული რვა ხმათა გალობით სრულდებოდა. წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სავანის გამგებელი მღვდელმონაზონი ითნა (ხოშტარია) თითქმის ყოველდღე იყო მწირველი. საძმის სულიერ მოძღვრობას უწევდა იმ დროის ერთი უდიდესი მამა, მღვდელმონაზონი თეოდოსი (ერისთავი) - აღზრდილი და განსწავლული გელათის მონასტერში*.



ათონის წმიდა მთა. XIX ს-ის ლითოგრაფია

მღვდელმონაზონი ათანასეს (ალექსი ბაქრაძე) დიდი ღვაწლით მონასტერში აღიორძინდა მწინობრობა, კალიგრაფია. ათეულობით დაშვადდა ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკაში დაკარგული უძველეს ხელნაწერთა ასლები. მამა სიმონს ძირითად მორჩილებად მზარეულობა განუწესეს. პერიოდულად იგი იყო მწირველი სავანის ეკლესიაში.

წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სავანის არსებობა ივერთა მონასტრის ბერძენ ბერებს ძლიერ აშფოთებდათ. ერთი მხრივ, სინდისი ამხილებდათ, როდესაც ქართველებს ქართულ მონასტერში არ უშვებდნენ, მეორე მხრივ, მონასტრის მმართველობისა და მისი უზარმაზარი შემოწირულობების დაკარგვის შიში ჰქონდათ. ყოველივე ამას ხელს უწყობდა თავად მონასტრის გადაგვარებული შინაგანაწესი. ივერთა მონასტრის დამაარსებელ წმიდა მამათა მიერ განწესებული ტიპიკონი უკანონოდ იყო შეცვლილი ახალი განაწესით ე.წ. იდიორითმით. მონასტერს აღარ ჰყავდა წინამძღვარი, მის ნაცვლად რამდენიმე არქიმანდრიტი-„ეპიტროპისი“ რიგრიგობით განაგებდნენ მონასტრის საქმეებს. ასევე ერთმანეთში ინაწილებდნენ მდიდარ შემოსავალს. იმ დროისათვის მონასტრის საძმო 150 კაცს ითვლიდა, რომელთა უმეტესობა თავისი ხურვილისამებრ ცხოვრობდა. იმის გამო, რომ აღარ იმართებოდა საზოგადო ტრაპეზი, ყველა თავის ხენაკში იმზადებდა საჭმელს. არსებობდა უკიდურესად უპოვარიც და ასევე ფუფუნებაში მაცხოვრებელი ბერები. ზოგიერთ არქიმანდრიტს მოსამსახურეებიც კი ჰყავდა. ხშირი იყო უთანხმოებანი დაპირისპირებული ბერების ჯგუფებს შორის. ერთსულოვანნი მხოლოდ ქართველთა წინააღმდეგ იყვნენ. ბერძნებთან მორიგებას აფერხებდა

გაგრძელება 23-ე გვ.

* ღირსი მამის ალექსი შუშანიას სულიერი მოძღვარი.

დასაწყისი 22-ე გვ.

ქართველი ბერების მოთხოვნა: აღმოგვარიყო ოვერთა მონასტრის დამაარსებელი წმიდა მამების წესი, რადგან ქართველ მამებს აშინებდათ წმიდა მამათა შეწყენება მათი განწესებულის დამრღვევისადმი. ეს მოთხოვნა ბერძენი არქიმანდრიტებისათვის წარმოსადგენადაც ძნელი იყო. რომ არა რუსეთის იმპერიის შიში, რომლის მოქალაქეებადაც თვლიდნენ ქართველ ბერები, დაუყოვნებლივ მოიშორებდნენ აბეზარ ქართველებს. მანამდე კი შესაფერის ვითარებას ელოდნენ. მათ განრისხვებას ხოლოდა ის ფაქტიც, რომ რუსეთის მთავრობამ საქმის მოგვარებამდე, მცირე ნაწილი რუსეთიდან შემავალი შეკრებისაგლისა ქართველთა სავანეს მიაკუთვნა.

წმიდა იოანე ღვთისმეტყველის ხელის ხანმრთელობა ხუცესი ფრიად არამყარი იყო. სავანე ოფიციალურად ირიცხებოდა, რიგორც ოვერთა მონასტრის დაქვემდებარებაში მყოფი ხენაკი. ქართველთა სავანის წინამძღვარმა, იღუმენმა ბენედიქტ ბარკალაიამ ეს ხენაკი 1860-იან წლებში ღრიეობით თავშესაფრად შეიძინა. ვინ წარმოიდგინდა მაშინ, რომ ქართველებს, ნამდვილ ოვრიელებს, ოვერთა მონასტერში არ შეეშვებოდნენ და ეს ხამარცხვინო დავა იმდენ ხანს გაგრძელდებოდა. ათონის მთაზე მოქმედი კანონით კი ხენაკში მოღვაწე ბერების უფლებები შეზღუდული იყო, ოღა მონასტრის ნებართვის გარეშე ძმათა რიცხვის გაზრდა, ან, თუნდაც, რიმე შენობის აგება მკაცრად აკრძალებოდათ. ამ უფლებრივ მდგომარეობას ბერძენი ბერები ბოროტად იყენებდნენ. ქართველთა ეკლესიის მონაგრიეს გუმბათი, არ აძლევდნენ ზარის დარეკვის ნებას. ხასმელი წელის მოლებით გამოყენას და შეშით ხარჯებლობას უკრძალავდნენ. თავს იმით იმართლებდნენ, რომ იკეკლეს ათონის მთის განაწესს, ქრისტიანი მოღვაწის უპირველესი მოვალეობა კი სრულიად აკანონებდათ. ქართველ ბერებს აკეთრებდათ ამგვარი სასახლიკე. მაგრამ ითმენდნენ უფლოესი მომავლის იმედით.

გადიოდა წლები. მამა ხიმონი ეკლესიერი მახარებელი იყო ლაკონური. ჰეროდოტელად ლიტანიერებული აღსავსე წერილებს უგზავნიდა

წმიდა იოანე ღვთისმეტყველის ქართველთა სავანე. XX ს-ის დასაწყისი

ძმისშვილ ივანეს*. ახარებდა მისი ოჯახის გამრავლება. მამა ხიმონი ეკლესიას არ აკლებდა მშობლიურ სოფელს. მისივე დახმარებით აშენდა ეკლესია, რომელსაც ძმისშვილი ივანე პატრონობდა, ეხმარებოდა მოძღვარს და უფლიდა ეკლესიას. შემდგომ წლებში მამა ხიმონმა ეკლესიას გამოუგზავნა ულამაზესი, ცისფერი მღვდლის სრული შესამოსელი, ასევე ვერცხლის ბარძიმი, ფეშხეში, ჯვარი და ღვთისმსახურებისათვის საჭირო სხვა ნივთები.

1905 წლის მოსში ღვთივგანისვენა მღვდელსქემმონაზონმა თეოდოსიმ (ერისთავი), რაც განსაკუთებული დანაკლისი იყო როგორც მამა ხიმონისათვის, ასევე მთელი ხიმონისათვის. იმავე წლის ოქტომბერში მამა ხიმონი ათონის მთაზე მიმხდარ არნახულ მიწისძვრას შეესწრო, რომლის შედეგად ძლიერ დაზიანდა ათონის მონასტრები. მათ შორის, განსაკუთრებით ოვერთა მონასტერი. ნახევრად დაინგრა ათასაუკუნოვანი წმიდა ექვთიმეს კოშკი, გაიბზა გუმბათები. თითქმის ბოლოამდე დაინგრა წმიდა იოანე ნათლისმცემლის ტაძარი, კარის ღვთისმშობლის ეკლესიის გუმბათი მოიტეხა. საკურთხევლად გადარჩა ქართველთა სავანე. მღვდელსქემონაზონმა ილარიონ მარხვა განუწესა ხანმოს. მწარე დღეების გარდა, ხშირი იყო ხანმოსიერი დღეებიც. ათონს ხშირად სტუმრობდნენ მოღვაწეები საქართველოდან. ასევე ევროპის უმაღლესი სასწავლებლების ქართველ სტუდენტები. საქართველოდან იგზავნებოდა ხახულიერი და საერო შინაარსის ეკონომიკურ-გარეულები.

ბერძენი ბერების უსამართლობით განაწყენები ქართველები თავის დასაცავ გზებს ეძებდნენ. ოვერთა მონასტრის არქიმანდრიტები ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ მოსკოვის მეტოქის მმართველს, სწორედ ამ მეტოქიდან შემოსდიოდათ უსარგებლო შეწყალებანი. ყოველი ახალი მმართველი ეუნდა დაეცა კიკეებინა ხულთანს და რუსეთის საელჩოს**.

როდესაც მოაწევდა ეს დრო მღვდელსქემონაზონმა ილარიონ ნაბიჯიდა კონსტანტინეპოლში და რუსეთის ელჩსა და კონსულს სთხოვდა შეგამდგომლობას. ამ თხოვნებს შედეგი ვერ გამოიღო, რადგან ბერძენი ბერები ქრთამით იკეთებდნენ გზას. საბოლოოდ, ქართველებმა გამბრიელ ბულეებმა 1911 წელს ხანგრძლივ შეწყვეტის ათონის მთის უმაღლეს მმართველ ორგანოში - პროტოში: - „ქართველები არ გვემორჩილებიან და გთხოვთ მიიღოთ ზომები: ან დაგვამორჩილეთ ან განდევნეთ". ქართველი ბერები გამოდევნისაგან იმხანად ოსმალეთში მყოფმა არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა (ნამორაძე) იხსნა. იგი დაუკავშირდა ხულთნის კართან დაახლოებულ მუსულმან ქართველებს გვარად

გაგრძელება 24-ე გვ.

* სამწუხაროდ, ამ წერილებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

** ქალკედონის ნახევარკუნძული, სადაც მდებარეობს ათონის მთა 1913 წლამდე ოსმალეთის შემადგენლობაში შედიოდა.

დასაწყისი 23-ე გვ.

ირეკმაძეებს და მათი საშუალებით გაიგზავნა ათონზე მოთხოვნა – თავი დაეტოვებინათ ქართველი ბერებისათვის. სიტყვიერად, ოვერთა მინასტერში არსებობდნენ ბერძენი ბერები, რომლებიც თანაგრძნობდნენ ლეონილ ქართველებს. მაგალითად, ბერი გრიგოლი და პართენი, რომლებთაც სამასი ოქრო ასესხეს გაჭირვებაში ნავარდნილ ქართველ ბერებს.

შემდგომ წლებში, პოლიტიკური ვითარება ბალკანეთში მკვეთრად შეიცვალა. დაიწყო ჯერ ბალკანეთის, ხოლო შემდეგ პირველი მსოფლიო ომები. ეგრეთა სისხლისღვრამ მოიცვა. ათონის მთაზე ვითარებას ისიც ძაბავდა, რომ მრავალეროვანი ათონის მაცხოვრებლების მშობლიური ქვეყნები ომში დაპირისპირებული აღმოჩნდა. რუსეთის 1917 წელს მომხდარმა რევოლუციამ რადიკალურად შეცვალა ვითარება. ათონზე შეწყდა შემოწირულობანი, რომელზეც მთელი ათონის მთა მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული. მსოფლიო ომის გამო, გაუარესდა ეკონომიკური ვითარება, ნამოვარდა შიმშილობა. 1918 წელს ნიე ეორდანიას მთავრობის ანტიეკლესიური რეფორმების შედეგად, ეკლესია-მონასტრებს კეთილი მიწები ჩამოერთვა. ბუნებრივია, მათ შორის იყო ოვერთა მონასტრის მამულებიც, რომლებსაც ბერძენი ბერები განაგებდნენ. საქართველოს მთავრობაზე განრისხებულმა არქიმანდრიტებმა ათონელ ქართველებზე იერეს ჯავრი. 1918 წლის მიწურულს, მღვდელმქმონაზონი იონას (ხოშტარია) გარდაცვალების შემდეგ ქართველებს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სავანის დატოვება მოსთხოვეს. ქართველი ბერები გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მამა სიმონი ძმობამ გამოირჩია ქართველი ბერების დრიოებით მმართველად. დიდი სიფარეებელი და საფიქრალი დაეკისრა მამა სიმონს. მრავალჯერ ეახლა იგი, მღვდელმონაზონებთან - იოანე (მაისურაძე) და მელეტისთან (თოფურია) ერთად, ოვერთა მონასტრის არქიმანდრიტებს, მრავალჯერ ევედრა ქართველი ძმების სახელით, მაგრამ ბერძნებს ქართველების მოშორება მტკიცედ ქონდათ გადაწყვეტილი. 1919 წლის 9 მარტს ოვერთა მონასტრის მმართველი ბერები ჯარისკაცების თანხლებით მივიდნენ იოანე ღვთისმეტყველის სავანეში. მამა სიმონს ძალით წაართვეს გასაღებები და დაეპატრონენ სავანესა და მის ქონებას. ქართველ ბერებს მეტი შიერეს, გუნებანი პირადი ნივთები და ბიბლიოთეკის ნაწილი, ხოლო დანარჩენი ქონება, სურსათის მარაგის ჩათვლით, მითვისეს. ქართველები დარჩნენ უბინაოდ, ეიოველეგარ ნეგეეშს მოკლებული. მამა სიმონი გაეშურა წმიდა პანტელეიმონის მონასტრის წინამძღვართან - არქიმანდრიტ მისაილთან თავშესაფრის ხათხოვნელად. რუს ბერებთანაც გართულებულიყო ურთიერთობა, რადგან ზოგიერთი რუსი ბერი 1917 წლის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას „რასკოლს" უწოდებდა. არქიმანდრიტმა მისაილმა ქართველ ბერებს შესთავაზა სტეფანე პირველმოწამის სენაკში დაბინავება. ეს სენაკი ხეკში, მეტად მოუხერხებელ და ნესტიან ადგილზე მდებარეობდა. რამდენიმე ბერმა უარი განაცხადა იქ ცხოვრებაზე. მაგრამ არჩევანი არ იყო. ქართველი ბერების ნაწილმა გადაწყვიტა ათონის მთის დატოვება და ხამბილოში დაბრუნება. მძიმე და ცრემლიანი იყო განშორება. მამები თითქოს გრძნობდნენ, რომ ველარ ნახავდნენ ერთმანეთს.

მღვდელმქმონაზონი სიმონი (ბალდაკაძე)

1920 წელს 9 ქართველი ბერი მღვდელმქმონაზონი სიმონის წინამძღვრობით დასახლდა წმიდა სტეფანე პირველმოწამის სავანეში. მეხლეაფერული შრომით (ალალბედნენ მიღებული საარსებო საკვების მოძიებას. ცხრა ბერიდან სამი ლრმადმოხუცი იყო და, ბუნებრივია, ფიზიკური შრომა აღარ შეეძლოთ. შრომას ნამდვილი მამა სიმონი გაორმაგებული ძალით ეკიდა. ბერები თიბავდნენ ბალახს, აგროვებდნენ კაკალს, შემდგომ ეიდღნენ და ასე. წვალებით ცხოვრობდნენ. მძიმე შრომამ და ცუდმა პირობებმა მამა სიმონი დააავადა. 1926 წელს იგი შეუძლოდ შეიქნა და იძულებული გახდა, პანტელეიმონის მონასტრის საავადმყოფოში ემკურნალა. მამა სიმონი უკვე 69 წლის იყო, ამიტომაც აღარ მოხდებოდა ნებადართული ჯანმრთელობა. პანტელეიმონის მონასტრის ბერებმა მამა სიმონს დარჩენა შესთავაზეს, რადგან სტეფანე პირველმოწამის სავანეში დაბრუნება მოუსწრებდა ხეკოცხლეს. ქართველმა ძმებმაც სთხოვეს საავადმყოფოში დარჩენილიყო და დაპირდნენ, რომ ხშირად ინახულებდნენ მას. რამდენიმე თვეში მამა სიმონი მოჯანმრთელდა და უკვე შეძლო პანტელეიმონის მონასტრის სატრაპეზოში წამუშავება. რუსმა ბერებმა ხენაკიც დაუთმეს სატრაპეზოსთან ახლოს. ეკლესიამ შეიეკარა კეთილი, სათნო, მლოცველი და დარდიანი მოხუცი ტრაპეზარი. წმიდა სტეფანე პირველმოწამის ხენაკში მომხდარმა 1932 წლის ხანძარმა და ბერი ბარიელიძეს დალუპვამ გული მოუკლა მოხუცს. ბოლო წლებში ხენაკიდან იშვიათად გამოდიოდა. 1942 წელს პანტელეიმონის მონასტრის საავადმყოფოში მშვიდობით მიაბარა სული უფალს მღვდელმქმონაზონმა სიმონმა.

ღმერთმა ნათელში დაამკვიდროს იგი და კეთილად შეახვედროს თავის მოძმეებს ზეკიურ ხამბილოში.

მოამზადა ლშარსან ტორგონიძემ

მკითხველთა საყურადღებოდ! გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა სექტემბრის დასაწყისში.

მთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ილია II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურა ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი ზენონი (შთოლაშვილი),
დეკანოზი დავით შარაშენიძე, ლშარსან ტორგონიძე, გარეგინ ბაბუ, ნათია ოსაფშვილი,
ხათუნა რაქვიაშვილი, ნინა პოლუბარი, ოთარ ასათიანი, ნინო გაფრინდაშვილი,
დამკაბადონებელი: კახაბერ მაისურაძე, რეკლამორი: ზოია კოზანიძე.

ფოტოალბომი

მღვდელი ნესტორ გუნია ოჯახის წევრებთან ერთად

ცენტრში მღვდელი ნესტორ გუნია (1875-1952), მეორე რიგის ბოლოს, ხელმარჯვნივ ზის მღვდლის, ნესტორ გუნიას მეუღლე, ნინო ხოფერია (1896-1976), რომლის მამა გახლდათ მღვდელი ალექსანდრე ხოფერია (1863-1907).

მეორე რიგში მარცხნიდან მეორე: ზის ნინო ხოფერიას დედა ბარბარე პერტენავა (1868-1951), პირველ რიგში, მამა ნესტორის წინ ზის მისი ვაჟი – ბიძინა გუნია (1914-1971) ამაღლების სახელობის ტაძრის წინამძღვრის, მღვდელ ბიძინა გუნიას მამა.

ფოტო გადაღებულია ქ. სენაკში, 1918 წელს. ფოტოს მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით მღვდელ ბიძინა გუნიას.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლშარსაბ ტოგბონიძე

გარეჯანის ფოტო მოგვაწოდა მაია მიქელაძემ

ბუსრეკი, ბაზეის გაუფოთხილებლად მასში დაბეჭდილ მასალების გამო „საპატრიარქოს უწყებანის" მხ. პასუხი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ილია II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესსამსახური ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე,
საredakციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი), დეკანოზი დავით შარაშენიძე, ლშარსაბ ტოგბონიძე, გარეჯ გაბუნია, ნათელა ოსარაშვილი, ნანა პოლუბარიანი, ეფემ ასათიანი, ნინო ბაბუაშვილი,
დამკაბადონებელი: ალექსანდრ მისიუროვი, ოპერატორი: ზოია კოზახიძე.

პირას, ცისფერი ცის ქვეშ ფართო მიწაზე რომ საცხოვრებელი ადგილი გვაქვს.

ერთმანეთს ვეფერებით, უძველესი ისტორია, მდიდარი კულტურა, ძველი ანბანი გვაქვს.

გულიანები ვართ, მეფე აიეტი, მეფე გუბაზი, მეფე ქუჯი და ფარნავაზი რომ გვყავს. ძლიერნი ვართ, დალოცვილი წიგნები, დიდი სალოცავები, ღვთის რწმენა გვაქვს. მიმღიდინე ვართ ღვთისა, მაგარი ბიჭები და ლაღი გოგონები გვეზრდება. ამდენი რაღაც გვაქვს, მაგრამ ერთმანეთთან საკმარისი კონტაქტი არა გვაქვს, საზღვარი რომ გაიხსნა, მას მერე 17 წელიწადი გავიდა, მაგრამ ერთმანეთს დიდად არ ვიცნობთ, ორი მეზობელ მხარეში ვართ, მაგრამ ერთმანეთის სილამაზეს არ ვიცნობთ. ერთიანი ხალხი ვართ, მაგრამ ჭირი და ლხინი ერთმანეთისა არ ვიცით. განათლებულნი ვართ, მაგრამ ერთმანეთის ნაწერებს ვერ ვკითხულობთ.

უძველესი ქართული ციხე ლაზეთში

ამიტომ ასეთი ლამაზი დღეები კიდევ ბევრი უნდა გვქონდეს, დიდი ლხინი ხშირად უნდა გავმართოთ, მისვლა-მოსვლის ორგანიზაციები შევქმნათ და რაც დანაკლისი გვაქვს, შევავსოთ.

ჩემი სიტყვების ბოლოს ვიტყვი, რომ

ძვირფასი კოლხი ძმებო, ლამაზი დღეები და განათებული დილა ჩვენთვის იყოს, ერთმანეთისთვის დახმარება და ლოცვა არ დაგვავიწყდეს.

ღმერთმა ჩვენს მეგობრებს ძალა, მტრებს კი შიში მისცეს.

გაუმარჯოს კოლხების ერთობას, მეგობრობას და ძმობას.

რედაქციის მინაწერი: ლაზი სტუმრის მიერ წარმოთქმული ყველა ქართველისთვის ამაღელვებელი სიტყვის სტილს უცვლელად ვტოვებთ.

ქრონიკა, ინფორმაცია

აშშ-ის ახალი ელჩი საპატრიარქოში

1 სექტემბრეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II საქართველოს საპატრიარქოში აშშ-ს ახლადდანიშნული ელჩს, ბატონ ჯონ ტეფტს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდნენ პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ახალციხის, ტაოკლარჯეთისა და ლაზეთის მთავარეპისკოპოსი თეოდორე (ჭუკაძე), ზუგდიდსა და ცაიშის ეპისკოპოსი გერასიმე (შარაშენიძე), ყაზბეგისა და ხევის ეპისკოპოსი პეტრე (ცაავა), დმანელი ეპისკოპოსი ზენონი (იარაჯული), საპატრიარქოს მემატიანე, მონაზონი ნინო (გრიგოლაძე). შეხვედრაზე უწმიდესმა ისაუბრა საქართველოს ეკლესიის ისტორიის, ტრადიციებისა და სიწმიდეების შესახებ. ამასთანავე, აღინიშნა, რომ კულტურულრელიგიური ურთიერთობები მნიშვნელოვანია, როგორც ჩვენი ქვეყნისთვის, ასევე ამერიკის შეერთებული შტატებისათვისაც.

საპატიო სტუმარმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერს გააკეთებს საქართველოს კეთილდღეობისთვის.

შეხვედრის დასასრულს უწმიდესმა სამახსოვრო საჩუქარი გადასცა ამერიკელ სტუმარს.

ხელდასხმა

28 აგვისტოს ბორჯომისა და ბაკურიანის მთავარეპისკოპოსმა სერაფიმემ (ჯოჯუა) ბორჯომის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში მღვდლად აკურთხა ბერდიაკონი ზოსიმე (გიორგაძე).

* * *

14 აგვისტოს ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II დიაკვნად დაასხა ხელი მარტყოფის ყოვლადწმიდათა სახელობის მონასტრის ბერ იესეს (ველაშვილი).

* * *

28 აგვისტოს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე სამთავისისა და გორის ეპისკოპოსმა ანდრიამ (გვასავა) აბენის სიონში მღვდლად დაასხა ხელი ბერდიაკონ დამიანეს (ხუციანია).

მონაზვნად აღკვეცა

14 აგვისტოს კუმისის ყოვლადწმიდა სამების სახელობის დედათა მონასტერში სამონაზვნე რიფსიმე (შერეშაშვილი) აღიკვეცა მონაზვნად და ეწოდა სახელი სალომე. აღკვეცის წესი შეასრულა იღუმენმა ბართლომემ (ფირცხალაშვილი).

* * *

19 აგვისტოს ფერისცვალების მამათა მონასტერში მონაზვნად აღიკვეცნენ წალკის ოქრის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის დედათა მონასტრის წევრები: მორწილი მარიამი (ჩიჩუაძე),

დასაწყისი მე-7 გვ.

რომელსაც სახელად ეფემია ეწოდა; მორჩილი მართა (ასანიძე), რომელსაც სიდონია ეწოდა. აღკვეცის წესი შეასრულა იღუმენმა ბართლომემ (ფირცხალაშვილი).

დაჯილდოება

24-26 აგვისტოს უწმიდესი და უნეტარესი ილია II იმყოფებოდა სტეფანწმიდისა და ხევის ეპარქიაში. იღუმენის ხარისხში აიყვანა მღვდელმონაზვნები: გორისციხის ხეობის ტაძრების მოძღვარი და ფხელშეს წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მღვდელმონაზონი იოანე (სილაგაძე), დაბა ყაზბეგის მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მღვდელმონაზონი ნიკოლოზი (ღლონტი), აჩხოტის წმიდა ნიკოლოზის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი მღვდელმონაზონი იაკობი (იაკობიშვილი), გერგეტის ყოვლადწმიდა სამების ტაძრის წინამძღვრის მოადგილე, მღვდელმონაზონი იოსები (თავაძე).

მარიამობის დღესასწაულზე ყველა მათგანი დაჯილდოვდა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით.

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქო იუწყება, რომ გარდაიცვალა ურბნისისა და რუისის ეპარქიის ბერის - იოაკიმეს (გალდავაძე) დისშვილი, გიორგი ქუთათელაძე და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს. ღმერთმა ცოდვების მიტევება მიმადლოს ახლადშესვენებულ გიორგის და ცათა სასუფეველში დაამკვიდროს. მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახალგარდაცვლილის სული.

* * *

საქართველოს საპატრიარქო იუწყება, რომ არქიეპისკოპოსი ხელმძღვანელს, ქალბატონ მზია კაკაძესა და საპატრიარქოს თანამშრომელს, ბატონ ომარ თვაურს გარდაეცვალათ სიძე - ზურაბ ელიაური და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. მკითხველს ვთხოვთ, ლოცვაში მოიხსენოს გარდაცვლილის სული.

პანაშვიდი ქართველ პატრიოტთა სულის საოხად

3 სექტემბერს თბილისში, მეტეხის ტაძარში გაიმართა პანაშვიდი საქართველოს თავისუფლებისთვის გარდაცვლილი მებრძოლების სულის მოსახსენებლად, რომელიც საზოგადოება „აგვისტო - 1924" წევრების თხოვნით ჩატარდა.

ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი

საქართველოს საპატრიარქოსა და განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად-

აზნაურთა სკოლა-ლიცეუმში მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის პროცესი მართლმადიდებლური ეკლესიის ეროვნული ტრადიციების, ღირსების, ზნეობის, ცოდნის განვითარება-გაღრმავების საფუძველზე წარიმართება. სკოლა-ლიცეუმის სასწავლო წელი იწყება ინდიქტიონის (საეკლესიო ახალი წელი) დაწყებისას 14 სექტემბერს (ახ. სტ.) და მთავრდება 14 ივნისს.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარდა, ლიცეანტები გაძლიერებულად ეუფლებიან უცხო ენებს (გერმანული, ინგლისური, რუსული, ბერძნული), რელიგიის ისტორიას, კატეხიზმოს, გალობას, ხუცურს, ეკლესიის ისტორიას, ოქრომკედს, ქართულ ცეკვას. სასწავლო პროგრამა მოიცავს 12 წლიან ციკლს. სწავლების მესამე საფეხურიდან გათვალისწინებულია სპეციალიზაცია ჰუმანიტარული, იურიდიული-ეკონომიკური მიმართულებით.

სკოლა-ლიცეუმში უდიდესი ყურადღება ექცევა მოსწავლეების მონარქისტული სულისკვეთებით აღზრდას.

ამასთანავე, სკოლა-ლიცეუმში სიახლეა: წელს ცხადდება მიღება მოსამზადებელ განყოფილებაზე ბაღის უფროსი ასაკის ბავშვებისათვის.

მისამართი: ფალიაშვილის ქ. №81; ტელ: 36-12-58; 64-75-91; 899 42 30 11.

განცხადება

ბიოეთიკური კვლევისა და კულტურის ცენტრი საქართველოს საპატრიარქოსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად აცხადებს კონკურსს წმიდა თამარ მეფის სახელობის მოწყალების დების მოსამზადებელ კურსებზე ჩასარიცხად. მიიღებიან როგორც საშუალო და უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირები (სექტორი „ა" - 10 ადგილი), ისე სხვა მსურველებიც (სექტორი „ბ" - 10 ადგილი). განცხადებები მიიღება 19 სექტემბრის ჩათვლით. პირველი გასაუბრება-გამოცდა (ზოგადი უნარ-ჩვევები და ქართული) ჩატარდება 22 და 23 სექტემბერს, მე-2 (ადამიანის ანატომის და ზოგადი ბიოლოგია) - 28 და 29 სექტემბერს. სწავლა დაიწყება 3 ოქტომბერს. კურსებს ხელმძღვანელობს მედიცინის მეცნიერებათ დოქტორი, თსუ ქირურგიის კათედრის პროფესორი, მღვდელმონაზონი ადამი (ახალაძე). საკონტაქტო ტელეფონი - 8 77 402 864.

ტაძრის კურთხევა

29 აგვისტოს ცაგერისა და ლეჩხუმის ეპისკოპოსმა სტეფანემ

გაგრძელება მე-9 გვ.

ფოტოალბომი

დეკანოზი ილია კობაიძე ნათესავებთან ერთად

1910-იანი წლების ბოლო

ხედან მარცხნიდან: მამა ილიას ძმა სიმონი, ბიძაშვილი ნინა კობაიძე-ფიცხელაურისა ქალიშვილ რუსუდანთან ერთად, დეკანოზი ილია, მამა ილიას მეუღლე თამარ ბოსტაშვილი, მამა ილიას და ანასტასია კობაიძე-ბურჭულაძისა.
დგანან: სიმონის მეუღლე ზინაიდა წიკლაური-კობაიძისა, უცნობი, მამა ილიას ძმები ივანე და ნიკოლოზი.

დეკანოზი ილია კობაიძე დაიბადა 1885 წელს, ხევის სიონში, სიმონ კობაიძის ოჯახში. ბიძის, სიონის მღვდლის ზაქარია კობაიძის მოწადინებით დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1907 წელს ხელდასხმულ იქნა დიაკვნად, ხოლო ერთი წლის შემდეგ მღვდლად და განწესებულ იქნა დუშეთის მაზრის, სოფელ კობიაანთკარში.

1914-18 წლებში, პირველი მსოფლიო ომის დროს მსახურობდა კავკასიის ფრონტზე, სადაც მიენიჭა დეკანოზის ხარისხი. მონაწილეობდა 1917 წელს გამართულ პირველ საეკლესიო კრებაზე. ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ მსახურობდა ალავერდის ეპარქიაში, სიღნაღის მაზრის, სოფელ ზემო მაჩხაანის წმ. გიორგის ეკლესიაში. 1925 წლიდან, ბოდბის ეპარქიის აღდგენის შემდეგ დაინიშნა ჰერეთის ოლქის მთავარხუცესად. 1930-იანი წლების დასაწყისში გადმოვიდა თბილისში. 1944 წელს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს მიერ დანიშნულ იქნა თბილისის წმ. სამების ეკლესიაში, სადაც მსახურობდა გარდაცვალებამდე, 1952 წლამდე. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

ფოტო მოგვაწოდეს დეკანოზ ილიას შთამომავლებმა: ბატონმა კობა კობაიძემ, ქალბატონებმა მადონა კობაიძემ და ნანა ბურჭულაძემ.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლშარსაბ ტოგბენიძე

წმიდა მღვდელმთავარ დოსითეოს ქუთათელის, წმიდა მღვდელმთავარ ექვთიმე გაენათელის და წმიდა მეფე სოლომონ II ხატების ავტორია რობინზონ რევიშვილი

[illegible]
ქართველი [illegible]: http://www.patriarchate.ge
[illegible]: [illegible] II [illegible] №1
[illegible]: 98-95-41,

რედაქტორი: ზურაბ ციცინაძე,
სარედაქციო კოლეგია: [illegible] (თბილისი),
[illegible], [illegible], [illegible], [

დასაწყისი მე-5 გვ.

ხიშვილი დირექტორის თანამდებობაზე აირჩია იგი დღემდე უანგაროდ და დაუზოგავად იღვწოდა სამშობიარო სახლის კეთილდღეობისათვის. ძნელია მისი წარსულ დროში მოხსენიება, არავინ ელოდა ასეთი ახალგაზრდა სიცოცხლის უდროოდ შეწყვეტას. გიორგი ჯავახიშვილის სახით სამშობიარო სახლმა დაკარგა უდიდესი მეანყინეკოლოგი, მრავალთა გამკითხავი და გულმოწყალე ადამიანი, არაჩვეულებრივი, ერთგული მეგობარი და მასწავლებელი, რომელიც თავის პროფესიონალურ ცოდნას ახალგაზრდა თაობას გადასცემდა. დიდი გულისტკივილითა და და უსაზღვრო მწუხარებით ვეშვიდობებით ჩვენს საყვარელ ადამიანს. უფალმა დაუმკვიდროს სასუფეველი.

სამშობიარო სახლის
კოლექტივი

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქო იუწყება, რომ გარდაიცვალა ხაშმის

მინისტრის *ბერი ალექსი (ჩაჩანიძე).* მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებულის სული.

კრწანისის ბრძოლიდან 210 წელი გავიდა

1795 წლის 24 სექტემბერი, ძველი სტილით 11 სექტემბერი, ქართველთა თავგანწირული გმირობის დღეა. ამ დღეს კრწანისის ომში დამარცხების მიუხედავად ქართველებმა სულის გაუტეხლობისა და გმირობის უდიდესი მაგალითი აჩვენეს: - ალა-მაჰმადხანის 35 000 ჯარს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ერეკლე მეფემ 4 000-მდე ერთგულ მებრძოლთან ერთად. მიუხედავად მცირერიცხოვნობისა, თბილისის მისადგომებთან ქართველები საარაკო გმირობა გამოიჩინეს. როგორც წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) ბრძანებს: „მათ თავი შესწირეს თავისს საყვარელს ქვეყანას, თავის რჯულ-სარწმუნოებას, თავისს ვინაობის ხსნას, თავისს ისტორიის ანდერძს, თავისის ერის სახელსა და დიდებას და ერთობ თავისის ქვეყნის მერმისსა...“

კრწანისის ბრძოლის დღიდან 210 წელი გავიდა. ამ თარიღის აღსანიშნავად ა.წ. 25 სექტემბერს, კვირას, 19.00 სთ-ზე, სამახი არაგველის სახელობის სკვერში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II შეასრულებს ქართველი გმირების სულის მოსახსენებელ პანაშვიდს; მოეწყობა მუსიკალურ-ლიტერატურული სანახაობა.

საზოგადოება გაეცნობა კრწანისის ბრძოლის ისტორიული ადგილის მიწყობის საპროექტო წინადადებას, რომელიც უძრავი ქონების საინვესტიციო კომპანია „GRDC“ ჯგუფის მხარდაჭერით შემუშავდა საქართველოს საპატრიარქოში.

ხელდასხმა

28 აგვისტოს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე სამთავისისა და გორის ეპისკოპოსმა ანდრიამ (გვახარია) აღმენის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში დიაკვნად დაასხა ხელი თბილისის სასულიერო სემინარიის IV კურსის სტუდენტს, ალექსანდრე ქსოვრელს.

* * *

17 სექტემბერს ოზურგეთის წმიდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედის მთავარეპისკოპოსმა იოსებმა (კეკვაძე) მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის დიაკვანს, ბესარიონ ლომინეიშვილს, ხოლო დიაკვნად – მაკვანეთის ხარების სახელობის ეკლესიის სტიქარისანს დავით ჯანჯღავას. მღვდელი ბესარიონი იმსახურებს ოზურგეთის წმიდა ნინოს ეკლესიაში.

* * *

18 სექტემბერს ოზურგეთის წმიდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედის მთავარეპისკოპოსმა იოსებმა (კეკვაძე) მღვდლად დაასხა ხელი დიაკვან დავით ჯანჯღავას, ხოლო დიაკვნად – ოზურგეთის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიის მედავითნეს – შალვა ჯინჭარაძეს. მღვდელი დავითი იმსახურებს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუკნარის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში, დიაკონი შალვა კი იმსახურებს ოზურგეთის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიაში.

სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვარის მამასთან“ არსებულ სამედიცინო სამსახურში ჩატარდება უფასო სამედიცინო კონსულტაციები:

1) ტრამვატოლოგი-ორთოპედი
(24 სექტემბერი 12.00-14.00)
2) ალერგოლოგი
(24 სექტემბერი 15.00-16.00)
3) ნერვოპათოლოგი
(25 სექტემბერი 12.00-14.00)
4) ანგიოლოგი (სისხლძარღვების დაავადებები)
(25 სექტემბერი 14.00-16.00)
5) ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი
(26 სექტემბერი 15.00-17.00)

ინფორმაციისთვის დარეკეთ – 92 90 12, 8 99 57 65 31

ფოტოალბომი

ალავერდობა. 1978 წელი

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სამღვდელო კრებულთან ერთად ლიტანიობისას

უკანა რიგში: ეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ალავერდელი მიტროპოლიტი გრიგოლი (ცერცვაძე) (+1992 წ).

მათ წინ: არქიმანდრიტი სოგრატი (ჭულუხაძე); ჯვრით ხელში დეკანოზი ანდრია ჩახვაშვილი (ამჟამად რუსთველი მიტროპოლიტი ათანასე).

წინა პლანზე: მღვდელი (ამჟამად დეკანოზი) ანთიმოზ ჩაგელიშვილი;

სტიქარონსნები: ივანე ბეწუნაიძე (აწ გარდაცვლილი დეკანოზი იოანე) და თემურ გოგიაშვილი (ამჟამად ფოთისა და ხობის ეპარქიის დეკანოზი თეიმურაზი).

ფოტო მოგვაწოდა ველისციხის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის დეკანოზმა იოანე მიტიჩაშვილმა.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლშარსაბ ტოგიზინიძე

ბეჭდვით, გაზეთს გაუფრთხილებლად გასწი დაბეჭდილ მასალის გამო „საპატრიარქოს უწყებანის" ვებგვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II ფოლადი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესსეკრეტარი ტელეფონი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხადაია,
სარედაქციო კოლეგია: მიხეილ ალიბეგაშვილი (მთავარმდივანი), ფეფანური ჯაფარიძე, ლეონარდ ტრაბერი, ფარიან ბაბუა, ნანა ფარაფონტი, ხათუნა რამიშვილი, ანა ბერიკაშვილი, თამარ ასათიანი, ნინო ბაბუაშვილი,
დამკაბადონებელი: გიორგი მისიტაძე, მაკეტი: ზურა ბერიძე.

დასაწყისი მე-4 გვ.

„გულითადად მივესალმებით საერთაშორისო ფესტივალ „ჩვენებურების“ ყველა მონაწილეს. მოხარულნი ვართ, რომ ჩვენი შეხვედრები ტრადიციული ხდება და სულ უფრო მეტ ადამიანს აერთიანებს.

დედასამშობლოდან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეულ ქართველებთან კავშირის გაღრმავება, მათში ეროვნული სულისკვეთების განმტკიცება და სამშობლოში დაბრუნებისათვის ხელშეწყობა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა და ამაში ყველამ უნდა მივიღოთ აქტიური მონაწილეობა.

ჩვენი ეკლესია ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ამ საქმეში. მინდა გაცნობოთ, რომ ჭობულეთში, ზღვის პირას, არის შესანიშნავი ადგილი, სადაც ზაფხულობით განზრახული გვაქვს მოვაწყოთ დასასვენებელი სახლი უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა ბავშვებისათვის. მათ უნდა მივცეთ საშუალება, უფრო ახლოს გაეცნონ ჩვენს წესებს, ტრადიციებს, ჩვენს ისტორიასა და კულტურას; ვფიქრობთ, ეს განზრახვა ერთ-ორ წელიწადში რეალობად იქცევა და გაჩნდება კიდევ ერთი კერა თანამემულეთა სულიერი გადარჩენისათვის.

შევთხოვ ღმერთს, უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით!“

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

ხელდასხმა

21 სექტემბერს, ხევისა და სტეფანწმინდის ეპისკოპოსმა პატრიმ (ცაავა) სოფელ სიონის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი ბერდიაკონ პავლეს (ჭანტურიძე), ხოლო დიაკვნად – ბერ მათეს (ჯულაყიძე).

* * *

26 აგვისტოს პატარძეულის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტრის წინამძღვარმა, მღვდელმონაზონმა იაკობმა (ავალიშვილი) ბერად აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილები – ტარიელ ოსიტაშვილი რომელსაც სახელად არსენი უწოდა და იაგო შიოშვილი რომელსაც სახელად ეკვთიმე უწოდა).

აღკვეცას ესწრებოდა საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსი ლუკა (ლეჟავა).

ტაძრის კურთხევა

14 აგვისტოს გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსმა ეკვთიმემ (ლეჟავა) და საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) პატარძეულის წმიდა შიოს სახელობის ტაძარი აკურთხეს.

დაჯილდოება

27 სექტემბერს, ჯვართამაღლების ბრწყინვალე დღესასწაულზე უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში ალუმნის ხარისხში აიყვანა და ოქროს ჯვრითა და ენქერის ტარების უფლებით დააჯილდოვა ამავე მონასტრის მღვდელმონაზვნები – სერაფიმე (ჭედია), დოსითე (ბოგვერაძე) და ადამი (ახალაძე).

სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვარის მამასთან“ არსებულ სამედიცინო სამსახურში ჩატარდება უფასო კონსულტაციები:

ოფთალმოლოგი – 1 ოქტომბერი, 12.00-დან 14.00 საათამდე;

ენდოკრინოლოგი – 2 ოქტომბერი, 12.00-დან 14.00 საათამდე;

დერმატოლოგი – 6 ოქტომბერი – 15.00-დან 17.00 საათამდე;

ინფექციონისტის, ნეფროლოგისა და უროლოგის მიღების საათებზე დაგვიკავშირდით.

ინფორმაციისათვის დარეკეთ:
98 90 12;
8 99 57 65 31.

შეხვედრა საპატრიარქოში

27 სექტემბერს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II საპატრიარქო რეზიდენციაში მიიღო საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ბატონი ვ. სკანდალაკისი, საქართველოს ელჩი საბერძნეთში ზ. ჭუმბურიძე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კ. ქავთარაძე, საბერძნეთის ელჩი საქართველოში კ. მავროსკელიდი.

საუბარი შეეხო საქართველოსა და საბერძნეთის დიდი ხნის ურთიერთობებს. სტუმრებთან საუბრისას უწმიდესმა იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს ხანებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება.

ალავერდობის დღესასწაული

28 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ერთ-ერთი ასურელ მამათაგანის, ღირსი იოსებ ალავერდელის ხსენებას აღნიშნავს. ამ დღეს ალავერდის საკათედრო ტაძარში სახეიმო წირვა აღავლინეს ამბა ალავერდელ-

დასასრული მე-6 გვ.

ფოტოპატიანე

კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II მცხეთის სასულიერო სემინარიის პედაგოგებთან და სტუდენტებთან ერთად

1968 წ. 14 სექტემბერი.

სხედან (მარცხნიდან): მღვდელმონაზონი სოგრატი ჭულუხაძე (ამჟამად არქიმანდრიტი), დეკანოზი ვიქტორ შალამბერიძე (გარდაიცვალა 1977 წ.), კათალიკოს-პატრიარქი ეფრემ II (სიდამონიძე), ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი) (ამჟამად კათოლიკოს-პატრიარქი), ილია ჭეიშვილი, ტაისი ტორონჯაძე, მძღოლი ფარნაოზი;

დგანან (მარცხნიდან): სტუდენტი ალადაშვილი, წყალობა ჭულუხაძე (გარდაიცვალა დეკანოზის ხარისხში 2004 წ.), რომანოზ ბიბილაშვილი (გარდაიცვალა დეკანოზის ხარისხში), კლიმენტი კაკალიაშვილი (ამჟამად დეკანოზი), მღვდელი არსენ ბერუაშვილი (ამჟამად სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის დეკანოზი), დიაკონი გიორგი ლომიაშვილი (გარდაიცვალა დეკანოზის ხარისხში 1981 წ.), გივი მაისურაძე, დიაკონი ზურაბი აბჟანდაძე (გარდაიცვალა დეკანოზის ხარისხში), მონაზონი გაბრიელი ჩოჩოშვილი (ამჟამად არქიმანდრიტი), ელგუჯა ლოსაბერიძე (ამჟამად დეკანოზი), მზარეული მარო ქავთარაძე, იოანე მიტიჩაშვილი (ამჟამად დეკანოზი), ლევან იოსებაშვილი (გარდაიცვალა მღვდლის ხარისხში).

სურათი მოგვაწოდა ველისციხის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის წინამძღვარმა დეკანოზმა იოანე მიტიჩაშვილმა.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგიანიძე

მთხოვთ, გაზეთს გაუგზავნეთ ფასი ფულადი გასალების გზით
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებგვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ილიწინდელი II ფოლადანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესსამსახური ტელეფონი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხადაია,
საredakციო კოლეგია: მიტროპოლიტი ფილიპე (ფილიპოსიანი), ეპისკოპოსი ზაზა შარაშიძე, ეპისკოპოსი ტრიფონი, ფარეხის ეპისკოპოსი, ხალიფა ალავერდელი, ანა ბერიკაშვილი, ეთერ ანანიაშვილი, ნინო ბალიბაშვილი,
დამკაბადონებელი: ანანიერ ფალავანდიშვილი, ფოტოგრამა: ზურა ბერიკაშვილი.

ქრონიკა, ინფორმაცია

კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვა

ჩვენო სულიერო შვილებო, თუშ-ფშავ-ხევსურნო, ფხოველნო!

თქვენ იყავით და ხართ ერთგულნი მკვიხენენი საქართველოს ჩრდილო კარიბჭისა, თქვენ ყოველთვის იძლეოდით სიმტკიცისა და გაუტეხლობის მაგალითს და გვერდში ედექით ერთიან საქართველოს; მამულისადმი თქვენი თავდადების მოწმეა ბახტრიონი და კრწანისი, საარაკოა თავგანწირვა სამასი არაგველისა და სამასი ხევსურისა.

თქვენი სულისკვეთება მშვენივრადაა გადმოცემული ამ ლექსში:

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,

არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს, სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“.

მთამ შეინარჩუნა ჩვენი ეროვნული ფასეულობანი. იმედი გვაქვს მომავალშიც ეს ტრადიცია კიდევ უფრო განმტკიცდება. მამულის, ენის, სარწმუნოების დაცვა ჩვენი გადარჩენის გარანტიაა.

საქართველოს საპატრიარქო ყოველთვის ზრუნავდა ამ კუთხის სულიერ წინსვლაზე. ამ მიზნით შეიქმნა ფშავ-ხევსურეთისა და თიანეთის ეპარქია. ჩვენ ვეცდებით შეკვწიოთ ამ მხარეს და ვიზრუნოთ მისი სულიერი აღორძინებისათვის.

„უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით“ (ფს).

ქრისტესმიერი სიყვარულით

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
30 სექტემბერი, 2005 წელი

ბრძანება სრულიად საქართველოს საპატრიარქოსადმი

ა.წ. 29 სექტემბრიდან საქართველოს საპატრიარქოში შეიქმნას ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
29 სექტემბერი, 2005 წელი

ბრძანება სრულიად საქართველოს საპატრიარქოსადმი

ა.წ. 29 სექტემბრიდან ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის ხელმძღვანელად დაინიშნოს მისი ყოვლადუსამღვდელოესობა, ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი).

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
29 სექტემბერი, 2005 წელი

ხელდასხმა

2 ოქტომბერს ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II დიაკვნად აკურთხა კოჯრის ღვთისმსობლის მიძინების მამათა მონასტრის ბერი აარონი (კაპანაძე).

* * *

2 ოქტომბერს ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია დეკანოზის ხარისში აღიყვანა და ოქრის ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა მღვდელი მიქაელ წულუკიძე.

* * *

25 სექტემბერს ოზურგეთის წმიდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედის მთავარეპისკოპოსმა იოსებმა (კუკვაძე) მღვდლად დაასხა ხელი დიაკონ შალვა ჯინჭარაძეს. მღვდელი შალვა დაინიშნა დუაბზეს წმიდა გიორგის ეკლესიის წინამძღვრად.

ახალი ტაძარი ფალდერში

23 სექტემბერს, ბორჯომისა და ბაკურიანის მთავარეპისკოპოსმა სერაფიმემ (ჯოჯუა) ფალდერში აკურთხა წმიდა ნინოს სახელობის ეკლესია. იმავე დღეს ტაძარი მოინახულა და პარაკლისი გადაიხადა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-ემ. პარაკლისს დესწრნენ რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი), ფოთისა და ხობის მთავარეპისკოპოსი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი) და სამტრედიისა და ხონის მთავარეპისკოპოსი საბა (გიგიბერია).

ტაძრის ქტიტორია თამაზ გელაშვილი.

საზეიმო წირვა წმიდა ევსტათი პლაკიდას სახელობის ტაძარში

3 ოქტომბერს მარილმადიდებელი ეკლესია წმიდა ევსტათი პლაკიდას ხსენებას აღნიშნავს. საქართველოში მისი სახელობის ერთადერთი ტაძარია კასპის რაიონის სოფელ ერთაწმინდაში, სადაც

დასასრული მე-7 გვ.

ფოტოალბომი

მარტყოფის „ღვთაების" მონასტრის ბერები.

იღუმენი ხარლამპი (ხომასურიძე, შემდგომში არქიმანდრიტი) 1876-1960
მღვდელმონაზონი აითალა (ძამაშვილი) 1873-1971

ფოტო გადაღებულია XX ს-ის 50-იან წლებში, წმ. ანტონ მარტყოფელის სვეტზე, სადაც არქიმანდრიტ გერმანეს (იაშვილი) წინამძღვრობით კომუნისტების მიერ „ღვთაების" მონასტრიდან გამოდევნილი ხუთი ბერი დასახლდა. მოღვაწენი შეძლებისდაგვარად პატრონობდენ მონასტერს და აღასრულებდენ საღვთო საიდუმლოებებს. უამრავი დამცირებისა და შევიწროების მიუხედავად სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურნენ დედა ეკლესიას. მამა ხარლამპი და აითალა უკანასკნელნი იყვნენ ღვთაების სავანეში მოღვაწე ძმათა შორის.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლშარსაბ ტოგმოონიძე

ბეჭდავს, აჭრის აუზრუნველყოფს ბანაკი ნაბეჭდი ფაილების ბეჭდვა
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ილიანი II მოედანი №1
საპატრიარქოს საინფორმაციო პროგრამების ტელეფონი: 98-95-41.

რედაქტორი: ნინო ციციშვილი,
საredაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი ფილიპე (ბეჭელიშვილი),
ფალიტა ფალეი ფალეშვილი, ლეონა ტუტაბელი, ბორის ბალა, ნინო ციციშვილი,
ბიბლა ფალეიშვილი, ანა ბერეკაა, ეკატერინ ანანიანი, ნინო ბალეიშვილი,
ფალეალეფალეალეფალეალ: ალიალი ბალეიშვილი, ფალეალეფალ: ხენა ბერეალეალ.

ფოტოალბომი

ფოთის ივერიის ღვთისმშობლის ხატის სამლოცველო სახლის პირველი დღესასწაული. 1955 წლის 26 ოქტომბერი

ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი ეფრემი (სიდამონიძე, შემდგომში პატრიარქი) 1896-1972, მისგან მარცხნივ, ხახარებით ხელში, მღვდელ-მონაზონი შიო (ძიძავა, შემდგომში არქიმანდრიტი) 1882-1969, მისგან მარჯვნივ, ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი კოსმა კირცხალია 1892-1961.

უკანა პლანზე დიაკონი გიორგი ტერზიევი (შემდგომში დეკანოზი) 1915-1978.

ფოტო მოგვაწოდა ჯიხეთის დედათა მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ანდრიამ (კბილაშვილი).

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლშარსაბ ტოგბონიძე

ბეჭდვით, გაზეთის გაშიფრულებლად მასში დაბეჭდილი მასალების გამო „საპატრიარქოს უწყებანის" ვებგვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე,
საredაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი), დეკანოზი დავით შარაშენიძე, ლშარსაბ ტოგბონიძე, მარიამ გაბუნ, ნათია მარაშვილი, ხათუნა რამიშვილი, ნანა ბოკუჩავა, თამარ ასათიანი, ნინო ბარუმშვილი,
დამკაბადონებელი: ალექსანდრ მაისურაძე, **ოპერატორი:** ზოია კოზახიძე.

დასაწყისი მე-4 გვ.

სვეტიცხოვლობას მოშლოცველობითი მსვლელობა გაიმართა

წმიდა ილია მართლის სახელობის პილიგრიმთა გაერთიანებამ უფლის კვართის დღესასწაულთან დაკავშირებით ლოცვითი სვლა მოაწყო. მსვლელობა 13 ოქტომრებს ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძრიდან დაიწყო, მომლოცველები დაესწრნენ წირვას და შემდეგ თბილისიდან მცხეთისკენ გაემართნენ. მსვლეობა ლოცვის თანხლებით წარიმართა და წინ მაცხოვრის ხატი მიუძღოდა. საბოლოოდ, ჯგუფმა სვლა სვეტიცხოვლის ტაძარში დაასრულა, თაყვანის სცა უფლის ცხოველსმყოფელ კვართს.

ხელდასხმა

9 ოქტომბერს ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II დიაკვნად დაასხა ხელი ნადოკრის წმიდა არჩილ მეფის სახელობის მამათა მონასტრის ბერ არჩილს (კიკვაძე).

* * *

16 ოქტომბერს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ყოვლაწმიდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის დიაკონ ბესარიონ მეფარიშვილს.

განცხადება

შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თხოვნით ვაქვეყნებთ შემდეგ განცხადებას: „უმუშევარია სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის 2005 წლის სახელმწიფო პროგრამა“ ხორციელდება სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს მიერ. დაინტერესებულმა პირებმა უნდა მიმართონ სააგენტოს რაიონული გაყოფილებებს რეგისტრაციის ადგილის მიხედვით

თბილისის რაიონული განყოფილებები:

მთაწმინდა-კრწანისი - გამგეობის შენობა, მე-4 სართული ტელ.: 72-01-30, გან-ბის უფროსი ქეთევან კვირიკაშვილი

ისანი-სამგორი – შავი ზღვის ქ. №13, ტელ.: 27-37-19, გან-ბის უფროსი ლევან კახაბრიშვილი

დიდუბე-ჩუღურეთი – გამგეობის შენობა 1-ლი სართული, ტელ.: 94-24-98, გან-ბის უფროსი მარი წერეთელი;

ვაკე-საბურთალი – მიცკევიჩის ქ. № 23, ტელ.: 893-371-401, გან-ბის უფროსი თენგიზ გუდელიანი;

გლდანი-ნაძალადევი – გამგეობის შენობა მე-2 სართული, ტელ.: 62-59-92, გან-ბის უფროსი ნინო აგაშენაშვილი.

სამსახურიდან ახლადდათხოვნილ უმუშევრებს, თუ ისინი სამი თვის განმავლობაში გაივლიან რეგისტრაციას სააგენტოს რაიონულ განყოფილებებში და სამუშაოს დაკარგვამდე აქვთ მუშაობის ერთი წლის სტაჟი ენიშნებათ შემწეობა 6 თვის განმავლობაში 20 ლარის ოდენობით. დაწვრილებით ინფორმაციას მიიღებთ რაიონულ გაყოფილებებში.

სააგენტო ასევე ახორციელებს უმუშევართა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სახელმწიფო პროგრამას შემდეგ სპეციალობებში:

ობსეტური ბეჭდვის მბეჭდავი (ტექნიკური უნივერსიტეტი)

ავტომანქანის შემკეთებელი (ტექნიკური უნივერსიტეტი)

ავტოელექტრიკოსი (ტექნიკური უნივერსიტეტი)

ლითონის მხატვრული დამუშავება (მინანქარი)

აირშემდუღებელი (ტექნიკური უნივერსიტეტი)

საამშენებლო-საინსტალაციო (გათბობის, ელ. გაყვანილობისა და ვენტილაციის სპეციალისტი) (ტექნიკური უნივერსიტეტი)

ძიძა („ქებაი“)

მანიკური, პედიკური („ქებაი“)

მიმტანი („ქებაი“)

ბარმენი („ქებაი“)

მცხობელი (ტექნიკური უნივერსიტეტი)

ხეზე მჭრელი („ქებაი“)

ქსოვილის მხატვრული დამუშავება („ქებაი“)

კერამიკის ოსტატი („ქებაი“)

სწავლე უფასოა, წარჩინებული კურსდამთავრებულებს ეძლევათ დასაქმების შესაძლებლობა.

სასწავლო კურსებზე მოხვედრის მსურველები უნდა იყვნენ დარეგისტრირებული სოციალური დახმარებისა და დასაქმების რაიონულ განყოფილებაში სამოქალაქო რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

ტექნიკური უნივერსიტეტის სპეციალობების მსურველებმა მიკითხეთ ტექნიკური უნივერსიტეტის I კორპუსი VI სართული, ანზორ კვარაცხელია

„ქებაი“ – ენუქიძის 2, ვარკეთილის მეტროდან 115 სამარშუტო ტაქსი შინაგანი ჯარის კუთხესთან, გაზის ან სამარშრუტო ტაქსი 5ა(169) ტელ.: 70-12-28 (ლოლიტა)

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქო მწუხარებით იუწყება, რომ 79 წლის ასაკში გარდაიცვალა ფილოსოფოსი, მეცნიერი და თეოლოგი ბ-ნი გიორგი /ჟორეს/ ცინცაძე.

ბ-ნმა გიორგიმ მრავალი განსაცდელით აღსავსე ცხოვრება განვლო. თსუ-ს ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტი საბჭოთაამოყრობის მიერ რეპრესირებული ციმბირში იყო გადასახლებული. სასწაულებრივად გადარჩენილი დაუბრუნდა იგი საქართველოს.

მოგვიანებით უკვე ფილოსოფოსი და მეცნიერი ბ-ნი გიორგი იმ მცირერიცხოვან ინტელიგენტთა რიცხვშია, ვინც არ ერიდება სახელმწიფოებრივ მარწუხებს და დგება ეკლესიაში სასულიერო

დასასრული მე-6 გვ.

ფოტოალბომი

მღვდელი ილარიონ ხოჯავა

მღვდელი ილარიონ იაკობის ძე ხოჯავა დაიბადა 1860-იანი წლების დასაწყისში.

1877 წ. დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. 1881 წ. 25 ივნისს განაწილებულ იქნა ვარციხის ღვთისმშობლის ტაძარში მედავითნედ. 1883 წ. 30 იანვარს იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის (ქიქოძე) მიერ ხელდასხმულ იქნა დიაკვნად და განამწესეს გეგუთის წმ. გიორგის ეკლესიაში. პარალელურად ასწავლიდა გეგუთის სამრევლო სკოლაში საღვთო სჯულს. 1885 წ. 3 ნოემბერს ხელდასხმულ იქნა მღვდლად და დაინიშნა სოფელ სადემეტრეოს წმ. გიორგის ეკლესიის მოძღვრად. 1892 წ. 29 ივლისს სოფელ სადემეტრეოს წმ. გიორგის ტაძრის კურთხევისას სასარგებლო და საქმიანი მოღვაწეობისთვის წმიდა ეპისკოპოსმა გაბრიელმა დააჯილდოვა საგვერდულის ტარების უფლებით. იმავე წლის 26 აგვისტოს თავისივე თხოვნის საფუძველზე გადაიყვანეს პატრიკეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. 1897 წ. 2 ივნისს მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერისას გაწეული შრომისათვის მას უწყალობეს უმაღლესი ჯილდო – მუჭი ბრინჯაოს მედალი. 1899 წ. ქვიტირის ოლქის სამღვდელოების გადაწყვეტილებით მღვდელი ილარიონ ხოჯავა არჩეულ იქნა დეპუტატად სამი წლის ვადით, იმერეთის ეპარქიის დეპუტატთა სხდომაზე. 1902 წ. 2 მაისს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე, შემდგომში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი) დააჯილდოვა სკუფიის ტარებით. 1904 წ. 17 აპრილს ინიშნება გეგუთის წმ. გიორგის ტაძრის მშენებლობის ორგანიზატორად და ამავე ტაძრის წინამძღვრად. მღვდელი ილარიონ ხოჯავა კომუნისტებმა იძულებული გახადეს შეეწყვიტა სამღვდელო მსახურება და დაეტოვებინა სოფელი. იგი დასახლდა ზესტაფონში, სადაც გაატარა ცხოვრების უკანასკნელი წლები და აღესრულა 1940 წ.

მღვდელ ილარიონ ხოჯავას ჰყავდა მეუღლე დომნიკა მიქაელის ასული ხოჯავა და 7 შვილი: იაკობი, შალვა, ზოსიმა, ანა, ელისაბედი, ლუდმილა და მარიამი. დღეს მამა ილარიონის შთამომავალთაგან ორი მისი შვილიშვილი: დეკანოზი გრიგოლ აბულაძე – ზესტაფონის წმ. გიორგის და წმ. ნინოს ტაძრების წინამძღვარი და მღვდელი გიორგი ხოჯავა – კასპის წმ. თეოდორე ტირონის ტაძრის წინამძღვარი, აგრძელებენ საგვარეულოს სასულიერო ტრადიციას.

თუ თქვენს ხაოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგბონიძე

გამოვიდა საბავშვო გაზეთ
„ალილუია“-ს ახალი 14(51) ნომერი.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის“ ვებგვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ილია II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესსამსახური ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მიხეილ ანანიაშვილი, ზვიადი (ბოლოქაძე), ზვიადი ზვიადი ფარეულიძე, ლევანი ტურნავი, ბორის ბაბა, ნინო ფარეულიძე, ბაბა ალექსიძე, ნინა კოტოლა, ეთერ ანანიანი, ნინო ბალოგაძე,
დამაკავშირებელი: ბახ

ისტორიის ფურცლები

მღვდელმონაზონი ზენონი (სუმბაძე)

(1869-1963)

ალავერდის დიდებული მონასტრის ეზოში ტაძრის შესასვლელისაგან 15 მეტრის დაშორებით არის საფლავი მღვდელმონაზონ ზენონ სუმბაძისა.

მღვდელმონაზონი ზენონი დაიბადა 1969 წლის 2 იანვარს კახეთში, სოფელ ვარდისუბანში. იმავე სოფლის ეკლესიაში მოინათლა და ეწოდა სახელი იოსები. სწავლა-განათლება იოსებმა თელავში მიიღო, სადაც მამამ მსახურად ერთ ადვოკატს მიაბარა. ადვოკატის ვაჟი მასწავლებელი იყო და მისი დახმარებით იოსებმა კარგად შეისწავლა წერა-კითხვა: რუსულად, სომხურად და ლათინურადაც კი. ცხრამეტი წლის ასაკში მას დიდი უბედურება დაატყდა თავს, უეცრად მშობლები გარდაეცვალა.

როდესაც იოსები 21 წლის გახდა, ჯარში სამსახურის დრომ მოუწია. ამ დროს კენჭის ამოღებით წყდებოდა, თუ ვის უნდა ემსახურა და ვის - არა. მას ძალიან უნდოდა „სალდათობა“, მაგრამ არ აუხდა სურვილი. ამის შემდეგ იოსები თბილისში ჩავიდა, სადაც მზარეულად მოეწყო. იქ ყოფნისას მრავლად შეიძინა საღმრთო წიგნები, ხატები, მორწმუნე საზოგადოებას დაუახლოვდა.

დრო გადიოდა. დავაჟკაცებულ იოსებს ვერ გადაეწყვიტა, ოჯახი შეექმნა თუ მონასტერში წასულიყო. ერთ საღამოს ფიქრებით დაღლილს ჩაეძინა და იხილა ჩვენება: მისი მშობლები თავს ადგნენ და ხელში ქუდები ეჭირათ, ცილინდრი და საბერო ქუდი – შენ შვილო, ცოლის შერთვას ტყუილად ფიქრობ, შენ ეს ქუდი უნდა დაიხურიო, – უთხრეს და საბერო სკუფია გაუწოდეს. გათენდა თუ არა, იოსები ვიღაცის ძახილმა გამოაღვიძა, აღმოჩნდა, რომ მის ამხანაგ ივანეს, რომელიც ბერად იყო წასული ქვათახევის მონასტერში, წერილი გამოეგზავნა, სადაც წერდა: რას აკეთებ მაგ მყრალ ქალაქში, ჩამოდი, ნახე აქ რა კარგიაო. მეორე დღესვე გაუშურა იოსები მონასტრისაკენ. საძმომ ძლიერ გაიხარა მისი ჩასვლით და დიდი სიხარულით მიიღეს თავისთან. ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი მაშინ იყო არქიმანდრიტი კირიონი (საძაგლიშვილი, შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი),

გაგრძელება 26-ე გვ.

უცხოეთის ქრონიკა

დასაწყისი 23-ე გვ.

ტულას დედათა და ახალი ვაალამის მამათა მონასტრებს, აქვე შესრულდა ტრადიციული რუსული სამონასტრო საგალობლები, როგორც მონოდიური, ასევე პოლიფონიური.

კონსტანტინოპოლის პატრიარქის ვიზიტი საბერძნეთში

ამ წლის 13-20 სექტემბერს მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოს I ეწვია ჩრდილოეთ საბერძნეთის ეპარქიებს ედესასა და ფლორინში. ეს გახლდათ მსოფლიო პატრიარქის პირველი ვიზიტი იმ დაძაბული ურთიერთობის შემდეგ, რაც გასულ წელს საბერძნეთის ეკლესიის წმიდა სინოდის მიერ, ამ მხარეში ეპისკოპოსთა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთან შეუთანხმებლად გამორჩევამ გამოიწვია. შერიგების ნიშნად, ათენის მთავარეპისკოპოსი ქრისტოდულოსი საბერძნეთის ეკლესიის ორმოცდაორი ეპისკოპოსის თანხლებით, მსოფლიო პატრიარქს თესალონიკის აეროპორტში დახვდა.

20 სექტემბერს მსოფლიო პატრიარქი ათენში ჩაბრძანდა. ათენის პოლიტიკური და საზოგადოებრივი განათლების ინსტიტუტმა მას საპატიო დოქტორის "ჰონორის კაუზას" ხარისხი მიენიჭა.

მსოფლიო საპატრიარქოს თვეზე მეტი ხნის განმავლობაში გაწყვეტილი ჰქონდა ურთიერთობა მთავარეპისკოპოს ქრისტოდულოსთან. 2004 წლის აპრილში, საბერძნეთის ეკლესიის ეპისკოპოსთაა პლენარულ სხდომაზე გამორჩეული იქნა სამი ეპისკოპოსი, თესალონიკის, ელეტერუპოლის და კოზანის (ჩრდილო საბერძნეთი) ეპარქიებში, ხოლო კანდიდატთა სია ამ სამთავარეპისკოპოსების კათედრებზე მსოფლიო საპატრიარქოს მიერ წინასწარ შეთანხმებული არ იყო. ეს ფაქტი წარმოადგენდა კონსტანტინეპოლისა და საბერძნეთის ეკლესიას შორის დადებული 1928 წლის ხელშეკრულების დარღვევას, რომლის მიხედვითაც, კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ საბერძნეთის ეკლესიას მიანდო საბერძნეთის ეკლესიის 36 ეპარქიის ადმინისტრირება, ათენის მიერ 1912 წელს ანექსირებული „ახალ ტერიტორიების“ ეპარქიებზე საკუთარი კანონიკური ძალაუფლების შენარჩუნებით.

ეს კრიზისი, რომელსაც ანალოგი არ ჰქონდა, 2004 წლის 4 ივნისს დასრულდა. საბერძნეთის ეკლესიის წმიდა სინოდმა ვალდებულება აიღო, რომ დაიცავდა 1928 წლის შეთანხმებას, რომელიც განსაზღვრავდა ურთიერთობას საბერძნეთის ეკლესიასა და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს შორის.

დასაწყისი 25-ე გვ.

რომელმაც დიდად გაიხარა ნიჭიერი კაცის შემოსვლით და იგი მორჩილად განაწესა. ეს მოხდა 1898 წელს. იმავე წელს არქიმანდრიტი კირიონი ხელდასხმულ იქნა ალავერდის ეპისკოპოსად და მორჩილი იოსებიც კახეთში წაჰყვა თავის მოძღვარს. 1899 წელს ეპისკოპოსმა კირიონმა აწყურის თეთრი გიორგის მონასტერში იგი ბერად აღკვეცა და სახელად ზენონი უწოდა, ღმერთშემოსილი ასურელი მამის, ზენონ იყალთოელის სახელზე. ერთ თვეში იგი თბილისში გაგზავნა, სადაც დიაკვნად აკურთხეს. მამა ზენონი მცირე ხნით დავით-გარეჯში და იოანე ნათლისმცემლის მონასტრებში მსახურობდა მთავარდიაკვნად. 1901 წელს ხელდასხმულ იქნა მღვდელმონაზვნად და ალავერდის მონასტერში დაინიშნა. იმავე წელს მიენდო ძალზე საპასუხისმგებლო მოვალეობა – იკონომოსობა, რომელიც ალავერდის საგანძურის დაცვასა და ზედამხედველობას ავალდებულებდა.

გადიოდა წლები. ბერული ცხოვრება ყოველდღიურ წირვა-ლოცვასა და მორჩილებაში მიედინებოდა. მამა ზენონი შეძლებისდაგვარად ზრუნავდა მონასტერზეც. 1905 წელს ბერ მალაქიასთან (წიკლაური, შემდგომში იღუმენი, დახვრიტეს 1937 წლის რეპრესიების დროს) ერთად გაამშვენეს მონასტრის ეზო ხეხილით. გალავნის გარეთ ორ ადგილას ვენახი ჰქონდათ გაშენებული, ორასი ძირი ხეხილი ალვის ხეებით იყო შემოსაზღვრული. მოგვიანებით ეს ბაღი კოლექტივიზაციას შეეწირა. 1909 წელს მამა ზენონის თაოსნობით გაიყვანეს სასმელი წყალი, მხლებით არა მხოლოდ მონასტრისთვის, არამედ სოფელ ალავერდის მოსახლეობისთვისაც. I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე საშიშროების გამო, მამა ზენონმა ალავერდის მონასტრის საგანძური, საძმოს დახმარებით, წაიღო იოსებ ალავერდელის საფლავის უკან, თაღში დააწყობინა და ორივე მხრიდან საიმედოდ ამოაშენებინა.

1921 წელს საქართველოში კომუნისტური რეჟიმის ძალადობით დამყარების შემდეგ ეკლესია-მონასტრები უნუგეშო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ძლიერ შეავიწროეს ალავერდის ეპარქია და მისი იმდროინდელი მღვდელმთავარი პიროსი (ოქროპირიძე), ხოლო მღვდელმონაზონი ზენონი უსაფუძვლო ბრალდებით თელავის ციხეში ჩასვეს, სადაც იმ დროს მრავლად იყვნენ დატუსაღებული კახეთის ინტელიგენციისა და თავად-აზნაურობის წარმომადგენლები. სამი თვის პატიმრობისა და ტანჯვა-წამების შემდეგ გადაწყდა მათი დახვრეტა. განაჩენით ისინი უნდა დაეხვრიტათ გიგოს გორაზე. მეორე ღამეს, რიდესაც 100 პატიმარი თოკებით გადაბმული გორაზე მიჰყავდათ დასახვრეტად, მამა ზენონს მოულოდნელად ერთი პოლიციელი ცხენოსანი მიუახლოვდა, რომელმაც ჩუმად ხანჯლით თოკები გადაუჭრა. იგი მიხვდა, რომ ვიღაცამ იზრუნა მისი გადარჩენისთვის და მაშინვე ხრამში გადაეშვა. შემდგომში იგი ასე იხსენებდა ამ ამბავს: „ისეთი გახარებული გადავეშვი ხრამში, რომ იმ წუთას არც კი მიფიქრია, ცოცხალი ამოვიდოდი იქიდან თუ დასახიჩრებული. ოღონდაც იმ საზარელ გორაზე დახვრეტას გადავრჩენილიყავიო“. მისი გადამრჩენელი იყო ცნობილი ფოტოგრაფის როინიშვილის ძმისშვილი, ვასილი, რომელიც მამა ზენონთან მეგობრობდა და დიდ პატივს სცემდა მას, როგორც გამორჩეულ მოღვაწესა და სასულიერო პირს. იგი კვლავ ალავერდში დაბრუნდა და გააგრძელა ღვთისმსახურება და მასზე დაკისრებული მოვალეობა.

1922 წელს ალავერდის მონასტერში დასვენებული წმ. გიორგის ოქროს ხატი გაძარცვეს. თვალმარგალიტი და შეწირულობა მთლიანად იყო მოგლეჯილი და წაღებული. მილიციამ, ტაძრის წინამძღვარ მღვდელმონაზონ ზენონ სუმბაძეს ბიროტმოქმედებთან თანამზრახველობაში დასდო ბრალი, რადგანაც ტაძრის გასაღები მასთან ინახებოდა. ბერი თელავის კომისარიატში წაიყვანეს და ოთხი დღე-ღამის განმავლობაში საპყრობილეში ამყოფეს, მეხუთე დღეს მისდა გასაკვირად გაათავისუფლეს. მამა ზენონი მაშინვე პიროს ეპისკოპოსის სანახავად გაეშურა, მაგრამ გზაზე მეტად შემაშფოთებელი პროცესია იხილა. ოცი შეიარაღებული საბჭოთა მილიციელი შვიდ ფაეტონს უკან მიჰყვებოდა და თან დატუსაღებული მღვდელთმთავარი მოჰყავდა. მათ მამა ზენონსაც გაყოლა უბრძანეს. ალავერდის ტაძარში მისულებს საშინელი ვითარება დახვდათ, საგანძურის სამალავის კედელი გამოენგრიათ და სიწმიდეებს იქვე მაგიდაზე ახარისხებდნენ. ამ პროცესს თბილისიდან ჩამოსულ პარტიულ ხელმძღვანელთა გარდა მიმდებარე სოფლთა კოლექტივის თავჯდომარეებიც ესწრებოდნენ. შემდგომში მთელი ეს საგანძური თელავში გადაიტანეს და

გაგრძელება 27-ე გვ.

დასაწყისი 26-ე გვ.

მეორე დღეს ეპისკოპოსს პირისს მოსთხოვეს ხელი მოეწერა ამ სიწმიდეთა სახელმწიფოსათვის გადაცემის აქტზე, რაზეც ალავერდელი მღვდელთმთავრისაგან მტკიცე უარი მიიღეს. ალავერდის სიწმიდეები თბილისში გადააგზავნეს, ხოლო ეპისკოპოსი პირისი ჯერ კომკავშირელებს აკვნინეს, შემდეგ კი სისხლიანი და დასახიჩრებული კიბის ქვეშ დაამწყვდიეს, რის შედეგადაც ამბა ალავერდელი პირისი, პატრიოტი და უჯრედად განათლებული პიროვნება, შეურაცხყოფილი და ნაგვემი კიბის ქვეშ აღესრულა. საქართველოს ეკლესიაში იგი პირველი მღვდელთმთავარი იყო, რომელიც კომუნისტების ხელით სავალოდ იქნა მოკლული ქრისტეს სარწმუნოებისა და ეკლესიის ერთგულებისათვის.

ალავერდის მონასტრის ბერებს ყველაფერი ჩამოართვეს, ზოგი მოკლეს, ზოგიც დააპატიმრეს. მიუხედავად მრავალი ტანჯვისა და დევნა-შევიწროებისა მღვდელმონაზონი ზენონი მაინც აგრძელებდა მღვდელმსახურებას ალავერდის საკათედრო ტაძარში. მოსახლეობასა და სამღვდელოებაში ძალზე დიდი იყო მისი გავლენა და ავტორიტეტი. სამღვდელოების წარმომადგენელნი ამბობდნენ: „თუ მამა ზენონი ანაფორას არ იხდის და უშიშრად აგრძელებს ღვთისმსახურებას, არც ჩვენ დავანებებთ თავს ეკლესიაში მსახურებას და მღვდლობასო“. ეს კარგად იცოდნენ სახელმწიფოს წარმომადგენლებმა და ყველანაირად ცდილობდნენ მამა ზენონის იზოლირებას. ამ ამბიდან დიდი ხანი არ იყო გასული, რომ ერთი პოლიციელი მიუგზავნეს შესაშინებლად. მან მამა ზენონი ტაძრიდან გამოიყვანა, ხალხის თანდასწრებით რევოლვერი მიადო მაღალ სკეფიაზე და მოკვლით ემუქრებოდა. ბერს სიმშვიდე არ დარღვევია, მხოლოდ ელოდა, თუ რას მოიმოქმედებდა იგი. გაისროლა მოხდა და ტყვიამ ქუდში გაიარა. მამა ზენონმა მშვიდად მოიხადა ქუდი და მარჯვე მსროლელს ამ სიტყვებით მიმართა: „შენს ასაკში იოსებ ბესარიონოვიჩი უკეთესად ისროდაო“ და ასე გაშორდა გაოგნებულ და სახტად დარჩენილ პოლიციელს. მრავალი ზეწოლის შედეგად 1925 წელს იგი იძულებული გახდა, მაინც დაეტოვებინა ალავერდის მონასტერი და დასახლებულიყო იქვე ახლო სოფელში, სადაც ერთმა ღვთისნიერმა ხელოსანმა შეიფარა, რომელსაც კრამიტის გამოწვაში ეხმარებოდა. მის მაგივრად ალავერდის მონასტერი ჩააბარეს შიომღვიმედან გადმოყვანილ მღვდელმონაზონ სტეფანეს (გიგოლაშვილი). შვიდი წლის შემდეგ მამა ზენონი სოფელ ალავერდიდანაც განდევნეს; მან თავი სოფელ ხოდაშენს შეაფარა.

II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მამა ზენონს უფლის გამოცხადებით ეუწყა, დაბრუნებოდა მონასტრულ ცხოვრებასა და ღვთისმსახურებას. 1948 წელს იგი თხოვნით ჩაუდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატესთან (ცინცაძე), რითაც ჩაერიცხა რომელიმე მონასტრის კრებულში. კათოლიკოს-პატრიარქმა დიდი სიხარულით მიიღო მამა ზენონი. იგი გაგზავნეს თეთრი გიორგის მონასტერში. 1950 წელს მამა ზენონი თავისივე თხოვნის საფუძველზე გადაიყვანეს ალავერდის მონასტერში. 1950-იანი წლების ბოლოს კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ III (ფხალაძე), მამა ზენონი ეკლესიაში ხანგრძლივი და ერთგული სამსახურისათვის დაჯილდოვა ოქროს ჯვრით და მიანიჭა იღუმენის ხარისხი. მამა ზენონი გარდაიცვალა 1963 წელს, 94 წლის ასაკში.

აი, ასეთი ჭირთა თმენით განვლო მღვდელმონაზონმა ზენონმა თავისი ხანგრძლივი ცხოვრება, რომელშიც საქართველოს ეკლესიის იმდროინდელი ცხოვრებაც აირეკლა.

გიორგი მაჩურიშვილი, ლუარსაბ ტოგონიძე

P.S. მამა ზენონზე მოგონებების მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით მის შვილობილს, მიხეილ კუკუნაშვილს

ფოტოალბომი

მღვდელი ლავრენტი შიოშვილი
(1893-1919)

დაიბადა 1893 წელს მღვდლის ოჯახში. მამამისი ქრისტესია შიოშვილი მსახურობდა ხევსურეთში, სოფელ მუქოში. მამა ლავრენტი სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომლის დამთავრების შემდეგ განამწესეს მედავითნედ თავის მამასთან. 1919 წელს მამა ქრისტესია გადაყვანილ იქნა სოფელ შატილში, ხოლო მის ადგილზე სოფლის მცხოვრებთა თხოვნით, მღვდლად ხელდასხმულ იქნა მამა ლავრენტი. მან მხ-ოლოდ ოთხი თვე იმსახურა მღვდლის ხარისხში. იმავე წელს ღამით თავისსავე სახლში მხეცურად იქნა მო-ლული მეუღლესთან ერთად. დარჩათ ორი ვაჟი, 5 წლის ნიკოლოზი და 3 წლის გიორგი, რომლებიც იმ ღამეს სახლში იმყოფებოდნენ, თუმცა მკვლელებ-მა მათ ხელი არ ახლეს. მოხუცი ხალხის გადმოცემით, ერთ-ერთი მკვლელი, რომელმაც უშუალოდ გამოჭრა ყელი მამა ლავრენტის, მკვლელობიდან რამდენიმე წლის შემდეგ დაბრმავდა და მთელი 50 წელიწადი საშინელი წამებით იცხოვრა.

შემორჩენილია მოგონება მამა ქრისტესიას ვაჟკაცობის შესახებ. იგი ყოფილა პატარა ტანის, თუმცა ძლიერ უშიშარი და დიდი ვაჟკაცი. მუქოში მსახურობის პერიოდში ქისტები ხშირად ქურ-დულად გადმოიპარებოდნენ ხოლმე ხევსურეთის სოფლების გასაძარცვად, მაგრამ გადმოსვლის წინ ჯერ ჩუმად იკითხავდნენ, ის პატარა მღვდელი სოფელშია თუ ქალაქს არის წასულიო. როდესაც ნახავდნენ, რომ სოფელში იყო, მისი შიშით ველარ ბედავდნენ თავდასხმას. ერთხელ მაინც გაურისკიათ და ჩუმად დასხმიან სოფელს თავს. ეს რომ გაუგია მამა ქრისტესიას, აუკეცია ანაფორის კალთები, აუღია ხანჯალი და მდევართან ერთად გამოკიდებია ქისტებს. მათაც რომ დაუნახიათ მამა ქრის-ტესია, შეშინებულებს დაუგდიათ ნადავლი და გაქცეულან. მამაო უკან დაედევნა და სულ სიბრტყით სცემდა ხანჯალს გაქცეულ ქისტებს. იქამდე სდია, სანამ არ გადაიხვეწნენ. ამ ამბის შემდეგ მათ ალარც უცდიათ ხევსურების შეწუხება.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფო-ტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგოლნიძე

გამოვიდა საბავშვო გაზეთ
„ალილუია“-ს ახალი 14(51) ნომერი.

გარეკანის პირველ გვერდზე: სქართველოს ხელოვნების მუზეუმი. აგბა ალაევერდელი მიტროპოლიტი დავითი (

დასაწყისი მე-9 გვ.

როპოლიტი აბრაამი (გარმელია), ზუგდიდ-ცაიშის ეპარქიის მმართველი, საპატრიარქოს საგარეო განყოფილების თავმჯდომარე, ეპისკოპოსი გერასიმე (შარაშენიძე), თბილისის საღვთისმეტყველო ინსტიტუტის პროორექტორი, დეკანოზი გიორგი ზვიადაძე და იღუმენი დავით ჭინჭარაული სტამბულში გაემგზავრნენ, რათა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციაში – „დიალოგი და ურთიერთგაგება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში“.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსებმა და რელიგიურმა ლიდერებმა. საერთაშორისო კონფერენციის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ კონფერენციას ოფიციალური მიმართვები გაუგზავნეს აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, გაერთიანებულ ერების გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა, ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კონფერენციას სიტყვით მიმართა (იხ. გვ. 7).

კონფერენცია 9 ნოემბერს დასრულდა.

საქართველოს საპატრიარქოს დელეგაცია სამშობლოში 10 ნოემბერს დაბრუნდა.

აფხაზეთისადმი მიძღვნილი კონფერენცია

2005 წლის 2-4 ნოემბერს ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „მართლმადიდებლობა აფხაზეთში. ეროვნული თვითიდენთიფიკაციის საკითხი“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის, ქართული ეკლესიისა და ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა.

სამეცნიერო კონფერენციის პირველი პლენარული სხდომას მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილი).

კონფერენციის სამუშაო რეგლამენტი საკმაოდ დატვირთული იყო. 2 და 3 ნოემბრის სხდომები დაეთმო ისტორიის, ლიტერატურისა და ხელოვნების, ფილოსოფიისა და პოლიტოლოგიის და საბუნებისმეტყველო სექციების წარმომადგენლებს.

4 ნოემბერს გაიმართა პლენარული სხდომა, სადაც წარმოდგენილ იქნა სამეცნიერო კონფერენციის სექციათა ხელმძღვანელების ანგარიშები, გაიმართა მსჯელობა საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიებზე ქრისტიანული კულტურის ძეგლთა დღევანდელი მდგომარეობისა და მათი გადარჩენის პერსპექტივებზე. შემუშავდა საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი მიმართვის პროექტი. დისკუსიას თემაზე - მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ორაბორიგენების თეორია - უძღვებოდა მანგლისისა და წალკის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე). ამავე სხდომაზე დაისვა საკითხი სარწმუნოებისა და საქართველოსათვის აფხაზეთში დაღუპულების წმიდანთა დასში შერაცხვის შესახებ (XVII-XX საუკუნეები).

იკურთხა ბათუმისა და სხალთის ეპარქიის რეზიდენციის საძირკველი

8 ნოემბერს ბათუმში რამოდენიმე წლის წინ ხანძრის დროს დაზიანებული საეპარქიო სახლის ადგილას იკურთხა ახალი რეზიდენციის საძირკველი. კურთხევას დაესწრნენ ამბა აღაფერდელი მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე), ბორჯომისა და ბაკურიანის მთავარეპისკოპოსი სერაფიმე (ჯოჯუა), ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი), სენაკისა და ჩხოროწყუს ეპისკოპოსი შიო (მუჯირი), სტეფანწმიდისა და ხევის ეპისკოპოსი პეტრე (ცაავა), ეპარქიის სამღვდელოება და მრავალრიცხოვანი მრევლი.

მშენებლობა ერთ წელიწადში დამთავრდება. ხარჯებს საზღვარგარეთ მცხოვრები ბათუმის ერთ-ერთი მკვიდრი გაიღებს. რეზიდენციის არქიტექტურა შეესაბამისობაში იქნება ქალაქის არქიტექტურულ სტილთან.

ეს შენობა განსაზღვრულია არა მარტო რეზიდენციისათვის, არამედ კულტურულ-საგანმანათლებელი ცენტრისთვისაც. ძველ საეპისკოპოსო სახლში განთავსდება მამათა მონასტერი, სადაც საცხოვრებლად დარჩებიან ინვალიდი ბავშვებიც, რომლებიც აქ უკვე რამდენიმე წელია ცხოვრობენ.

მღვდლად კურთხევა

6 ნოემბერს თბილისის ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II მღვდლად აკურთხა ბერდიაკონი აარონი (კაპანიძე). იგი კოჯრის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის

გაგრძელება მე-11 გვ.

ფოტოალბომი

დეკანოზი თომა ანდრიას ძე გაჩეჩილაძე და ურბნელ-მარგველი მიტროპოლიტი დავითი (დევდარიანი - შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი)

დეკანოზი თომა დაიბადა 1866 წელს სოფელ გუნდაეთში. სახულიერო განათლება მიიღო გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე) მეთვალყურეობით, მთავარდიაკონ ტარახი ტყეშელაშვილთან. 1886 წელს განაწესეს მედავითნედ მშობლიურ სოფელში. 1926 წლის ზაფხულში მარგველი ეპისკოპოსის ვარლაამის (მახარაძე) მიერ ხელდასხმულ იქნა მთავარდიაკვნად, შემდეგ კი მღვდლად და დაინიშნა თავისსავე სოფელში წმ. გიორგის ეკლესიაში. 1930-1945 წლებში, ბოლშევიკების ტერორის გამო ვეღარ გააგრძელა ღვთისმსახურება ეკლესიაში, მაგრამ ანაფორა არ გაუხდია და სოფელში ჩუმად ასრულებდა წესებს მორწმუნეთათვის.

1953 წლის 5 ნოემბერს ქუთათელ-გაენათელმა ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ჩაჩანიძე) დანიშნა მღვდლად ჭიათურის რ-ნის მღვიმევის მაცხოვრის სახელობის სამრევლო ეკლესიაში (ყოფილ დედათა მონასტერში), იღუმენია ელენეს (კიკნაძე) თხოვნის საფუძველზე. მამა თომა იმავე ეკლესიის ეზოში დასახლდა. 1950-იანი წლების ბოლოს ქუთათელ-გაენათელმა ეპისკოპოსმა ნაუმმა (შავიანიძე) ეკლესიაში ხანგრძლივი და ერთგული სამსახურისათვის დაჯილდოვა ოქროს ჯვრითა და დეკანოზის ხარისხით. 1966 წელს მამა თომას თბილისში შვილებმა და შვილიშვილებმა გადაუხადეს 100 წლის იუბილე.

დეკანოზ თომას და მის მეუღლეს ეკატერინე გამყრელიძეს ჰყავდათ ექვსი შვილი: მარიამი, ქსენია, თამარი, ოლღა, გიორგი და ანდრია.

დეკანოზი თომა გაჩეჩილაძე გარდაიცვალა 1967 წლის 2 თებერვალს. დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე. წესი ანდერძისა უწმიდესისა და უნეტარესის ეფრემ II ლოცვა-კურთხევით შეასრულა დეკანოზმა ალექსანდრე ერაძემ.

ფოტო გადაღებულია 1960-იანი წლების დასაწყისში.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სახულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე

გამოვიდა საბავშვო გაზეთ
„ალილუია“-ს ახალი 14(51) ნომერი.

გარეკანის პირველ გვერდზე: ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. ღვთისმშობლის შესამოსლის ნაჭარგობის დეგალი

ბეჭდვა, აკინძვა გაუფრთხილებლობა ბასში დაბეჭდილი მასალების გამო „საპატრიარქოს უწყებანებ“ პას.კის
: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ბარამიძე II მიმდინარე №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელეფონი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ სხირტლაძე,
სარედაქციო კოლეგია: მიხეილ ალექსიძე (ფილოლოგიის დოქტორი), ფლავიანეს ფანიერ შარაშენიძე, ლუარსაბ ტოგონიძე, მარინე ბაბუა, ნათია ოთარაშვილი, ბიბლია ტალიაშვილი, ნანა პოლიანა, ეთერი ასათიანი, ნინო ბაბიტაშვილი,
დამკაბადონებელი: ანანიკო მისეშიანი, **ოპერატორი:** ზურა ჯოგანიძე.

დასაწყისი მე-5 გვ.

ბერად აღკვეცა

4 ნოემბერს ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში არქიმანდრიტმა ილიამ (ნასიძე) ბერად აღკვეცა მორჩილი ბესარიონ ალფენიძე და წმიდა გრიგოლ ხანძთელის პატივსაცემად სახელად გრიგოლი უწოდა.

კურთხევა

მღვდელმონაზონი არჩილი (კიკვაძე)

13 ნოემბერს ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდელმონაზნად აკურთხა ნადიკვრის წმიდა არჩილ მეფის სახელობის მონასტრის ბერდიაკონი არჩილი (კიკვაძე).

იმავე დღეს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დიაკვნად აკურთხა მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანეს სახელობის უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტი თამაზ ლომიძე, რომელიც ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

დიაკონი თამაზ ლომიძე

ორიათასწლოვანი იუბილე

2004-2005 წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში იუნესკოს ეგიდით აღინიშნება საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ორიათასწლოვანი იუბილე. ქრისტიანობა I საუკუნეში მოციქულებმა იქადაგეს მრავალ ქვეყანაში. XX საუკუნის განმავლობაში ქრისტიანობის შენარჩუნება ერის უდიდეს საგანძურსა და ღირსებას წარმოადგენს. იგი სცილდება ერთი ერის ისტორიის ფარგლებს და მსოფლიო ქრისტიანული კულტურის კუთვნილება ხდება. ეს არის მიზეზი იმისა, რომ ეს იუბილე აღინიშნება იუნესკოს ეგიდით. იუბილეს აღნიშნა დაიწყო გასული წლის 23 ნოემბერს, გიორგობას, წმ. სამების საკათედრო ტაძრის კურთხევით. ერთი კვირის განმავლობაში ამ თარიღს მიეძღვნა საღამოები, გამოფენები. ჩატარდა სამეცნიერო სიმპოზიუმი - ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში.

2005 წლის პირველივე თვეებში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის ინიციატივით დაიწყო მზადება სიმპოზიუმის ჩასატარებლად. სიმპოზიუმი „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი“ მიზნად ისახავს მეცნიერულად შეისწავლოს თუ რა ადგილი უჭირავს სარწმუნოებას საზოგადოების ცხოვრებაში.

მოელოდება რელიგიური ექსტრემიზმი, ასევე არანაკლებ საფრთხეს წარმოადგენს რწმენის განდევნა საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, ანუ რადიკალური სეკულარიზმი. ორივე უკიდურესობა საზიანოა ჯანსაღი სოციალური გარემოს ჩამოყალიბებისათვის.

მეცნიერია, კულტურის მოღვაწეთა, პოლიტიკოსთა და სასულიერო პირთა ერთობლივი დიალოგი ხელს შეუწყობს საზოგადოებაში სწორი ქრისტიანული ურთიერთობების განსაზღვრას და ჩამოყალიბებას.

ამ სიმპოზიუმის მიზნადებაში მონაწილეობდა საქართველოს ყველა სამეცნიერო და უმაღლესი განათლების დაწესებულება. I ეტაპზე ჩატარდა ადგილობრივი კონფერენციები ცალკეულ სამეცნიერო ცენტრებში, საიდანაც საუკეთესო მოხსენებები შერჩა სიმპოზიუმისათვის, რომელიც ჩატარდება მიმდინარე წლის 24-26 ნოემბერს. სიმპოზიუმი გაიხსნება 24 ნოემბერს 11 საათზე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სიმპოზიუმზე იმუშავებს 7 სექცია და მრგვალი მაგიდა. I-V სექცია იმუშავებს მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრში, VI და VII სექცია და მრგვალი მაგიდა კი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. საიუბილეო პერიოდში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა 2005 წლის 8 თებერვალს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ფონდის „მეცნიერების, კულტურისა და სულიერების აღორძინება და განვითარება“ - დაფუძნება. 24 ნოემბერს რუსთაველის გამზირი № 21 იკურთხება ამ ფონდის სამუშაო ადგილი.

საიუბილეო პროგრამაში ასევე განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლოცვით მსვლელობას საქართველოს განმანათლებელთა ნაკვალევზე. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება დაკავშირებულია წმ. მოციქულ ანდრია პირველწოდებულთან და წმ. ნინოსთან. ქართველმა ახალგაზრდებმა წმ. ანდრიას და წმ. ნინოს ხატებით შემოიარეს სრულიად საქართველო. ეს მოგზაურობა ეკლესიისგანგარის გაგრძელდა. მოგზაურობა დამთავრდება თბილისში. 20-27 ნოემბერს ჩატარდება ლოცვითი მსვლელობა თბილისის

დასასრული მე-7 გვ.

ფოტომატიანე

მღვდელი გაბრიელ ბოჭორიშვილი ოჯახთან ერთად

მეუღლე სესილია ფოცხვერაშვილი, შვილები: გოგი, ნინო და ქეთევანი.

მამა გაბრიელი ასწავლიდა ვლადიკავკაზის სასულიერო სემინარიაში.

ოსეთში ქართველების შევიწროების გამო იძულებული გახდა 1919 წელს დაბრუნებულიყო საქართველოში. მამა გაბრიელმა ლაგოდეხის რაიონში დააარსა სოფელი გიორგეთი, სადაც თვითონვე მსახურობდა. იგი აწ გარდაცვლილი აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის მამა იყო.

ფოტო გადაღებულია 1910-იანი წლების ბოლოს. მისი მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით მამა გაბრიელის შვილიშვილს ბატონ ზურაბ ოდილავაძეს.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგბონიძე

წინა ნომერში გამოქვეყნებული ფოტომატიანეს ტექსტი ეკუთვნოდა ბატონ გოჩა არონიშიძეს

გამოვიდა საბავშვო გაზეთ
„ალილუია“-ს
ახალი 16(53) ნომერი.

გარეკანის პირველ გვერდის ფოტოს მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით ბატონ სოსო ტყებუჩავას

ბეჭდვით, ბანების გაუფრთხილებლად ან სხვა დანებული ფასალების გამო „საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: თბილისი II მოდელი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესსამსახური ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მიხეილ ბალანჩივაძე (პასუხისმგებელი), ფეოდორა ფალიდი შარაშენიძე, ლეონარდა ტურნავა, ნანა ბერეჭანა, ნინო ბაბუ, ნათია ცოფურაშვილი, ხათუნა რაქვიაშვილი, ეკატერინა ასათიანი, ნინო ბალიაშვილი,
დამკაბადონებელი: კახაბერ ბასილაძე, **ფოტოკორი:** ზაზა კუბანეიშვილი.

დასაწყისი მე-6 გვ.

ლებმაც ჩვენს ულიმდანი ცხოვრებაში ნათელი შემოიტანეთ".

პრეზიდენტის კანონიერებისა, ქალბატონმა დარეჯან მამეურიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა: „ამჯერად „ლაზარეს" მიზანი იყო ერთდღიანი ზეიმი გაგვემართა ამ ბავშვებისთვის, ამას ხომ ისინი მთლიანად მოწყვეტილები არიან. ჩვენ არაერთხელ ვყოფილვართ მათთან და ვიცით, რა მძიმე და დუხჭირ პირობებში უწევთ ცხოვრება, ეს ხომ ის ბავშვები არიან, რომლებიც ბედის უკუღმართობით თუ გარეული პირობების გამო გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ, ჩვენი მთავარი მიზანია, ამ ბავშვებს დავანახოთ სითბო და სიყვარული, რადგანაც მიგვაჩნია, რომ სითბოს და სიყვარულს გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია მათ სახოგადოებაში დასაბრუნებლად, ვიდრე სხვა მკაცრ ზომებს თუ სასჯელს. არასდროს დავინტერესებულვართ, რისთვის და რატომ მოხვდნენ ისინი ამ დაწესებულებაში, მთავარი ისაა, რომ ეს ის ბავშვები არიან, რომლებსაც მართლაც ყურადღება სჭირდება. ამ უსაზღვრო სიხარულის მინიჭებით, მცირედი სიკეთითა და თანადგომით კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ისინიც ჩვეულებრივი ბავშვები არიან და თუნდაც ერთი პატარა დღესასწაული მათში კვლავ გაღვივებს ხალას და ბედნიერ მზერას".

ტაძარი კვლავ ეკლესიას დაუბრუნდა

18 ნოემბერს ფოთში საქართველოს პრეზიდენტმა, ბატონმა მიხეილ საკაშვილმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II საზეიმო ვითარებაში გადასცა ფოთის საკათედრო ტაძრის გასაღები. აღსანიშნავია, რომ კომუნისტური რეჟიმის დროიდან უკანასკნელ პერიოდამდე ტაძარში თეატრი იყო განთავსებული. საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ტაძარი კვლავ ეკლესიას დაუბრუნდა. თეატრისთვის კი საბოლოოდ ახალი შენობა აიგება.

დაჯილდოება

23 ნოემბერს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის ჟიურიმ ახალი ლაურიატები გამოავლინა, მათ შორის არიან ქველმოქმედები და ჟურნალისტები. ლაურიატები დაჯილდოვდნენ ოქროს ფრთით. დაჯილდოებულებს შორის არიან: ზურაბ წერეთელი, პატა ბურჭულაძე, ბიძინა ივანიშვილი, რუსუდან კერვალიშვილი, ბილ ტომსი, ნუგზარ რუხაძე, რუსლან რუსია, ტატო ლასხიშვილი, დავით გოგიჩაიშვილი, დავით მაღრაძე, ნათელა კობიაშვილი. ოქროს ფრთით დაჯილდოვდა ასევე

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე, გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" რედაქტორი, ბატონი ზურაბ ცხოვრებაძე.

აღსანიშნავია, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის შემდეგ ეს ჯილდო პირველად გადაეცა საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელს.

კურთხევა

20 ნოემბერს წმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II დიაკვნად ხელი დაასხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულს გიორგი დარჯანიას.

23 ნოემბერს წმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II მღვდლად ხელი დაასხეს დიაკონ თამაზ ლომაძეს, რომელიც სამომავლოდ დასავლეთ ევროპის ეპარქიაში, კერძოდ გერმანიაში, იმსახურებს.

სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვარის მამასთან" არსებულ სამედიცინო სამსახურში ჩატარდება უფასო კონსულტაციები:

რეგისტრატორი (სახსრების დაავადებები) - 24 ნოემბერს, 15.00-17.00 სთ.;

თერაპევტი - 25 ნოემბერი, 12.00-14.00 სთ.;

ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი - 25 ნოემბერი, 16.00-18.00 სთ.;

ოფთალმოლოგი - 26 ნოემბერი, 12.00-14.00 სთ.;

ნევროპათოლოგი - 27 ნოემბერი, 12.00-14.00 სთ.;

ანგიოლოგი (სისხლძარღვების დაავადებები) - 3 დეკემბერი, 15.00-17.00 სთ.

ინფორმაციისათვის დარეკეთ:
98 90 12; 8 99 57 65 31

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სიონის საკათედრო ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი **ნიკოლოზ მინდიაშვილი.** გამოსვენება, ხუთშაბათს, 24 ნოემბერს, 14.00 სთ-ზე საბურთალოს ამაღლების სახელობის ტაძრიდან.

საპატრიარქო სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

გთხოვთ, მოიხსენიოთ ახლადშესვენებულის, დეკანოზ ნიკოლოზის სული.

ფოტოალბომი

არქიმანდრიტი პართენი (აფციაური) 1904-1984 და დეკანოზი ლევან ტლაშაძე 1890-1969

გადაღებულია 1950-იანი წლების ბოლოს.
ფოტო მოგვაწოდა დეკანოზ ლევან ტლაშაძის ქალიშვილმა, ქალბატონმა ქეთევან ტლაშაძემ.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესიის მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგბონიძე

გამოვიდა საბავშვო გაზეთ
„ალილუია“-ს
ახალი 16(53) ნომერი.

გარეკანის პირველ გვერდზე: 20 ნოემბერი. ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ნეშტს ყოვლადწმიდა სამების ტაძრისკენ მიასვენებენ.

გარეკანის I და II გვერდების ფოტოები ეკუთვნით რამაზ ნაცვლიშვილს, ზაალ სამხარაძეს და მარიამ გაგუას.

ბეჭდვით, გაზეთს გაუგრძელდეთ მასში დაბეჭდილ მასალების გამო „საპატრიარქოს უწყებანის“ ფურცლებზე: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II ფერდანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესსამსახური ტელეფონი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცინცაძე,
სარედაქციო კოლეგია: მიხეილ ალიბეგაშვილი, ზვიადი (ბეროლაშვილი), ზვიადური ჩანთ შარაშენიძე, ლუარსაბ ტოგონიძე, ნანა ბერეშვა, ფარეან ბანეა, ნათია ცარაშვილი, ხათუნა რამბალაშვილი, ეთერ ანანიანი, ნინო ბაბილაშვილი,
დამაკავშირებელი: ანანიერ ბაბალაძე, **ტექნიკური:** ზურაბ ბერაძე.

დასაწყისი მე-7 გვ.

(შიოლაშვილი), დეკანოზ მირიან სამხარაძისა და აჭარაში მოღვაწე სხვა სასულიერო პირთა ღვაწლი.

ხულოში ქრისტიანობის აღორძინებას, კონკრეტულად ხულოს გიმნაზიას დღეს განსაკუთრებული თანადგომა და მხარდაჭერა სჭირდება, ვინაიდან თურქული მხარის მონდომებითა და დაფინანსებით რაიონში ფუნქციონირებს მუსულმანური სკოლა (მედრესე), რომლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ფინანსური შესაძლებლობები გაცილებით აღემატება ქრისტიანული სასწავლებლისას.

კურთხევა

27 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში დიაკნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის მეორე კურსის სტუდენტი ბერი ლუკა (ფალავანდიშვილი). ბერდიაკონი ლუკა მცხეთის წმიდა გიორგის სახელობის მონასტერში მსახურობს.

ტაძრების კურთხევა

23 ნოემბერს მარგვეთის მიაგარეპისკოპოსმა ვახტანგმა (ახვლედიანი) სოფელ სადვინის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის განახლებული კანკელი აკურთხა, რომელიც ხატმწერმა დავით მორგოშიამ მოხატა.

24 ნოემბერს მიაგარეპისკოპოსმა ვახტანგმა სოფელ კლდეეთში ახლადაგებული წმიდა ჯვრის სახელობის ტაძარი აკურთხა. აღსანიშნავია, რომ ტაძარი მთლიანად სოფლის მოსახლეობის ძალისხმევითა და თანადგომით აიგო.

27 ნოემბერს კი სოფელ საქარის წმიდა გიორგის ახლადაღდგენილი ტაძარი იკურთხა, რომელიც ასევე აქაური მოსახლეობის ზრუნვით განახლდა.

შეხვედრა სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში

28 ნოემბერს თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში შედგა უკვე ტრადიციად ქცეული შეხვედრა სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. ამჯერად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მოწვევით სასულიერო აკადემია-სემინარიის სტუმარი გახლდათ პროფესორი რისმაგ გორდეზიანი. ბატონმა რისმაგმა წაიკითხა საინტერესო მოხსენება ბერძნულ-ქართული ურთიერთობის შესახებ. დასასრულს მომხსენებელმა პასუხი გასცა სტუდენტების შეკითხვებზე. კათოლიკოს-პატრიარქმა სტუმარს გადასცა სამახსოვრო საჩუქარი – წიგნი „ნათელი ქრისტესი – საქართველო“.

დაჯილდოება

27 ნოემბერს ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სამახსოვრო სიგელები გადასცა წმიდა ნინოს და წმიდა ანდრიას გზის მონაწილეებს.

გთავაზობთ წმიდა ნინოსა და წმიდა ანდრია პირველწოდებულის გზის მონაწილეთა სიას:

1. ირაკლი ბერიშვილი
2. ლაშა მამაგეიშვილი
3. დავით დანდურიშვილი
4. ლევან ოდიშარია
5. ლევან ლომიძე
6. ირაკლი ჩანჩიბაძე
7. პეტრე წინწკალაძე
8. საბა თვარაძე
9. დავით ხაჟომია
10. ალექსანდრე ჭასრაშვილი
11. თორნიკე წინწკალაძე
12. ლაშა გორდელაძე
13. დავით ჯანელიძე
14. ირმა ჩინაშვილი
15. ნანა ჯანაშია
16. ეკატერინე ხორგუანი
17. თეკლა ხარიტონაშვილი
18. ანა ცვეტლაძე
19. ელენე არდვლიანი
20. ნინო ახობაძე
21. ნინო ფანუაშვილი
22. ანა ფანუაშვილი
23. თამარ მეტრეველი
24. ხატია მწითურიძე
25. მარიამ ლლონტი
26. ნინო სოზაშვილი
27. ნატალია გუნცაძე
28. თამარ ცისკარიშვილი
29. ანა ჩუბინიძე
30. მარიამ ჯანელიძე
31. მარიამ ხმალაძე
32. მედეა გუნია
33. ნინო გვალია
34. სოფო გულიაშვილი
35. ირმა ხოსიტაშვილი
36. თამარ ჭანტურია
37. თამარ ნოზაძე

უწმიდესმა შემდეგი სიტყვებით მიმართა მომლოცველებს:

„დღეს არის განსაკუთრებული დღე. რადგანაც საპატრიარქო სიგელით ვაჯილდოვებთ ჩვენს მორწმუნეებს, იმ ადამიანებს, რომელთაც განვლეს გზა წმიდა ანდრია პირველწოდებულისა და წმიდა ნინოსი.

უპირველეს ყოვლისა, მინდა ვთქვა, რომ ეს არის განსაკუთრებული ღვაწლი, ღვაწლი, რომელიც არის სათნო წინაშე ღვთისა; ეს არ არის მარტო იმ გზის გავლა, ეს არის ლოცვა საქართველოს სულიერი

გაგრძელება მე-9 გვ.

დასაწყისი მე-20 გვ.

ეს ჩამონათვალი, რიგორც შესულ ითქვა, საერთოა ყველა სექტისთვის. ზემოთ ჩამოთვლილი მუხლების გარდა: იეღოველები, ორმოცდაათიანელები და სხვის არმიას მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრების საწინააღმდეგოდ დამატებით სხვა განსაკუთრებული სარწმუნოებრივი სწავლებებიც აქვთ. კერძოდ, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად იეღოველთა სექტა უარყოფს და არ აღიარებს:

1) ეკლესიის სწავლებას ღმერთებაზე და მის წმინდა სახელს.

2) ქრისტეს ჭეშმარიტ ღმერთკაცად.

3) სული წმიდის პიროვნულობასა და ღმერთობას.

4) ადამიანურ სულს, რიგორც ცალკე არსებას და ადამიანის გარდაცვალების შემდეგ მისი სულის მყოფობას.

5) სულიერი ჯოჯოხეთისა და სულიერი სამოთხის არსებობას.

6) საყოველთაო აღდგომას (მათი გაგებით ყველა არ აღდგება) და უღმერთოთა მარადიულ სასჯელს.

7) წმ. ჯვარს (არ აღიარებენ მის ჯვრისებრ ფორმას).

8) ამბრინჯებს სწავლებას მართალთა მარადიულ ნეტარებაზე. დამატებით ისინი აღიარებენ ზეციურ სასუფეველში ბავშვთა შობას, შეხებას, ჭამა-სმას... 144000-თა ცაში ყოფნას და დანარჩენთა მიწაზე ყოფნას;

9) უარყოფენ სამხედრო სამსახურს.

10) არ აღნიშნავენ დაბადების დღეებს.

11) გმობენ სისხლის გადასხმას.

12) უარყოფენ დეკემბრის თვეში ქრისტეშობას.

13) მართლმადიდებლურ სწავლებას ანტიქრისტეს შესახებ.

მართლმადიდებლური სწავლა-მოძღვრებისადმი დაპირისპირების საკუთრივ ორმოცდაათიანელების დამახასიათებელი საკითხია, მათი სწავლება სულიწმიდის ნიჭების შესახებ, კერძოდ, ენების მეტყველების ნიჭზე, რიგორც ერთადერთ ჭეშმარიტ ნიშანზე სულიწმიდით ნათლობისა.

ხოლო საკუთრივ ხსნის არმიისათვის დამახასიათებელი სწავლა-მოძღვრება შეიცავს მათ სწავლებას ღვთისმსახურთა სამხედრო ფორმის შესახებ.

კრება ჩიჩილიძე

თბილისის სასულიერო აკადემიისა

და სემინარიის პედაგოგი

„ადამღვდლიანთ“ მირიანაშვილების საგვარეულო

„ოჯახურ სადილზე“ სუფრასთან 30 მღვდელი იურიდა თავს“

ქახეთის ნაყოფიერ მიწაზე, კავკასიონის მიწის ძირში ფართოდ გაშლილა სოფელი შილდა. XVIII საუკუნის მიწურულს ამბროსი ნეკრესელს (მიქაძე) სწორედ ამ სოფელში გადმოუტანია ნეკრესის საეპისკოპოსო კათედრა და ფილოსოფოს-ღვთისმეტყველის დოსითეოზ ჩერქეზიშვილის მიერ დაარსებული ნეკრესის სკოლა. „ამის შემდეგ თვითონაც იქ სცხოვრობდა და მოღვაწეობდა თავისის მეფრმეტყველურის ხიტკით, და ამას უფრო, რასაკვირველია, მეტი გავლენა და ზედ-მოქმედება ექნებოდა შილდის ხალხის გამოფხიზლებაზე, მისს გონებრივსა და ზნეობრივს წარმატებაზე“ (ესტატე შილდელი).

უნდა ვივარაუდოთ, იმ პერიოდში შილდაში ბევრი ადამიანი მიიღებდა საფუძვლიან განათლებას, ერთ-ერთი – ადამ მირიანაშვილი (1754-1830), „რიმლისთვისაც ამბროსი ნეკრესელს ჯილდოდ 15 დღის მიწა მიუცია ხამოლოდ და ხამკვიდრად, მოგვლად ყოფილა შილდის ღვთისმშობლის შობის ეკლესიაში თვით ნეკრესელის დროსვე. ამ უკანასკნელთან ადამი ძალიან დაახლოებული პირი ყოფილა. ამბროსი მას თურმე „ძაღარა მკვნიერს“ ეძახდა. მართლაც, რიგორც გამოგია, ადამი ძალიან გონიერი და „ბუნების მოვლინებათა მცოდნე კაცი“ ყოფილა.

დეკანოზი თომა მირიანაშვილი

ადამ მღვდელს სწავლა-განათლება მიუღია თვით ამბროსი ნეკრესელისაგან, ამისაგან შეუსწავლია ფიზიკა, დედამიწის ღვთისმეტყველება, ფილოსოფია და სხვა საბუნებისმეტყველო საგნები. ადამის დედა ბარბარე ლარიბი დედაკაცი ყოფილა. მას ჰყოლია ორი ფური. ერთი ფურით თურმე თვითონ იკვებებოდა და მეორედან კი ხან რძეს, ხან მაწონს ამბროსის უგზავნიდა შვილის აღზრდაში, მაგრამ ამბროსი არ მიიღებდა და ეტყოდა ხოლმე: „შენ თვითონ ლარიბი ხარ, შენთვის შეინახე“. ადამი ვერ დიაკვნად ყოფილა ამბროსისთან, შემდეგ მთავარდიაკვნად და ბოლოს მღვდლად. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ადამ მირიანაშვილს, რიგორც გონებით განვითარებულს და საბუნებისმეტყველო საგნების მცოდნეს, ჰქონდა რაღაც ნაწერები, მაგრამ ვერ-ვერობით არა სჩანსრა. ადამი დასაფლავებულია შილდის ღვთისმშობლის შობის ეკლესიასთან, საკურთხეველის ძირში, გარედან, სამხრეთის მხრივ. მისი საფლავის ქვაზე შემდეგი წარწერაა:

„ბანელ ჟამსა ცხოვრებდაშ ხუკეტ-ხა და დაგეფალ ლოდსა ამას ქვეშე

გაგრძელება 22-ე გვ.

დასაწყისი 25-ე გვ.

ხოფლის შილდის ღვთის მშობლის შობის ეკლესიის მღვდელი ადამ მირიანაშვილი ბ-ს აპრილსა ჩყლ-ის წლიხასა, ოვ-ს წელსა შობიდგან დამტკიცებული მეუღლისა ერთისა ძისა მოავარ დიაკონისა და ორისა ასულისა. ჰოი, ღმერთო, ღირს მყო განსასვენებელსა შენსა საუკუნესა".

ადამის შთამომავალთ მეტსახელად ეძახიან შილდაში „ადამღვდლიანთ". (ე.შ). ამ შტოში მამაკაცების უმრავლესობა სასულიერო გზას ირჩევდა და სამღვდელო პატივს ატარებდა. „ადამღვდლიანების" ერთი ოჯახი ახლაც შემორჩენილია შილდაში, მირიანაშვილების უკანასკნელი მღვდლის - არჩილის ერთადერთი ძე - 78 წლის ელიზბარი გვარის გენეალოგიას, რომელიც ადამის მამით - შერმაზანით იწყება, დიდი მოწიწებით ინახავს. შორეულ წინაპრებზე მეტად მცირედი იცის, არც მათი წიგნები და ნაწერებია შემორჩენილი, რადგანაც „შილდის სხვადასხვა კერძო ოჯახებში და ღვთისმშობლის შობის ეკლესიაში ბევრი ქართული წიგნი ყოფილა დაცული, მაგრამ შამილის კახეთზე დაცემის დროს, 1854 წ. მთელი ეს გონებითი საუნჯე შემუსრულა და ამგვარად სამუდამოდ წყალსა და ნიავს მისცემია." (ე.შ.). ინფორმაციას მირიანაშვილების ამ შტოს პირველი წარმომადგენლების შესახებ ვხვდებით სავარაუდოდ 1880 წლის ჟურნალ „მოამბე"-ში გამოქვეყნებულ ესტატე მირიანაშვილის (ე. შილდელის) არქეოლოგიურ წერილში „შილდა", რომელიც მამა არჩილს წიგნად შეუკრავს. ნარკვევის ავტორი ესტატეც ადამ მირიანაშვილის შთამომავალი გახლდათ.

ადამის შვილი - „გაბრიელ მირიანაშვილი მღვდლად ყოფილა შილდის ღვთისმშობლის შობის ეკლესიაში და გარდაცვლილა 1836 წ. როგორცა ჩანს მისი ხელავის ქვის წარწერიდან:

„ესე ხელავი მირიანაშვილი მღვდელი გაბრიელისა მხილველნო შენდობა ბრძანეთ ჩყლვ." (ე.შ.)

გაბრიელის სამი ვაჟიდან: აზარია მღვდელი ყოფილა და ახალხოფელში მსახურობდა, იოანე - დიაკონი, თუმცა შემდეგში თავი დაუნებებია მსახურებისათვის, თომა (1825-1898) - დეკანოზი. ეს უკანასკნელი სხვადასხვა დროს მსახურობდა სოფლებში - ართანასა და გულგულაში, ქალაქ თელავში - კოჯორის ეკლესიაში და იქვე. მის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელთანაა დაკრძალული. გაბრიელის შვილიშვილებიც სასულიერო გზას შესდგომიან.

დეკანოზ თომას სალომე ჭერაშვილთან ერთად სამი ქალი და ერთი ვაჟი ჰყოლდა. უფროსი ქალიშვილის, ნატოს მეუღლე - ირეოდიონ ნანობაშვილი თბილისში სახლობდა, კეკელის რკინიგზის მღვდელი იყო და მოძრავ ეკლესია-ვაგონში მიდიოდა, მეორე ხანე, ანიკოს ქმარი - სოლომონ ანდრიაშვილი თბილისის პირველ გიმნაზიაში ასწავლიდა, ნუკას თანამეცხედრე - დეკანოზი იოანე ნარეკლიშვილი კი თელავში მსახურობდა. ლევანმა (1854-1927), რომელიც მამა თომას რიგით მესამე შვილი იყო, ოჯახის ტრადიციას არ უღალატა და სასულიერო პირი გახდა. გადმოცემით, 20 მაისს, ჯვარიპატიოსანის დღესასწაულზე თომას ოჯახში უახლოესი ნათესავები იკრებოდნენ - ორი ძმისა და საკუთარი მონაგარი, რა თქმა უნდა, სიძეებთან ერთად... და ასეთ „ოჯახურ სადილზე" სუფრასთან 30 მღვდელი იკრიბა თავს.

მღვდელი ლევან მირიანაშვილი

ლევანის ოჯახი თავდაპირველად თელავში ცხოვრობდა, მის მეუღლეს - ბარბარე ახალციხაშვილს უკეთესრეკენ თელავში ღღეანდელ ჭაბუა ამირეჯიბის ქუჩაზე კეკელიოსების დარეკვას, რის გამოც ადრე ამ ქუჩას კეკელიოსების ქუჩასაც ეძახდნენ. გარკვეული წლების განმავლობაში მამა ლევანი გომარეთში მსახურობდა, მოგვიანებით თელავში გაეცა სახლი და შილდის მამაპაპეული მამულში დაბრუნდა, მაგრამ რუსეთ-იაპონიის ომის გამო ვერც შილდაში მოასწრო მშენებარე სახლის დამთავრება. შილდის ღვთიმშობლის ეკლესია გახდა დეკანოზ ლევანის ბოლო ნავსაყუდელი, ტაძარი მისი წინამძღვრობისას დაეცა, ამის შემდეგ მალევე გარდაიცვალა კოდეც. მას ოთხი შვილი დარჩა - ილარიონი, ნადია, არჩილი და ნინო.

არჩილმაც (1892-1960) სამღვდელო პატივი აირჩია. თავდაპირველად ბაქრიანში მსახურობდა, მისი დაეცის შემდეგ კი შილდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის უკანასკნელი წინამძღვარი და ერთადერთი მღვდელი იყო. 30-იან წლებში ეს ტაძარიც დაეცა, თვითონ მამა არჩილი ხოფლის ორ დანარჩენ მღვდელთან ერთად საბჭოს წინ „გაკრიჭეს" და შემდეგში ძალიან უბრალო საქმეებით დააკავეს: ებარა ტრაქტორების აღრიცხვა, სკოლის მებაღეობა. მამა არჩილმა კაბა გაიხადა, მაგრამ სამღვდელო მოქმედება არ შეუჩერებია - ამათ (კომუნისტებმა) კი არ მომანიჭესო მღვდლობა - ამბობდა და მალულად მცველებულებს წესებს უგებდა, ბავშვებს ნათლავდა, პარაკლისებსა და პანაშვიდებს იხდიდა, შვილიშვილებიც საკუთარი ხელით აზიარა ნათლისღების საიდუმლოს. როგორც ამბობენ, ძალიან გულჩვილი, ალალ-მართალი და პატიოსანი კაცი ყოფილა. რამდენჯერმე სასწაულებრივად გადაურჩა ციმბირში გადასახლებას.

მამა არჩილის ოჯახი, როგორც „შავსიელებისა", უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა. მისი მეუღლე, ნინო სიმონის ასული ჯოჯოლაშვილი (1899-1993) სასულიერო პირის ოჯახიდან იყო, მათ სამი შვილი ჰყავდათ - ბარბარე, ლეილა და ელიზბარი. ქმრის გარდაცვალების შემდეგ ნინო ბებო ითვლიდა და თანასოფლელებს ამცნობდა - ხოლმე აღდგომის დღეს, მიცვალებულთა მოხსენიების დღეებს. ოჯახში იცოდნენ, რომ ნაფოფოდარი ბებია ფარულად ქრისტიანულ ცხოვრებას ეწეოდა: ძელის წინ ლოცულობდა, მარხვებს ინახავდა. მას საგულდაგულოდ ჰქონდა გადამალული ბაქრიანის ეკლესიის ქონება, რომელსაც უკეთესი დროის მოლოდინით სიცოცხლის ბოლო წლებამდე უფრთხილდებოდა. საბუნებრივად, როდესაც ეს დრო დადგა და ეკლესიის აღკაზმულობა შვილიშვილს თბილისში გააგანა, 1991 წლის ხამოქალაქო ომსას მიფრინის სახლთან ეკიდებულმა ხანძარმა უკვალოდ შთანთქა. ნინო

დასასრული 23-ე გვ.

დასაწყისი 26-ე გვ.

ბები ისე გარდაიცვალა, ეს ამბავი ვერ გაუძლია, დაიხლიჩა წელზე-ნახევარში. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე 93 წლისამ შეხედვა შეხვედრა ხელი უფალს.

ბიდაში, მირიანაშვილების ოჯახში ერთი ძველი ჯვარი ინახება, ხეში ნაკვეთი ჯვარცმა კეთილებში მოცოქლების გამისახულებით, ჯვარცმა ვერცლის ნაჩრილში მოთავსებული. ლაკების ერთერთი შეხსენებისას, რაც ასე ჩვეული იყო ამ ხოფლის მცხოვრებლებისთვის, **მიმდინარს ჯვრისთვის ხანჯალი დაუკრავს და ... მეცხეულად ხელი გაშშობია,** თუმცა ჯვარსაც ამოვლეფია ხის მკერდ, მაცხოვრის ტანის ნაწილი. რიგორც ჩანს, ეს ამბავი შორს გაგრძელდა, რადგანაც ერთმელ ოჯახს თუშეთიდან კაცმა ნაბიჯეთა – ის ჯვარი მანდეთ, ლაკს რომ ხელი გაუშეშაო – და ხახუაულიანქმედ ჯვარს დიდი მიკრძალებითა და რეტეტებით ეამბორა.

ბოლოდ ადამის შთამომავლებში ბევრმა ხერი ცხოვრებაში მიაღწია წარმატებებს, მისი შტოს წარმომადგენლები იყვნენ და არიან: ეროსები მაია-შვილი ესტატე და დათა მირიანაშვილები (ამ უკანასკნელმა ოთხლინს მისტოვის უმაღლესი ეროვნული ხასუალების ფილიალი გახსნა); ხაფრანგეთს ცხოვრობენ მიმბერალი ბიბლ დარიდი (ბასელ ნანობაშვილი); ლეონ ლმისიელი ფიზიკოსი, უნივერსიტეტის პროფესორი 1960-ან წლებში, აკადემიკოსი მაგ მირიანაშვილი, მისი ძმა, ასევე ფიზიკოსი, უნივერსიტეტის პროფესორი გიგა მირიანაშვილი; უნივერსიტეტის პროფესორი, მათემატიკოსი ეკატერინ ხიმინი; ყოფილი შეხვედლობის მინისტრი გურამ მირიანაშვილი, აკადემიკოსი უნივერსიტეტის პროფესორი გრიგოლ მირიანაშვილი, დოცენტები – ბაქარ მირიანაშვილი (მეცნიერების კან. ინსტიტუტი), ზითა მირიანაშვილი (უნივერსიტეტი, ნახევარგანაკვეთების განყ.).

ხაზგასმით, არაფერი ვიცით „ადამიანებლიანების" – ამ 5 თაობის წარმომადგენელი ხასულიერი პირების შინაგანი ცხოვრების შესახებ, რომლებიც ხანი საუკუნის მანძილზე უსაფრთხოდ ემსახურებოდნენ თავის ერსა და ეკლესიას.

ბლოგელ არჩილ მირიანაშვილის
შვილთაშვილი მარი აშულაშვილი

ჩვენი წარსულიდან



დიმიტრი ყიფიანი: „ერთი იმ თავით და მეორე ამ თავით - პატიმრობით დავიწყე და პატიმრობითვე ვამთავრებ!.. ნუ გშურთ. ჩემთვის ეს ღვთიური წყალობაა! უკეთესს ჯილდოს მე ვერცა-კი მოვიფიქრებდი!.. ეს ერთი საუკუნეა, რაც ქართველები ცალკეცალკეობისათვის იგზავნებიან ციმბირში და ჯერ იდეურად არავინ დასჯილა და დეგ. პირველი მერცხალი მე ვიყო!.. მართალია, პირველ მერცხალს ხანდახან ხუსხი დაეკრავს და გაზაფხულს ვერ ესწრება, მაგრამ მაინც მახარობელია და გაზაფხული მაინც მოვა".

* * *

მართლა რომ ეწინასწარმეტყველა თავის თავზე: იქ, სტავროპოლში, პატიმრობის დროს მოაკლეს!.. ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ფიქრობდა, თავზე დაანთხიეს. და იმ გულზე, რომელიც ხალხისთვის სცემდა, ცეცი ხელები დააკრეფინეს!

აკაკი წერეთელი

უცხოეთის ქრონიკა

პალესტინა

პალესტინის საინფორმაციო სააგენტო „ვაფა"-ს ცნობით, ჰებრონში ერთმანეთს შეხვდნენ იერუსალიმის ახალი პატრიარქი თეოფილე III და პალესტინის მთავრობის მეთაური მაჰმუდ აბასი.

მთავრობის მეთაურთან შეხვედრაზე იერუსალიმის პატრიარქს თან ახლდნენ იერუსალიმის ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები. თეოფილე III იერუსალიმის პატრიარქად მიმდინარე წლის 22 აგვისტოს აირჩიეს. იმისათვის, რომ გაფორმდეს იერუსალიმის საპატრიარქოს სტატუსი, ახლადარჩეული პატრიარქი ოფიციალურად უნდა იქნას აღიარებული იორდანიის სამეფოს, პალესტინისა და ისრაელის მთავრობების მიერ. იერუსალიმის საპატრიარქო თავისი იურისდიქციის აღიარებას ელოდება ისრაელისა და იორდანიის მიღმა ტერიტორიებზე, ღაზასა და იორდანიაში. იერუსალიმის საპატრიარქო ითვლის 50-მდე ტაძარს და ამდენივე მონასტერს. 80000 პალესტინელი ქრისტიანია, ამათგან ნაწილი - მართლმადიდებელი. იერუსალიმის საპატრიარქო ითვლება მრავალი წმიდა ადგილის მფარველად და ფლობს საკმაოდ მდიდარ მემკვიდრეობას იერუსალიმში, ისრაელში, იორდანიის მიღმა ტერიტორიებზე, იორდანიაში, ღაზაში, საბერძნეთსა და კვიპროსზე.

უკრაინა

კიევში მოეწყო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე - „ისიქასტური ტრადიციის თეოლოგიური და ფილოსოფიური განმარტებანი". კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს თეოლოგებმა, ფილოსოფოსებმა და ისტორიკოსებმა აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის მრავალი ქვეყნიდან. მოხსენებები ძირითადად შეეხებოდა ისიქასტური ტრადიციის კვლევის აქტუალობას, წმიდა გრიგოლ პალამას მოძღვრებას - საღვთო არსისა და საღვთო ენერგიების შესახებ, ისიქაზმის შესწავლის დღევანდელ მდგომარეობას, პრობლემებსა და პერსპექტივებს.

ფოტომატიანე

მღვდელი გაბრიელ სოფრომაძე (1843-1884) და მღვდელი ლევან მირიანაშვილი (1854-1927)

მღვდელი გაბრიელ სოფრომაძე დაიბადა 1843 წელს. დაამთავრა თბილისის სემინარია. ნაკურთხია მღვდლად 1872 წელს. მსახურობდა ჯერ სოფელ ვეჯინში, შემდეგ კი მაღრაანსა და გლდანში. 1879 წელს გადმოიყვანეს თბილისში კალოუბნის წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც მსახურობდა 1884 წლამდე. ამ წელს დაინიშნა ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვრად. იმავე წელს კახეთში გაყიდა მამული, უკან დაბრუნებულს დახვდენ ყაჩაღები გომბორზე და გაძარცვის დროს მოკლეს. 1880 წელს თბილისში დასტამბულია მის მიერ შედგენილი „საუკუნო კალენდარი."

მღვდელ ლევან მირიანაშვილის შესახებ იხილეთ გვ. 21-23.

გადაღებულია 1980-იანი წლების დასაწყისში, ცნობილი ფოტოგრაფის დიმიტრი ერმაკოვის მიერ. ფოტოს მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით მამა ლევანის შთამომავალს, ქალბატონ მარი აშუღაშვილს.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგრონიძე

გამოვიდა საბავშვო გაზეთ
„ალილუია"-ს
ახალი 17(54) ნომერი.

უსმინეთ
საპატრიარქოს
რადიო
„ევერიას"

გარეკანის პირველ გვერდზე: ბოდბელი ეპისკოპოსს ევდემოზის (დიასამიძე) დიდი დაფარნა - „ცაი". 1695 წ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

ბეჭდავს, ბაზის გაუფორმებლად გასცემ დასტამპილ გასალების ბეჭ
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: პოეტი II ფოთელი №1
საპატრიარქოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე,
საredაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოზი ზეინალიშვილი, ეპისკოპოზი ფალავანდიშვილი, ეპისკოპოზი ბაბილოძე, ეპისკოპოზი ბაბილოძე, ეპისკოპოზი ბაბილოძე, ეპისკოპოზი ბაბილოძე, ეპისკოპოზი ბაბილოძე, ეპისკოპოზი ბაბილოძე,
დამკაბადონებელი: ალექსანდრ ბაბილოძე, ტექნიკური: ზურაბ ბაბილოძე.

ქრონიკა, ინფორმაცია

ტაძრების კურთხევა

22 ნოემბერს შემოქმედელმა მთავარეპისკოპოსმა იოსებმა (კიკვიძე) ოზურგეთის რაიონის სოფელ შრომაში მთავარანგელოზთა – მიქაელისა და გაბრიელის სახელობის ტაძრის საძირკველი აკურთხა. ტაძარი ადგილობრივი მოსახლეობის ძალისხმევით აიგება.

* * *

27 ნოემბერს ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსმა გერასიმემ

(შარაშენიძე) თბილისის სახელმწიფო სამეურნეო უნივერსიტეტის ეზოში აკურთხა წმიდა ილია მართლის სახელობის ტაძარი.

* * *

1 დეკემბერს კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადის კუთვნილ ტერიტორიაზე ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის

ქორეპისკოპოსმა თევდორემ წმიდა თამარ მეფის სახელობის ტაძარი აკურთხა. უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ახალდაკურთხებულ ეკლესიაში პარაკლისი გადაიხადა.

ხელდასხმა

4 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში დიაკვნად აკურთხა იოანე წკეპლაძე და მღვდლად ხელი დაასხა თბილისის ფერისცვალების მამათა მონასტრის ბერდიაკონ ისეს.

დაჯილდოება

4 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში ნაძალადევის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მამა სიმონ მძინარაშვილი აიყვანა დეკანოზის ხარისხში და დააჯილდოვა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით.

აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე სიონის ტაძრიდან გაასვენეს

1 დეკემბერს, ხუთშაბათს, სიონის საპატრიარქო ტაძარში მიასვენეს ცნობილი არქეოლოგი, აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II პანაშვიდი გადაიხადა.

კონფერენცია სკოლაში

გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით დიდი დიღმის მართლმადიდებლურ სკოლა „ფესვებში" (დირექტორი მანანა გვირჯიშვილი) 1 დეკემბერს გაიმართა კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ: საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის ხელმძღვანელი, სასულიერო აკადემიის პრორექტორი პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი და თბილისის წმიდა ილია მართლის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მღვდელი ლუკა სუპატაშვილი, საპატრიარქოს რადიოსა და პრესცენტრის წარმომადგენლები, კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე და პედაგოგები. კონფერენციის დაწყებამდე მამა გიორგიმ და მამა ლუკამ ჩაატარეს წმიდა გიორგის პარაკლისი, გაიმართა სასკოლო ხატწერის წრის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, მოძღვრებმა დათვალიერეს სასკოლო კაბინეტები და გაეცნენ სკოლაში მიმდინარე სწავლების პროცესს.

კონფერენციაზე მოსწავლეებმა საპატიო სტუმრების წინაშე შემდეგი თემები წარადგინეს:

წმიდა გიორგი, წმიდა ნინო და ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო – ნათია როსტიაშვილი IX კლასი;

რომი IV საუკუნეში, ბრძოლა ქრისტიანობის წინააღმდეგ – ლაშა კახიშვილი X კლასი;

წმიდა გიორგის ცხოვრება – გურამ ქვრივიშვილი X კლასი;

ჯვარი ვაზისა – თამარ გოგოხია. X კლასი;

საგალობლები – ნათია გიგინეიშვილი X კლასი

ჰიმნოგრაფია – ეკა ნხაიძე, X კლასი;

რიცხვთა სიმბოლიკა – ანა თექთურმანიძე, IX კლასი;

ხატწერის ისტორია, როგორ იწერება ხატები, წმიდა გიორგის ხატები - მარიამ ლებანიძე, X კლასი;

წმიდა გიორგის სასწაულები – ბესარიონ ჯაფარიძე, ალიმე ბინძლაძე, თამარ გოგოხია, თათია ფირცხალავა; X კლასი;

წმიდა გიორგის ალოცავები - ლიმისის წმიდა გიორგი – თინიკე ჯარიაშვილი, VIII კლასი;

დასასრული 30-ე გვ.

ფოტოალბომი

დეკანოზი სიმონ კურტანიძე

დაიბადა 1840-იან წლებში, ხარაგაულის რაიონის სოფელ ღორეშაში. სასულიერო განათლება მიიღო სიმონეთის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვართან, დეკანოზ სიმონ ჭუმბურიძესთან. ხელდასხმულია იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის (ქიქოძე) მიერ ღორეშის წმ. გიორგის ეკლესიაში 1870-იანი წლების ბოლოს. 1885 წელს ეპისკოპოსმა გაბრიელმა დაავალდოვა საგვერდულით. 1891 წლის 6 მაისს მანვე უბოძა სკუფია. მამა სიმონი იყო შორაპნის მაზრაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. მან დიდი წვლილი შეიტანა მთელ ამ მხარეში ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელების საქმეში. გაწეული სამსახურისათვის სინოდმა 1901 წლის 6 მაისს დაავალდოვა კამილავკით, ხოლო 1908 წლის 6 მაისს მიიღო სამკერდე ჯვარი. 1910-იან წლების დასაწყისში კი მიენიჭა დეკანოზის წოდება. გარდაიცვალა 1910-იანი წლების ბოლოს. დაკრძალულია ნოტყიერის წმ. გიორგის ეკლესიაში.

ფოტოს მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით მამა სიმონის ძმის შვილიშვილს გივი კურტანიძეს.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლშარსაბ ტოლორაია

გამოვიდა საბავშვო გაზეთ „ალილუია“-ს ახალი 17(54) ნომერი.

უსმინეთ საპატრიარქოს რადიო „იუერიას“

გარეჯანის პირველ გვერდზე: წმიდა ეკატერინეს ერთ-ერთი უძველესი ხატი. უბისის მონასტრის სამკარედი ხატის დეტალი. XIV საუკუნე.

მისრული, გაზეთის გაუფრთხილებლობა გამო დაგვიანებული მასალების გამო „საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ქრწყლი II ხიდი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურა ცხოვრებაძე,
საredაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი ზენონი (ბალანჩივაძე), ფრანგიზი ფანიე ფარაუნანი, ლუარსა ტორეზანი, ნინა ბოლქვაძე, ფარესი ბაბუა, ნათია თარგამიანი, ხათუნა რამიშვილი, ისაკო ასათიანი, ნინო ბაბოლაშვილი,
დამაკავშირებელი: ანანია ფიფიანი, **ფოტოკორეს:** ზურა ქორაბიძე.

დასაწყისი №2-5 გვ.

გაერთიანებულ არაბთა საემირეებმა რელიგიური უმცირესობების დაცვის საქმეში მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მიაღწიეს. ეს კი ქვეყნებმა „სამართლებრივი და სოციალური ბარიერების მოდიფიკაციის საშუალებით განახორციელეს", - წერია მოხსენებაში.

საქართველოსგან განსხვავებით აშშ-ის კრიტიკა ბირმამ, ჩინეთმა, ირანმა, ჩრდილოეთ კორეამ, საუდის არაბეთმა, სუდანმა და ვიეტნამმა დაიმსახურა. საერთაშორისო მოხსენებაში ეს ქვეყნები ცალკე „განსაკუთრებული ზრუნვის ქვეყნების" სიაში მოიხსენიება, სადაც, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, სასტიკი რელიგიური ძალადობები დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებმა აშშ-ის უარყოფითი შეფასება გასულ წელსაც დაიმსახურეს.

„თავისუფალი გაზეთი" №47

ხელდასხმა

11 დეკემბერს ყოვლადუსამღვდელოესმა, სამთავისისა და გორის ეპისკოპოსმა ანდრიამ (გვაზავა) გორის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი დიაკვან ილია ხიმერიკს.

მღვდელი ილია კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში იმსახურებს.

* * *

12 დეკემბერს სამების საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად ხელი დაასხა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესიის (სამედიცინო უნივერსიტეტთან) დიაკონ ლევან მათუაშვილს.

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქო იუწყება, რომ ქაშუეთის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის მღვდელმსახურს, იღუმენ ლაზარეს (გაგნიძე) გარდაეცვალა დედა - მარიამი და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს. ღმერთმა დაანეროს მოწყალე ღვთისა მარიამის სული, სადაც მართალნი განისვენებენ. მკითხველს ვთხოვთ, ლოცვაში მოიხსენიოს ახლადშესვენებული მარიამის სული.

* * *

საქართველოს საპატრიარქო მწუხარებით იუწყება, რომ საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილების თანამშრომელს ნელი ჯიქურს გარდაეცვალა ძმა გაბრიელ კორკოტაშვილი და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს. ღმერთმა დაანეროს მოწყალე ღვთისა გაბრიელის სული, სადაც მართალნი განისვენებენ. მკითხველს ვთხოვთ, ლოცვაში მოიხსენიოს ახლადშესვენებული გაბრიელის სული.

უფასო სამედიცინო კონსულტაციები

„ჯვარის მამასთან" არსებულ სამედიცინო სამსახურში ჩატარდება უფასო კონსულტაციები:

რევმატოლოგი (სახსრების დაავადებები) - 15 და 22 დეკემბერი 14.00-16.სთ.;

ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი - 15 და 22 დეკემბერი 16.00-18.სთ.;

ოფთალმოლოგი - 17 დეკემბერი 12.00-14.სთ.;

ანგიოლოგი (სისხლძარღვების დაავადებები) - 17 დეკემბერი 15.00-17.სთ.;

ენდოკრინოლოგი - 18 დეკემბერი 12.00-14.სთ.;

ოურაპევტი - 19 დეკემბერი 12.00-14.სთ.;

ალერგოლოგი - 23 დეკემბერი 16.00-17.სთ.;

ტრავმატოლოგ-ორთოპედი, მტევნის (ხელის) და ტერფის ტრავმატოლოგ-ორთოპედი - 24 დეკემბერი 12.00-14.სთ.

ინფორმაციისათვის დარეკეთ:
98 90 12; 8 99 57 65 31

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული მომლოცველთა სამსახური გიწვევთ, მოილოცოთ წმიდა ადგილები:

ფილკანი-მუხრანი-ძალისი (ლირსი მამა ისე ფილკელის ხსენების დღე) 15 დეკემბერი; ოთხშაბათი; გასვლა 8:00 სთ; ფასი 9 ლ.

მომლოცველებს მოემსახურება გიდი.

ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე: „ოქრის საწმისი", ხიონის ქ. 13;

ქაშუეთის წმიდა გიორგის ტაძართან არსებული მაღაზია, რუსთაველის 9;

დიდუბის ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მაღაზია, წერეთლის 44;

ვაკის სამების ტაძართან არსებული მაღაზია, ჭოტაძის 37.

მომლოცველთა სამსახური გიწვევთ, მოილოცოთ:

იერუსალიმის ფიდა მიწა ნათლისღების დღესასწაულისათვის. საბუთების მიღება იწყება 19 დეკემბრამდე.

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ: 92 39 78; 92 39 79 (11-დან 17 სთ-მდე); (899) 26 68 27; (877) 79 95 99

ავტობუსები გადის რესპუბლიკის მოედნიდან (სასტუმრო ოქრეთის წინ).

ფოტოალბომი

მღვდელი ერმილე ჩიმაკაძე

დაიბადა 1870 წელს, სოფელ მათხოჯში მღვდლის ოჯახში. დაამთავრა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. სწავლის დამთავრების შემდეგ ოჩამჩირეში პედაგოგად გაანაწილეს. ცოტა ხნის შემდეგ სწავლა საბერძნეთში, სასულიერო სემინარიაში გააგრძელა. სამშობლოში დაბრუნებისას ცოლად შეირთო თავადის ასული ანასტასია ლაკერბაია, რომელთანაც ცხრა შვილი შეეძინა. 1900-იანი წლების დასაწყისში ხელადასხმულ იქნა მღვდლად და მსახურობდა აფხაზეთში, სოხუმის ეპარქიაში. 1918 წელს დაბრუნდა სამეგრელოში და იქ გააგრძელა მოღვაწეობა. კომუნისტების შემოსვლის შემდეგ დაიწყო ეკლესია-მონასტრების და სასულიერო პირთა დევნა-შევიწროება. გამონაკლისი არც მამა ერმილე იყო. იგი რამდენჯერმე დაიბარეს აღმასკომში და მოსთხოვეს თავი დაენებებინა მღვდლობისათვის და გაეპარსა წვერი, რაზედაც მან სასტიკი უარი განაცხადა. ყოველივე ამით შეშინებულმა ეკლესიის მეორე მღვდელმა ნესტორ ჯინჭარაძემ იქაურობა მიატოვა და თავის სამშობლოში, ზესტაფონში დაბრუნდა. გაშმაგებულმა კომუნისტებმა ეკლესია და მამა ერმილეს სახლიც მრავალჯერ დაარბიეს. ერთერთი დარბევის დროს მათ დაწვეს მამა ერმილეს კუთვნილი უნიკალური წიგნები და ხატები, რომლებიც მან საბერძნეთიდან ჩამოიტანა. მერე დაუწვეს სახლი, საიდანაც ძლივს მოასწრო ცოლ-შვილის გამოყვანა. ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ხშირად იბარებდნენ საბჭოში და მოკვლით ემუქრებოდნენ. ერთხელ შინ დაბრუნებულს მეზობელმა ანნა ფირცხალავამ ჰკითხა: „მამაო ერმილე, როგორაა საქმეო. მან კი უპასუხა – სანამ არ წამასვენებენ, მანამ არ მომასვენებენონ." ერთ საღამოს კომკავშირლებმა სახლში მიმავალი დაიჭირეს და აღმასკომში მიიყვანეს. გაოგნებული მამა ერმილე სკამზე დააბეს და როდესაც მაკრატელი წვერთან მიუტანეს იგი იმ წუთშივე აღესრულა. მას გული გაუსკდა ყოველივე ამის შემხედვარეს.

მამა ერმილეს მონახსოვრე პირების ნაამბობიდან იგი იყო ნამდვილი ღვთის კაცი, ზრდილობითა და ღვთიური მადლით დაჯილდოებული, მართალი და ბრძენი, ცოლ-შვილისა და სხვათა მოყვარული, მშობლებისა და დამთა ღირსეული პატივისმცემელი.

ფოტოს მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით მამა ერმილეს შთამომავალს მარეხ ჩიმაკაძეს.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგიტონიძე

გამოვიდა საბავშვო გაზეთ
„ალილუია"-ს
ახალი 18(55) ნომერი.

უსმინეთ საპატრიარქოს რადიო „ივერიას" – FM 105,4

გარეკანის პირველ გვერდზე: წმიდა ბარბარეს ხატი. უბისის მონასტრის კუთვნილი სამკარედი ხატის დეტალი. ხატის მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით ქ-ნ ნანა ბურჭულაძეს.

ბეჭდვით, გაზეთის გაუზრუნველყოფით ასევე დაკავშირებული ასალეგის გამო „საპატრიარქოს უწყებანის" ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ილია II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოზი დავითი (ჯიოლავიანი), ლევანიზე ლავიეთ შარაშენიძე, ლევანსა ტორეზიძე, ნანა პოლიანა, ბარბარე ბაბუა, ნათია თარაშვილი, ხათუნა რაზმაძეული, თამარ ასათიანი, ნინო ბაბუაშვილი,
დამკაბადონებელი: ალექსანდრ ვაისერაძე, **ოპერატორი:** ზურა ჯოგანიძე.

დასაწყისი მე-5 გვ.

ილი კრწანისში, სადაც აიგება წმიდა საბა განმწმენდელის სახელობის ტაძარი. უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით ტაძართან ასევე აშენდება მონასტერი.

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II წმიდა საბა განწმენდილის პარაკლისი შეასრულა.

„მონაცემთა ბაზის ფორმირების პროგრამების“ პრეზენტაცია საქართველოს საპატრიარქოში

14 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოში ჩატარდა „მონაცემთა ბაზის ფორმირების პროგრამების“ პრეზენტაცია, რომელსაც სოციალური დახმარების და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო ახორციელებს.

მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებისათვის საჭირო, მივმართოთ როგორც თბილისში, ასევე საქართველოს ნებისმიერ რაიონში არსებულ პუნქტებს.

ცხელი ხაზი (8-22) 509-509
საკონტაქტო ტელეფონები:
69-55-13; 8-93-72-96-98.

ახალი საეკლესიო კალენდარი

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-



პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის გამომცემლობისა და რეკვენზირების დეპარტამენტის მიერ გამოიცა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის 2006 წლის კალენდარი.

გამოფენა-გაყიდვა

საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ლიტერატურის გამავრცელებელი ცენტრი, ყოველ კვირას აწყობს საეკლესიო ლიტერატურის გამოფენა-გაყიდვას, აღნიშნული ღონისძიება სისტემატურად გაიმართება წმინდა სამების საკათედრო ტაძრის ეზოში. კვირას, 25 დეკემბერს, საეკლესიო ლიტერატურის გამოფენა – გაყიდვა გაიმართება ასევე დიდ დიღომში, ყოველთა ქართველთა წმიდათა სალოცავის და ქვემო ბეთლემის ტაძრის ტერიტორიაზე. გამოფენილი ლიტერატურის შეძენა შეგიძლიათ ყოველდღე, სამების ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მაღაზია „ლაზარე“-ში.

ბერად აღკვეცა

16 დეკემბერს ვარძიის მამათა მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ანტონმა (მაჭარაშვილი) ბერად აღკვეცა მორჩილები ავთანდილ (გიორგი) ვარდანიძე და რამაზ (შალვა) გოგიტაშვილი.

* * *

17 დეკემბერს საფარის მამათა მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა არსენმა (ახანიძე) ბერად აღკვეცა საფარის მონასტრის მორჩილი ლევან ხახალეიშვილი და მას სერაფიმე უწოდა.

ხელდასხმები

17 დეკემბერს ახალციხის, ტაოკლარჯეთისა და ლაზეთის მთავარეპისკოპოსმა თეოდორემ (ჭუაძე) აბასთუმნის საკათედრო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი ბერდიაკონ სერგის (კვირიკაშვილი) და დიაკვნად დაასხა ხელი საფარის სახელიერო სემინარიის III კურსის სტუდენტს, გაბრიელ ბურჭულაძეს.

* * *

18 დეკემბერს ახალციხის, ტაოკლარჯეთისა და ლაზეთის მთავარეპისკოპოსმა თეოდორემ (ჭუაძე) აბასთუმნის საკათედრო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი დიაკვან გაბრიელ თვალაბეიშვილს.

საერთაშორისო კონფერენცია ბორჯომში

15 დეკემბერს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქტო დარბაზში სამთავისისა და გორის ეპარქიამ და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოაწყეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, წმიდა კირიონ II-ის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი,

გაგრძელება მე-7 გვ.

ფოტოალბომი

უწმიდესი და უნეტარესი ილია II მღვდელმთავრად ხელდასხმას ულოცავს ეპისკოპოს ანანიას (ჯაფარიძე) 1981 წლის 15 მარტი

მარცხნივ - მიტროპოლიტი კონსტანტინე (მელიქიძე), სტიქაროსანი ჭაბუკა შიოლაშვილი (ამჟამად ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოსი დიმიტრი).

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე

გამოვიდა საბავშვო გაზეთ „ალილუია“-ს ახალი 18(55) ნომერი.

უსმინეთ საპატრიარქოს რადიო „ივერიას“ - FM 105,4

გარეკანის პირველ გვერდზე:
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების მიტრა

მთავარი, გაზეთის გაფორმებლები: ბესო ლაგვილავა, ...
„საპატრიარქოს უწყებანის“ ვებგვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ილია II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მიხეილ ...
დამკაბადონებელი: ...
რეკლამირება: ...

დასაწყისი მე-9 გვ.

კონტექსტში მოხსენიებას, გვინდა განვაცხადოთ, რომ ეს პიროვნება არის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, კათოლიკოს-პატრიარქისა და ზოგადად მართლმადიდებლობის ერთგული, ამიტომ მისი მისამართით გამოთქმული ამგვარი ეჭვი შეურაცხმყოფელი და ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. როგორც ჩანს, ბატონი გურამ შარაძე არასწორად იქნა ინფორმირებული.

იპურთხა ტაძრები

10 დეკემბერს ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსმა გერასიმემ (შარაშენიძე) სოფელ ჭკადუაში აკურთხა წმიდა ნინოს სახელობის ახლადაშენებული ეკლესია.

* * *

26 დეკემბერს ყოვლადუსამღვდელოესმა, სამთავისისა და გორის ეპისკოპოსმა ანდრიამ (გვაზავა) სოფელ ხვითში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი აკურთხა. ახლადნაკურთხ ტაძარში მღვდელი იუბენალ მარანელი იმსახურებს.

ხელდასხმა

19 დეკემბერს ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსმა გერასიმემ (შარაშენიძე) მღვდლად აკურთხა ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის დიაკვანი იაკობ ეხვაია.

საშობაო მსვლელობა „ალილო“

გაცნობებთ, რომ 2006 წლის 7 იანვარს თბილისში, დღის 1 საათზე დაიწყება ტრადიციული საშობაო მსვლელობა „ალილო“, რომელიც წარიმართება ერთი ცენტრალური მარშრუტით – ვაკის წმ. სამების ტაძრიდან წმ. სამების საკათედრო ტაძრამდე. „ალილო“ ჩატარდება აგრეთვე თბილისის ყველა ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე.

მსვლელობა მოეწყობა ჯვარხატებით, კმევითა და ნაკურთხი წყლის სხურებით.

მოსახლეობა სურვილის მიხედვით შეუერთდება მომლოცველებს, როგორც ქრისტეს მახარებლებს და შესწირავს ძღვენს (ტკბილეულს, ხილს, სათამაშოებს და სხვ.).

7 იანვარს, 13 საათიდან 21 საათამდე, სასულიერო აკადემიის სატრაპეზოში შეგროვდება შემოწირულობა, რომელიც 8 იანვარს, დღის 2 საათზე დაურიგდება ბავშვთა სახლებს, მოხუცთა თავშესაფრებს, საავადმყოფოებსა და სოციალურად დაუცველ ადამიანებს.

გთხოვთ, თქვენი ტაძრის ორმა მოძღვარმა ჩააბარონ „ალილო“ ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე. ხოლო დანარჩენმა მოძღვრებმა, მრევლთან ერთად, მონაწილეობა მიიღონ ცენტრალურ მსვლელობასა და საჩუქრების დარიგებაში (მოძღვრებს თან უნდა ჰქონდეთ პარაკლისისთვის საჭირო ნივთები).

„ალილოს“ საორგანიზაციო ჯგუფის ტელეფონები:

899 53 20 01

899 64 20 05

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი, დეკანოზი მიქაელ პოტაჩოველი

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქო იუწყება, რომ გარდაიცვალა ზუგდიდ-ცაიშის ეპარქიაში მოღვაწე უხუცესი მონაზონი აკეფსიმა ფიფია. იგი 1921 წელს მორწმუნე ოჯახში დაიბადა. მოწყალე ღმერთმა მკაცრი განსაცდელების დაშვების შემდგომ ანგელოზებრივ სქემას აზიარა. მაშინ, როდესაც მონაზონის შესამოსლით ჭეშმარიტ გამოსვლა დიდ გამბედაობას მოითხოვდა დედა აკეფსიმა არათუ აღარებდა შესამოსელს, არამედ ხალხში ქრისტიანული სარწმუნოების გასაღრმავებლადაც იღვწოდა და ეკლესიის აღდგენა-აღსაშენებლადაც.

მოგვიანებით კი მადლობდა უფალს ამდენ სასულიერო პირს რომ ხედავდა, მოესწრო მონასტერს, დედებს, მონაზვნებს, მორჩილებს. ჩვენთან ცხოვრება ანუგეშებდა, მაგრამ უფალთან მიუხაროდა და მებრძოლი ეკლესიიდან გადაინაცვლა კიდეც.

ღმერთმა მოზეიმე ეკლესიაში დაამკვიდროს მისი უფლისმოყვარე სული.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვაში მოიხსენიოს სქემონაზონი აკეფსიმა.

უფასო კონსულტაცია

„ჯვარის მამასთან“ არსებულ სამედიცინო სამსახურში ჩატარდება უფასო კონსულტაციები:

კარდიოლოგი – ყოველდღე 12.00-14.00 (გარდა 31 XII, 1,2 I)

ტრავმატოლოგ-ორთოპედი, მწვნის (ხელის) და ტერფის ტრავმატოლოგ-ორთოპედი პაატა ღუდუშაური – 8 იანვარი 12.00-14.00 სთ.

დერმატოლოგი 10 იანვარი 15.00-17.00 სთ.

ინფორმაციისათვის დარეკეთ:

98 90 12; 8 99 57 65 31.

საპატრიარქოს უნყებანი

ფოტოალბომი



მღვდელი ალექსანდრე ჩარკვიანი

დაიბადა ლეჩხუმში, ცაგერის რაიონის სოფელ გვესოში. მღვდლად იკურთხა 1911 წლის 14 სექტემბერს იმერეთის ეპისკოპოს გიორგის (ალადაშვილი) მიერ. მსახურობდა ცაგერის ეკლესიაში.

1924 წელს კომუნისტების მიერ ეკლესიების დახურვისას მამა ალექსანდრე გამოძევებული იქნა და მოქმედი ტაძრების არ არსებობის გამო ცხოვრების დარჩენილი წლები გაატარა საკუთარ მამულში, სადაც აღასრულებდა ნათლობებს და სამღვდელო წესებს. ცაგერის ტაძრის დახურვის შემდგომ ეკლესიის მთელი საგანძური ინახებოდა მის ოჯახში, რომელიც მოგვიანებით შთამომავლებმა ჩააბარეს სახელმწიფოს. რეგიონის ჩეკას მაღალჩინოსანი ოჯახის ნათესავი აღმოჩნდა, რამაც მღვდელი ალექსანდრე რეპრესიებს გადაარჩინა. თუმცა ჩარკვიანების ოჯახის წევრები, როგორც ტახტის აზნაურები და დიდი მამულების მეპატრონენი, გაკულაკებას ვერ გადაურჩნენ. სულ მალე მღვდელი ალექსანდრე გადატანილ უბედურებათა გამო ლოგინად ჩაეარდა და 1929 წელს გარდაიცვალა.

მღვდელი ალექსანდრე ჩარკვიანი იყო ბოლო წარმომადგენელი ჩარკვიანების სახულიერო საგვარეულოსი. მამამისი ათანასე ჩარკვიანიც სახულიერო პირი იყო, რომელსაც დაახლოებით 1869 წელს ცხეთაში წმ. გიორგის ტაძარში დაუწყია მსახურება(შემორჩენილია 1869 წლის მის მიერ ცხეთის წმ. გიორგის ტაძრის საგანძურის სრული აღწერილობა).

ფოტოს მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით მამა ალექსანდრეს შთამომავალს ბატონ რევაზ ჩარკვიანს.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სახულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტორგუნიძე

გამოვიდა საბავშვო გაზეთ

„ალილუია“-ს

ახალი 18(55) ნომერი.

უსმინეთ საპატრიარქოს რადიო „ივერიას“ – FM 105,4

ბარეთანის პირველ ბმერდზე: სიწმინდეები, რომელიც მცირე ხნის წინ ქუთაისის მუზეუმმა დაუბრუნა ქუთაის-გაენათის ეპარქიას.

ბეჭდავს, აბონირებს „საუნივერსალო“ 3ს10 ბეჭდვითი ბანაკის ბაზა

„საპატრიარქოს უნყებანი“ ელ.ფოსტა: http://www.patriarchate.ge

მისამართი: თბილისი II ციხისკარი №1

საბარათელოს საპატრიარქოს პრესსამსახურის ტელ.: 98-95-41.

რედაქტორი: ხატია ფანტაზაძე,

სარედაქციო კოლეგია: ბესიკი ალექსანდრიული ჩხეიძე (ფილოლოგიის დოქტორი), ზაზა ფეტაშვილი, ბიბლიოლოგი ფრიდონ ბალანჩივაძე, ნანა ბოლქვადაძე, ბარამ ბარამიძე, ნანა ცოფურაშვილი, ალექსანდრა ჩანკვეტაძე, ნინო ანდრიაძე, ნინო ბაბუაშვილი, დეკანოზი ნინანელი: ანანიასეულიანი, ოფერატორი: ხიბა ბოლოკაძე.